ჩვენ გამარჯვება ქართველებმა მოგვპარეს A5

ცხრა ძმა ახმადოვი - ყველაზე სასტიკი ბოევიკები ჩეჩნეთში A7

ევროისტორია B4-B5

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ხუთშაბათი, 19 სექტემბერი, 2002 წელი. №109

ფასი 50 თეთრი

# დაკავებული ჩეჩნების ვინაობას კომისია გაარკვევს

## რეპორტაჟი პანკისის სოფელ ხალაწანიდან

სოფიკო ჩხაიძე

გუშინწინ ბაქოში მიმავალი პრეზიდენტის მითითებას პანკისური ანტიკრიმინალური ოპერაციის აქტიურ ფაზაში გადაყვანის შესახებ სამართალდამცველი ორგანოები შესაშური ოპერატიულობით გამოეხმაურნენ. უკვე გუშინ, დილის 6 საათზე დაწყებული ოპერაციის ფარგლებში 12 ჩეჩენი იქნა დაკავებული.

პანკისის ერთ-ერთ მოზრდილ სოფელში - ხალაწანში ჩატარებული ოპერაცია, პირობითი სახელწოდებით "წმენდა", ხეობაში განლაგებულმა შინაგანი ჯარის ნაწილებმა და უშიშროების სპეცდანიშნულების ძალებმა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე წამოიწყეს. ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით, ხალაწანი კრიმინალთა სერიოზულ ბუდეს წარმოადგენდა. ეს ხეობის ერთ-ერთი ყველაზე დიდი სოფელია, რომელიც სამ ნაწილად იყოფა.

წინასწარ შემუშავებული გეგმა სოფელში მდებარე თითოეული სახლისა და კუთხე-კუნჭულის შემოწმებას ისახავდა მიზნად. დილის ექვს საათზე სოფლის გარშემო მდებარე ფერდობებიდან დაშვებული შინაგანი ჯარის ნაწილები სოფლის სიღრმეში შევიდნენ და ყველა სახლში გადანაწილდნენ. გავრცელებული ინფორმაციით, მოსახლეობა გაგებით შეხვდა სამართალდამცველთა ინიციატივას. არავითარი გართულება არ მოჰყოლია არც იმ 12 ჩეჩნის დაკავებას, რომლებსაც ოპერაციის მსვლელობისას სხვადასხვა სახლებში მიაგნეს და ამჟამად ახმეტის პოლიციაში იმყოფებიან. დაკავებულთა გარდა, ხალაწნიდან ამოღებულია სამხედრო ამუნიცია, კომპიუტერები და რამდენიმე უცხოური წარმოების ავტომანქანა, რომლებიც, წინასწარი მონაცემებით, სხვადასხვა დროს სხვადასხვა ადგილებიდან არის გატაცებული.

გაგრძელება A8 გვერდზე



*ირაკლი ალასანია და კობა ნარჩემაშვილი - მიმდინარეობს ოპერაცია სოფელ ხალაწანში.* ბესო გულაშვილის ფოტო

# მე ჩემს საქართველოს არ დავთმობ

იური შჩეკოჩიხინი
*„ნოვაია გაზეტას" მიმომხილველი რუსეთის სახელმწიფო დუმის დეპუტატი*

დიდი ხანია, ისეთი სირცხვილის გრძნობა არ განმიცდია, როგორიც ბოლო დღეების განმავლობაში.

როდესაც ოთხშაბათს დუმის დახურულ სხდომაზე თავდაცვის მინისტრმა სერგეი ივანოვმა საქართველოს არა მხოლოდ "ეგრეთწოდებული სახელმწიფო" უწოდა, არამედ ჩვენი პოტენციური მტრების სიაშიც მოიხსენია, მე მისი სიტყვები სერიოზულად არ მიმიღია, ეს კაცი ახალია პოლიტიკაში და, მით უმეტეს, არმიაშიც. ათასი რაღაც შეიძლება წამოსცდეს

მაგრამ, როდესაც იგივე, თანაც უფრო სერიოზულად, შეიარაღებული აგრესიის მუქარით, პრეზიდენტ პუტინისგანაც მოვისმინე, თავი ცუდად ვიგრძენი.

სამწუხაროდ, საქართველო-რუსეთის ურთიერთობებში კრიზისია, ოღონდ არა ხალხებს შორის - სად გაექცევიან ისინი ერთმანეთს - არამედ პოლიტიკურ ელიტებს შორის.

მაგრამ ერთია პრეზიდენტების, მინისტრების, პოლიტტექნოლოგების ურთიერთკბენები და მეორე - აგრესიის ღია, პირდაპირი მუქარა.

გამაოცა იმ ერთსულოვანმა ეიფორიამ და მონადირულმა აზარტმა, რომელმაც სისხლის სუნის დადგომისთანავე მოიცვა სხვადასხვა წონისა თუ შეფერილობის რუსი პოლიტიკოსები: მიდი, ეცი!..

შეჩერდით, დაოკდით, ბატონებო!

რა, ქართველებმა ჩაიყვანეს დუდაევი გროზნოში და მერე ველარ გაარკვიეს, როგორ მოეცილებინათ თავიდან? თბილისი უყურებდა შორიდან, როგორ ჩამოყალიბდა ჩეჩნეთში ექსტრემისტული რეჟიმი?

გაგრძელება A3 გვერდზე

# მოსკოვში საქართველოს საელჩოს პიკეტირება პუტინის პარტიის ინიციატივაა

რუსუდან ნიკურაძე
*საქ. კორ. მოსკოვში*

20 სექტემბერს 12.00 სთ-დან 13.30-მდე პარტია "ედინაია როსიას" მოსკოვის განყოფილება და "მოლოდიოჟნოე ედინსტვო" საქართველოს საელჩოს შენობის პიკეტირებას განახორციელებენ.

"24 საათთან" საუბარში რუსეთის პარტია "ედინაია როსიას" მოსკოვის რეგიონული განყოფილების აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ **ნიკოლაი ნიკოლაევმა** განაცხადა, რომ 18-19 სექტემბერს მოსკოვში იმართება პრეზიდენტ პუტინის მიერ გაკეთებული განცხადების მხარდამჭერი ხელმოწერების შეგროვების აქცია. შეგროვებული ხელმოწერები, "ედინაია როსიას" მიმართვის ტექსტთან ერთად, პიკეტის დამთავრების შემდეგ, რუსეთში საქართველოს ელჩს გადაეცემა. ნიკოლაევის თქმით, პიკეტის მიზანია საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლაში ორი მეგობარი ხალხის შეკავშირება და ტერორისტთა მფარველობის პოლიტიკის დაგმობა. აქციაში მონაწილეობას მიიღებს პარტიის 200 წევრი. ნიკოლაევმა მონაწილეთაგან წინასწარ დაგვისახელა მომღერალი ვალერი მელაძე, რომელიც ამ პარტიის წევრია.

ბატონმა ნიკოლაევმა გადმოგვცა პარტია "ედინაია როსიას" მოსკოვის ორგანიზაციის მიმართვის ტექსტიც:

გაგრძელება A3 გვერდზე

დააკაკუნეთ და გაგეღებათ - ასეთია "მოქალაქეთა კავშირში" გაწევრიანების პრინციპი A2

გიორგი თარგამაძის "ვია-დოლოროსა" A3

2003 წელს წყლის მრიცხველებს დაგვიმონტაჟებენ A4

ინვესტიციების მოცულობამ კატასტროფულად იკლო A4

ვაშინგტონი ბაღდადზე შეტევას აძლიერებს A5

ისევ რაჭა-ლეჩხუმი ... A6

საპენსიო რეფორმა კიდევ ერთ ექსპერტიზას გადის A6

სამხედრო პროკურორს თავდამსხმელები არ დაუნახავს A7

### ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 20 | |
| ქუთაისი | 19 | |
| ბათუმი | 17 | |
| სოხუმი | 18 | |
| ფოთი | 18 | |
| თელავი | 19 | |
| ზუგდიდი | 19 | |
| გორი | 17 | |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1750 |
| ევრო | 2.1139 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.3443 |
| რუბლი | 0.0687 |

# მომავალი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პარამეტრები ჯერ კიდევ დაუზუსტებელია

გვანცა კვინიკაძე

*საქართველოს მთავრობამ, სახელმწიფო მინისტრის ხელმძღვანელობით, გუშინდელ სხდომაზე მომავალი წლის ბიუჯეტის ჯერ კიდევ დაუზუსტებელი პარამეტრები განიხილა. სხდომის მეორე ნაწილი ჟურნალისტებისთვის დახურულად გამოცხადდა.*

*ერთადერთი, რაც უკვე დაზუსტებულია და, ალბათ, ცვლილებას აღარ დაექვემდებარება, ხელისუფლების სურვილია, 2003 წლის ბიუჯეტში, წლევანდელთან შედარებით, 70 მილიონი ლარით მეტი შემოსავლების მობილიზება მოხდეს. მთავრობა აპირებს, ეს ნამატი თანხები პრიორიტეტულად აღიარებული უშიშროების, თავდაცვის, ენერგოუსაფრთხოების, სოციალური, კულტურისა და განათლების სფეროების დაფინანსების გაზრდას მოახმაროს.*

გაგრძელება A4 გვერდზე

# „ყველაზე პოლიტიკური მილსადენის" საძირკველი გაიჭრა

შოთა უტიაშვილი

ჰეიდარ ალიევი, აზერბაიჯანის პრეზიდენტი: **"ეს მილსადენი რეგიონის ქვეყნებს მშვიდობას, უსაფრთხოებასა და სტაბილურობას მოუტანს და კიდევ უფრო მჭიდროდ დაახლოვებს სამ ერს ერთმანეთთან".**

სპენსერ აბრაჰამი, აშშ-ს ენერგეტიკის მინისტრი: **"ამერიკისა და, ალბათ, ამ რეგიონისათვის, ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ენერგეტიკული პროექტია".**

აჰმედ ნეჯდეთ სეზერი, თურქეთის პრეზიდენტი: **"აზერბაიჯანს, საქართველოსა და თურქეთს ამ მილსადენისთვის მსხვერპლის გაღება მოუწია... იმედია, მას მალე მოჰყვება შაჰდენიზი-ერზრუმისა და ტრანსკასპიური გაზსადენები."**

ედუარდ შევარდნაძე, საქართველოს პრეზიდენტი: **"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის დაწყება საქართველოსა და მთელი რეგიონისათვის ახალ რეალობას ქმნის".**

იგორ ივანოვი, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი: **"ბაქო-ჯეიჰანის მილსადენის ნავთობით უზრუნველყოფა შეუძლებელია. ეს არარენტაბელური პროექტია."**

გაგრძელება A5 გვერდზე



*ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მშენებლობა დაიწყო - პრეზიდენტები ერთმანეთს ულოცავენ.* საქინფორმი

# ავთანდილ ჭორბენაძე: "ბასილისთანა ოდიოზური ფიგურები არსებობენ და იარსებებენ..."

თამარ ხორბალაძე

*რელიგიის შესახებ კანონპროექტი, რომელსაც საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ამზადებს და რომლის თაობაზეც საზოგადოებაში არაერთგვაროვანი პოზიცია უკვე არაერთხელ დაფიქსირდა, გუშინ სახელმწიფო მინისტრთან გამართული შეხვედრის მთავარ თემად იქცა.*

*საქართველოს სახელმწიფო კანცელარიაში სახელმწიფო მინისტრს საქართველოს საპატრიარქოს და საქართველოში მოქმედი სხვა ტრადიციული რელიგიური კონფესიების - კათოლიკური ეკლესიის, ევანგელისტურ-ლუთერანული ეკლესიის, ევანგელისტურ-ბაპტისტური ეკლესიის, მორწმუნე ებრაელთა თემისა და სომხური სამოციქულო ეკლესიის წარმომადგენლებს მასპინძლობდა.*

*გუშინვე კანცელარიაში, აღნიშნულ შეხვედრაზე, ნახევარი საათის დაგვიანებით გამოცხადდა არასამთავრობო სექტორის გაფართოებული შემადგენლობა (დაგვიანება მათ საშვებთან დაკავშირებული პრობლემებით ახსნეს), რამაც უმალ გამოაცოცხლა დისკუსია.*

ამთავითვე უნდა ითქვას, რომ იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებული კანონპროექტით კმაყოფილი, საბოლოო ჯამში, არც ერთი

გაგრძელება A3 გვერდზე

# ყველა პრობლემის სათავე „ეი-ი-ესთან" გაფორმებულ ჩარჩო-ხელშეკრულებაშია

## "ეი-ი-ეს თელასსა" და სახელწიფოს შორის დადებული ჩარჩო-ხელშეკრულება, შესაძლოა, გადაიხედოს

სოფო კვინტრაძე

*გუშინ იუსტიციის სამინისტროში არასამთავრობო ორგანიზაციების, ანტიმონოპოლიური სამსახურისა და ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის წევრთა შეხვედრაზე "ეი-ი-ეს თელასსა" და ქონების მართვის სამინისტროს შორის დადებული ჩარჩო-ხელშეკრულების გადახედვის საკითხი განიხილეს. ანტიმონოპოლიური სამსახურის ხელმძღვანელი მიიჩნევს, რომ ყველა პრობლემის სათავე სწორედ ეს ხელშეკრულებაა, "ეი-ი-ესის" ლობისტი კი ჩარჩო-ხელშეკრულების გადასინჯვის შესახებ მსჯელობასაც კი აბსურდულს უწოდებს.*

ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსი არმაზ თავაძე აცხადებს, რომ ხელშეკრულების გადახედვის ყბადაღებული საკითხი, როგორც იქნა, გასცდა საუბრის ჩარჩოებს და ამ პროცესის რეალური განხორციელების პერსპექტივა გაჩნდა. არმაზ თავაძის ამგვარი ოპტიმიზმის საფუძველი გახდა ის ფაქტი, რომ სემეკის ხელმძღვანელობა თანახმაა, ხელშეკრულება გადაიხედოს და ამ პროცესში თავადაც აპირებს მონაწილეობას. ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარე ელიზბარ ერისთავი აცხადებს, რომ ჩარჩო-ხელშეკრულებაში არსებობს პუნქტი, რომელიც, მხარეების შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების გადახედვასა და, საჭიროების შემთხვევაში, ცვლილებების შეტანას ითვალისწინებს. პროცესის დაწყების მომხრეა იუსტიციის სამინისტროც.

გაგრძელება A4 გვერდზე

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 ფოტორეპორტაჟი

B2 კულტურა B3 ანკეტა B4-B5 ევროისტორია B6 განცხადებები B7 სპორტი B8 სხვადასხვა

# დააკაკუნეთ და გაგეღებათ - ასეთია "მოქალაქეთა კავშირში" გაწევრიანების პრინციპი

თამარ მჭედლიშვილი

ორი თვის წინ რეანიმირებულ "მოქალაქეთა კავშირს" სამი პარტია შეუერთდა. რამდენიმე საკონსულტაციო შეხვედრის შემდეგ (მასზე შეერთების ფორმები და პირობები იხილებოდა) **"ახალმა საქართველომ", "საქართველოს ინტელიგენციის კავშირმა" და "დამოუკიდებელმა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ"** დამოუკიდებლად არსებობა შეწყვიტეს და პრეზიდენტის მხარდამჭერების რიგებში "მოქალაქეების" სტატუსით გაწევრიანდნენ.

როგორც პარტიის პოლიტიკური მდივანი არმაზ ახვლედიანი აცხადებს, **მოქკავშირში საკმაოდ ავტორიტეტული და ინტელექტუალური რესურსის მქონე ორგანიზაციების შესვლა განახლების პროცესისა და ხელისუფლების კურსის გააქტიურების შედეგია.** რაც შეეხება თავად პარტიებს, ოფიციალური მონაცემებით, "ახალ საქართველოში" გაწევრიანებულია 35000, ხოლო "ინტელიგენციის კავშირსა" და "დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატიულ კავშირში" – მხოლოდ 2000-2500 ადამიანი (თუმცა, ისიც ცხადია, რომ პოლიტიკურ ცნობარში შესული მონაცემები ძალიან ხშირად სიმართლეს არ შეეფერება. განსაკუთრებით მაშინ, როცა საუბარი პარტიების წევრთა რაოდენობას ეხება).

სამივე პარტია ნამდვილად არ არის განებივრებული საზოგადოების ყურადღებითა და ელექტორატის მხარდაჭერით. შესაბამისად, ეს შერწყმა ყველა მხარისთვის მომგებიანი გახდება: მოქკავშირი ამ ფაქტს საკუთარი რეიტინგის ზრდით ახსნის, პარტიების ლიდერებს კი პოლიტიკურ ოლიმპზე გამოჩენა-დამკვიდრების მცირე შანსი გამოუჩნდებათ.

კონსულტაციების მსვლელობისას, სახელმწიფო მინისტრი პარტიების ლიდერებს რამდენჯერმე შეხვდა. მისი თქმით, მოქკავშირისათვის პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს, თუ რამდენი წევრი შეემატება მის რიგებს, რადგან, ხარისხის თვალსაზრისით, ეს ადამიანები პარტიისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ფიგურები გახდებიან. თავის მხრივ, ახლადგაწევრიანებულებიც აცხადებენ, რომ შერწყმის თაობაზე გადაწყვეტილება პარტიაში მიმდინარე **"სასიკეთო პროცესებითა და მავნებელი ელემენტებისაგან მისი განწმენდის შემდეგ"** იყო მიღებული.

როგორც "საქართველოს ინტელიგენციის კავშირის" თავმჯდომარემ კარლო თაბუკაშვილმა აღნიშნა, დღემდე სამივე პარტია პოლიტიკურ ბატალიებს მხოლოდ შორიდან ადევნებდა თვალყურს. **"ეს პროცესები ძალიან ცუდად მიდიოდა. მოქალაქეთა კავშირის ხელმძღვანელობას ეს პირშიც ვუთხარით. მაგრამ დღეს სულ სხვა სურათია. მიდის მოქალაქეთა კავშირის განახლება. პარტიაში შედიან წესიერი, ინტელექტუალური ადამიანები. ისინი, ვინც აქამდე ჩრდილში იყვნენ და ხმას არ იღებდნენ. თუ დავინახეთ, რომ მოქალაქეთა კავშირი არ გააკეთებს არაფერს ხალხის სასარგებლოდ, არ გაიწმინდება კორუმპირებულებისაგან, მაშინ გამოვალთ მისი რიგებიდან. ვინც საქმე გააფუჭა, ის ხალხი წავიდა. ძველებიდან ცოტანი დარჩნენ და ისინი ჩვენ პატიოსნებად გვეჩვენებიან. თუ დავინახეთ, რომ პარტიაში ვინმე ისეთი შემოძვრა, რომელიც არ მოგვწონს, ჩვენ დაუყოვნებლივ უკან გამოვალთ".**

არ არის გამორიცხული, მომავალში მოქკავშირმა კიდევ რამდენიმე წვრილი პოლიტიკური პარტია მიიერთოს. მომავალ საპარლამენტო არჩევნებამდე ხომ მხოლოდ ერთი წელიწადი რჩება.

ჟვანიას გუნდისაგან "განწმენდილ" მოქალაქეთა კავშირს, სხვებთან შედარებით, გაცილებით რთული პრობლემის გადაჭრა უწევს. ერთია რეიტინგის გაზრდისათვის ზრუნვა და მეორე – ბანკროტი პოლიტიკური ორგანიზაციის რეანიმირება.

დღეს უკვე ცხადი ხდება, რომ მოქალაქეთა კავშირის საარჩევნო კამპანიის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილი გახდება ჟვანია-სააკაშვილისა და დამოუკიდებელი მედიის ლანძღვა. სწორედ ამით შეეცდებიან "მოქალაქეები" საკუთარი რეიტინგის გაზრდას. ეს პირველად ყველაზე მკაფიოდ პარტიის თბილისის ორგანიზაციის დაფუძნებისას გამოჩნდა. შეგახსენებთ - ფორუმს პრეზიდენტი შევარდნაძე ესწრებოდა და შეხვედრა ჟვანია-სააკაშვილისა და მათი მხარდამჭერების ლანძღვის ფონზე მიმდინარეობდა.

სხვათა შორის, ქვეყნის დაქცევა-გაპარტახებაში "მხილებულნი" "მოქალაქეთა კავშირის" მხრიდან თავდასხმებს საკმაოდ თავდაჭერილი კომენტარებით ხვდებიან. შეფასებებისაგან თავს იკავებდა ერთ-ერთი მთავარი "დამნაშავეც" – თბილისის ორგანიზაციის ყოფილი თავმჯდომარე, პარლამენტის ვიცე-სპიკერი **გიგი წერეთელი**, თუმცა, "24 საათთან" საუბრისას მან საკუთარი პოზიციის დაფიქსირება მაინც გადაწყვიტა.

**"მოქალაქეთა კავშირის" სახით დღეს ახალი პოლიტიკური გაერთიანება იქმნება. ამაში ჩემთვის მტკივნეულს ვერაფერს ვხედავ. არიან ადამიანები, რომლებსაც საკუთარი მსოფლმხედველობა, ჩამოყალიბებული პრინციპები, სამომავლო გეგმები აქვთ და სურთ ჰქონდეთ პოლიტიკური პარტია. უბრალოდ მიკვირს ზოგიერთი გამოსვლის შინაარსი. თანაც იმ ადამინებისა, რომელთა კრიტიკის უფლებას თავს არასდროს მივცემდი. თუ, რა თქმა უნდა, გარკვეულ ზღვარს არ გადავიდოდნენ.**

**პარტიულის გარდა, არსებობს ცხოვრებისეული, მორალური პრინციპები, რომელსაც მივდევ. არ მინდა დავიჯერო, რომ ეს ადამიანები აღარ ცხოვრობენ ამ პრინციპებით, რადგან დღეს ხელისუფლების რუპორად წარმოიდგინეს საკუთარი თავი. მინდა მათ მეგობრულად ვუთხრა – კიდევ ერთხელ გადახედონ თავიანთ მიდგომებს და მორალი და პარტიული მოღვაწეობა ერთმანეთს როგორმე შეუთავსონ.**

**თბილისის ორგანიზაციის რიგგარეშე ფორუმს, პატრონის წინაშე წუწუნის გარდა, სხვა დატვირთვა არ ჰქონია. ეს ადამიანები ჩვენი ლანძღვით პრეზიდენტის წინაშე მხოლოდ თავს იმართლებდნენ და პრეზიდენტს შესჩიოდნენ, რომ პარტია "ვიღაც ველურებმა" გააპარტახეს. ეს თავის დაზღვევაა. ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ იმ ადამიანებმა, რომლებიც მოქკავშირში დარჩნენ, პარტიის შესანარჩუნებლად ძალიან ბევრი იმუშავეს. პირიქით – ბევრი მათგანი ხელს უწყობდა განხეთქილებას. ისინი მიზანმიმართულად იბრძოდნენ იმისათვის, რომ ჟვანიას გუნდი პარტიიდან წასულიყო. სამწუხაროდ, მაშინ პრეზიდენტმაც ამ ჯგუფს დაუჭირა მხარი,"** - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას

**თბილისი.** საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ოფიციალურად დაადასტურა, რომ თბილისში ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიის წარმომადგენლობა არ არსებობს. საგარეო უწყებაში აცხადებენ, რომ ასეთი წარმომადგენლობის ფუნქციონირება თბილისში დაუშვებელია თუნდაც იმიტომ, რომ "საქართველო ყოველთვის პატივს სცემდა და სცემს რუსეთის ტერიტორიალურ მთლიანობას". იჩქერიის წარმომადგენლობის რეგისტრაციის თხოვნით საქართველო იუსტიციის და საგარეო საქმეთა სამინისტროებისთვის არავის მიუმართავს. ასე, რომ რუსეთის ბრალდება ქართული მხარის მიმართ, რომ თითქოს საქართველოს ხელისუფლების ხელშეწყობით თბილისში ფუნქციონირებს ჩეჩნეთის წარმომადგენლობა, სრულიად უსაფუძვლოა. საქართველოს უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის ოფიციალური წარმომადგენლის თქმით, მოსკოვში აფხაზეთის წარმომადგენლობა საკმაოდ ოფიციალურად ფუნქციონირებს.

ალდამოვმა დაადასტურა, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო არ ცნობს იჩქერიის წარმომადგენლობას, რადგან ეს რესპუბლიკა აღიარებული არ არის. **პრაიმ-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტში შექმნილი სამუშაო ჯგუფი, რომელსაც პარლამენტის შენობის წინ მომიტინგე, გამსახურდიას ხელისუფლების მომხრეებთან მოლაპარაკებების გამართვა დაევალა, ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირის" ლიდერის ვიტალი ხაზარაძის ხელმძღვანელობით უზენაესი საბჭოს წარმომადგენლობას შეხვდა. მრგვალი მაგიდის ლიდერმა მანანა არჩვაძემ, რომელიც შეხვედრაზე პრემიერ-მინისტრის სტატუსით გამოცხადდა, პროტესტი გამოთქვა შეხვედრის ფორმატთან დაკავშირებით. მისი თქმით, ამ საპარლამენტო კომისიას, გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება უნდა ჰქონდეს. უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ბადრი მხალაძემ გააპროტესტა დოკუმენტში დაფიქსირებული ფორმულირება, სადაც წერია, რომ საპარლამენტო ჯგუფი მოლაპარაკებებს მომიტინგეთა წარმომადგენლებთან გამართავს. „ჩვენ მომიტინგეები კი არა, ლეგიტიმური ხელისუფლება ვართ", - განაცხადა მხალაძემ. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** ქართველი მესაზღვრეები "გულხელდაკრეფილი არ დაელოდებიან" მოვლენათა განვითარებას იმ შემთხვევაში, თუ რუსი სამხედროები ე.წ. "დადევნების" ოპერაციის მიზნით საქართველოს ტერიტორიაზე შემოიჭრებიან - განაცხადა საქართველოს სასაზღვრო ჯარების სარდალმა ვალერი ჩხეიძემ. მან აღნიშნა, რომ ოპერატიული მონაცემებით, უახლოეს მომავალში როგორც რუსეთის, ისე საქართველოს მხრიდან ბოევიკების საზღვარზე გარღვევაა მოსალოდნელი. მან აგრეთვე განაცხადა, რომ არ გააჩნია ინფორმაცია საქართველოს საზღვრისპირა რაიონებში ჩეჩენი ბოევიკების ყოფნის შესახებ. **პრაიმ-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ბაზარზე ახალი ნარკოტიკი, "ექსტაზი" გამოჩნდა. ეს ნარკოტიკული ნივთიერება ძალიან იაფი და ხელმისაწვდომია. თუ ერთი გრამი ჰეროინის ღირებულება 300-დან 500 ლარამდე მერყეობს და მისი გამოყენება 24-25 ადამიანს შეუძლია, ერთი ფირფიტა "ექსტაზი", რომელშიც 20 აბია, ჰეროინზე 20-ჯერ იაფია და თითო აბის გამოყენება 3-4 ადამიანს შეუძლია. ქიმიური ნარკოტიკის "ექსტაზის" მოხმარება ადამიანის ტვინსა და ნერვულ სისტემაზე პირდაპირ მოქმედებს. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის ანატოლი კვაშნინის განცხადებით, რუსეთმა მიიღო ზომები საქართველოსთან საზღვრის განსამტკიცებლად. "იქ დამატებით შევიყვანეთ ჩვენი სამხედრო ქვედანაყოფები, რათა შეიარაღებული გარღვევის შემთხვევაში სასაზღვრო ჯარებს დახმარება გავუწიოთ", - თქვა კვაშნინმა. მან ყურადღება გაამახვილა, რომ საქართველო-რუსეთის საზღვრის გაძლიერება ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის ძალებით ხორციელდება. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**ქუთაისი.** "თავისუფლების ინსტიტუტის" ინიციატივით დაფუძნდა ქალაქის პოლიციის საქმიანობის საზოგადოებრივი მონიტორინგის საბჭო. საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილი მუდმივმოქმედი ორგანო ცხრა წევრისგან, მათ შორის - ორი პოლიციელისგან, ორი ჟურნალისტისგან, არასამთავრობო ორგანიზაციების ხუთი წარმომადგენლისგან შედგება. საბჭოს მიზანს პოლიციის საქმიანობის გამჭვირვალეობის უზრუნველყოფა, ძალოვანთა მიერ ჩადენილი კანონსაწინააღმდეგო ქმედებების ფიქსირება და შემცირება წარმოადგენს. **ინტერ-პრესი.**

■ ■ ■

**ცხინვალი.** 20 სექტემბერს სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში დამოუკიდებლობის დღეს აღნიშნავენ. ცხინვალში გაიმართება დემონსტრაცია და შეიარაღებული ძალების აღლუმი. ასევე დაგეგმილია სპორტული ღონისძიებები, კონცერტები. ზეიმი დასრულდება ფეიერვერკებით. საზეიმო ღონისძიებებზე მიწვეულნი არიან სტუმრები ჩრდილოეთ ოსეთიდან, აფხაზეთიდან, დნესტრისპირეთიდან და მთიანი ყარაბაღიდან. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**ცხინვალი.** ედუარდ კოკოევი ახალი ინიციატივით გამოვიდა. იგი სექტემბრის ბოლოსთვის ქართველი და ოსი სამართალდამცავების შერეული საკოორდინაციო ცენტრის ხელმძღვანელთა სხდომის ჩატარებას ითხოვს. კოკოევი ამ ფაქტს კონფლიქტის ზონაში არსებული რთული კრიმინოგენური ვითარებით ხსნის. კოკოევმა შესაბამისი განცხადებით უკვე მიმართა კონფლიქტის მოწესრიგების ოთხმხრივი შერეული საკონტროლო კომისიის ხელმძღვანელებს. ქართული მხრიდან შერეული საკოორდინაციო ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილის გიგი კუბლაშვილის განცხადებით, შეხვედრის ჩატარების ზუსტი თარიღი და ადგილი ჯერ დაზუსტებული არ არის. **მედია-ნიუსი**.

■ ■ ■

**ბათუმი.** თავისუფალი ეკონომიკური ზონის (თეზ) ამოქმედებასთან დაკავშირებულ საკითხებზე სამუშაოდ ბათუმში საქმიანი ვიზიტით იმყოფება ჩინეთის დელეგაცია, რომელიც ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურმა ასლან აბაშიძემ მიიღო. ჩინეთის გუანდუნის პროვინციის მაგალითზე დაყრდნობით ჩინელი სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ თეზ-ის ამოქმედება დააჩქარებს საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისიდან გამოყვანას. თითქმის სრულყოფილი სახე მიიღო თეზ-ის კანონპროექტმა, რომელზეც ჩინელი და ქართველი კოლეგები ინტენსიურად მუშაობენ. კანონპროექტი მზად არის ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში წარსადგენად. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**ერევანი.** საქართველომ 36-ე ადგილი დაიკავა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის რეიტინგში, რომელიც გაერო-ს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციამ გამოაქვეყნა (UNCTAD). სააგენტო მედიამაქსის ცნობით, გაეროს 140 წევრი ქვეყნის რეიტინგში გათვალისწინებულია 1998-2000 წლებში ამა თუ იმ ქვეყნის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილის შესაბამისობა გლობალურ მთლიან შიდა პროდუქტში მის წილთან. დსთ-ს ქვეყნებს შორის მე-8 ადგილზეა აზერბაიჯანი, ხოლო სომხეთი მე-15 ადგილზე. **პრაიმ-ნიუსი.**

■ ■ ■

**მოსკოვი.** რუსეთის მხარე აუცილებლად მიიჩნევს საქართველოს მოსაზღვრე რაიონებში 20-40 კმ-ის სიღრმეში უსაფრთხოების ზონის შექმნას. ამგვარი განცხადებით სასაზღვრო სამსახურის დირექტორი კონსტანტინ ტოცკი გამოვიდა. მისი თქმით, ასეთი ზონის შექმნის პრობლემებსა და მისი ფუნქციონირების რეჟიმს ქართველ კოლეგებთან ერთად განიხილავენ. უფრო მკვეთრად გამოვიდა გენშტაბის უფროსი ანატოლი კვაშნინი. მან საქართველოს ხელმძღვანელობა ავღანელ თალიბებს შეადარა. **კავკას-პრესი.**




გამომცემელი: რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი), დამატებები: დედაქალაქი-დავით მაღრაძე, ლიტერატურა-მალხაზ ხარბედია, სამყარო-ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი-ნიკოლოზ რურუა, სტილი-ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა-ზაზა ფაჩუაშვილი. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი), დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჭოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, მზია შომახია. ჭუანშერ ტიკარაძე. რეკლამა-ზურაბ ჭაოშვილი.

# მე ჩემს საქართველოს არ დავთმობ

პირველი გვერდიდან

ქართველმა გენერალმა თქვა, რომ გროზნოს ერთი სადესანტო პოლკით აიღებდა? მათი თვითმფრინავები ბომბავდნენ გროზნოს, გუდერმესსა და ასეულობით სოფელს? მათი სამხედრო მეთაურები აწერენ ხელს ათასობით სამგლოვიარო წერილს? მათმა გენერლებმა გამოატარეს ხატაბი და ბასაევი დაღესტნიდან, რამაც მეორე ომის დაწყება გამოიწვია? მათი სპეცსამსახურები ელოლიავებოდნენ წლობით რადუევსა და ბარაევს, სანამ ერთი ჩეჩნებმა თავად არ ჩააბარეს, მეორე კი საკუთარი ხელით არ მოკლეს (დაგვავიწყდა, რომ ბარაევის ნეშტის დამარხვაზე მისმა მშობლიურმა სოფელმა თქვა უარი. იცით კი, რას ნიშნავს ეს კავკასიაში?)? და ბოლოს, მათ ანგარიშებზე ჯდება ის მილიონები, რომელიც ჩეჩნეთის მუდმივი აღდგენისათვის გამოიყოფა ბიუჯეტიდან?

და კიდევ, რა, საქართველო ეხვეწებოდა ათასობით ჩეჩენს, ჩამოდითო? ისინი იქ რუსულმა ტანკებმა, თვითმფრინავებმა და სპეცდანიშნულების ჯარებმა გარეკეს, თავიანთი არაადამიანური და არასაჭირო "ზაჩისტკებით".



იური შჩეკოჩიხინი

რატომ არ იჭერთ თქვენს, ე.ი. ჩვენს, რუს ტერორისტებს პანკისის ხეობაში?! – მრისხანედ აბრახუნებენ მუშტებს ჩვენი სამხედრო თუ სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული გენერლები.

სარკეში ჩაიხედეთ, ბატონებო!

ორი ომის მანძილზე ჩეჩნეთი მილიონამდე რუსმა ჭაბუკმა გამოიარა, სად უნდა შეაგროვოს ამხელა არმია პატარა საქართველომ?

თუ ჩვენთან ახალი, ჯერაც ომის უნახავი თაობა გაიზარდა, რომელმაც იმისათვის, რომ ნამდვილ რუსად იქცეს, ვინმე უნდა მოკლას ან თავად უნდა მოკლან?

თუ, უბრალოდ, არჩევნები მოახლოვდა?

ამ "სამხედრო ეიფორიის" შედეგი არ იქნება მხოლოდ პრეზიდენტებს შორის დროებითი შუღლი - პრეზიდენტები მოდიან და მიდიან - კიდევ უფრო უარესი იქნება ნაპრალის გაჩენა ჩვენს ხალხებს შორის, რაც ყოველგვარ ხეობაზე უფრო საშიშია...

არა, ჩემს საქართველოს მე არ დავთმობ.

და არც იმას დავივიწყებ, როგორ მაწვებოდა ცრემლები "ჯარისკაცის მამის" ბოლო კადრების ყურებისას.

# ავთანდილ ჭორბენაძე: "ბასილისთანა ოდიოზური ფიგურები არსებობენ და იარსებებენ..."

პირველი გვერდიდან

მხარე არ არის. სადავო თემებს შორის მთავარი რელიგიური ორგანიზაციების რეგისტრაციის თემაა, თუმცა, გარდა ამისა, დასარეგულირებელია სხვადასხვა კონფესიის წარმომადგენლების სამხედრო სამსახურში გაწვევის, სკოლებში რელიგიის სწავლების, ქონებრივი და სხვა საკითხები.

თუმცა, თითქმის ყველა კონფესიის წარმომადგენელი თანხმდება იმაზე, რომ **"კანონპროექტი საკმაოდ ლიბერალურია და მისი შედარება შეიძლება ევროპულ კანონმდებლობებთან"**.

მიუხედავად ამისა, სხვადასხვა რელიგიების წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ კონსტიტუციური შეთანხმება სახელმწიფოსა და მართლმადიდებელ ეკლესიას შორის და რელიგიის შესახებ კანონი ერთობლივ კონტექსტში უნდა იქნას განხილული, რათა ისინი ერთმანეთის ურთიერთგამომრიცხავი არ აღმოჩნდნენ.

შედარებით უფრო რადიკალურები არიან ამ საკითხში არასამთავრობოები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ახალი კანონპროექტის მიღება სულაც არ იქნება საჭირო, საქართველოში დღეს არსებული კანონები რომ სრულდებოდეს.



ლევან ხერხეულიძის ფოტო

არასამთავრობო სექტორმა უმალ გამოაცოცხლა დისკუსია.

ისინი აცხადებენ, რომ გაუთავებელი განხილვებით ხელოვნურად ხდება პრობლემის გაჭიანურება, რასაც შედეგად საქართველოში ადამიანთა უფლებების დარღვევა და ქვეყნის საერთაშორისო იმიჯის შელახვა მოსდევს.

არასამთავრობოებმა შეხვედრაზე დასვეს ბასილ მკალავიშვილის დაუსჯელობის საკითხიც, რასაც სახელმწიფო მინისტრისგან ასეთი განმარტება მოჰყვა: **"ნებისმიერ საზოგადოებაში ასეთი ოდიოზური ფიგურები არსებობენ და იარსებებენ"...**

საბოლოო ჯამში კი, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა აღმოაჩინეს, რომ კანონპროექტის ვარიანტი, რომელიც მათ გუშინ იუსტიციის სამინისტრომ წარუდგინა, შეთანხმებული ვარიანტი სულაც არ გახლდათ. მასში არ იყო გათვალისწინებული ის შენიშვნები, რომელიც სამინისტროსთან რელიგიური კონფესიებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების კონსულტაციების შედეგად ჩამოყალიბდა. ამის გამო უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილმა სახელმწიფო მინისტრმა იუსტიციის სამინისტროს მეტი სერიოზულობის გამოჩენა მოსთხოვა და საბოლოო შეთანხმება კვლავ მომავალი სხდომებისთვის გადაიდო.

# მოსკოვში საქართველოს საელჩოს პიკეტირება პუტინის პარტიის ინიციატივაა

პირველი გვერდიდან

*"ძვირფასო მოსკოველებო!*

*ამ დღეებში, სამი წლის წინათ ვოლგოდონსკში, მოსკოვსა და ბუინაკსკში გაისმა საცხოვრებელი სახლების აფეთქების ხმა. ერთი წლის წინათ კი მოხდა მთელი მსოფლიოსათვის ღირსსახსოვარი ტერორისტული აქტი ამერიკაში.*

*ახლა რუსეთს სერიოზული საფრთხე ემუქრება საქართველოს ტერიტორიიდან, რომლის ზოგიერთი რაიონი ტერორისტთა საყრდენ ბაზებადაა გადაქცეული. სწორედ იქიდან ესხმიან თავს რუსეთის მშვიდობიან სოფლებსა და ქალაქებს. იღუპებიან ჩვენი თანამემამულეები. იქ პოულობენ თავშესაფარს რუსეთსა და სხვა ქვეყნებში ტერორისტული აქტების ორგანიზატორები.*

*ჩვენ, "ედინაია როსიას" მოსკოვის ორგანიზაციისა და "მოლოდიოჟნოე ედინსტვოს" წარმომადგენლები, ვაცხადებთ, რომ სავსებით ვუჭერთ მხარს პრეზიდენტ პუტინის განცხადებას - საქართველოში, პანკისის ხეობას შეფარებული ტერორისტების წინააღმდეგ უფრო აქტიური ქმედებების განხორციელების შესახებ!*

*რუსეთის ვალია - მოძმე ქართველ ხალხს დაეხმაროს ტერორისტებთან გამკლავებაში!*

*ჩვენ რუსი და ქართველი ხალხის მეგობრობის მომხრენი ვართ!*

*ჩვენ გამოვდივართ საქართველოს ხელისუფლების მიერ ტერორისტთა დამალვის პოლიტიკის წინააღმდეგ!*

*ბანდიტები, სადაც არ უნდა იყვნენ ისინი, დამსახურებულად უნდა დაისაჯონ!"*

რუსეთის პირველი სახელისუფლებო პარტია სამი დიდი საპარლამენტო ფრაქციის - "ედინსტვოს", "ოტეჩესტვოსა" და "ვსია როსიას" ბაზაზეა შექმნილი და სამი ცნობილი ლიდერი ჰყავს: სერგეი შოიგუ, იური ლუჟკოვი და მენტიმირ შეიმიევი. პარტიის მიზნები და ამოცანები პრეზიდენტის კურსის მხარდაჭერაა და ამიტომაც ორგანიზაციის ნებისმიერი აქცია ამ კურსის გაგრძელებად შეიძლება ჩაითვალოს.

პუტინის პარტიას რუსეთში მხარს უჭერენ მოსკოვისა და რუსეთის რეგიონების ახალგაზრდა აქტივისტებიც. ეს ის მოძრაობაა, რომელმაც დიდი თეატრის წინ ქაღალდის თეთრი უნიტაზი დადგა და პორნოგრაფიაში დადანაშაულებული მწერალ სოროკინის წიგნები, საჯარო დახევის შემდეგ, იმპროვიზებულ უნიტაზში "ჩარეცხა". "ედინაია როსიას" მოსკოვის განყოფილების წარმომადგენელმა ნიკოლაი ნიკოლაევმა გვთხოვა, ეს მოძრაობა და პუტინის მხარდამჭერი "მოლოდიოჟნოე ედინსტვო" ერთმანეთში არ აგვერიოს.

ნიკოლაევის კომენტარით, მოსკოვის ქუჩებში შეგროვებული ხელმოწერების რაოდენობას კი არა აქვს მნიშვნელობა, მთავარი ამ აქციაში რუსეთის მოქალაქეთა მონაწილეობაა. მისი ინფორმაციით, მოსკოვის ქუჩებში ჩატარებულმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ მოსახლეობის 90 პროცენტი საქართველოში სამხედრო აქციის ჩატარებას უჭერს მხარს. ათმა პროცენტმა კი, ძირითადად, კომუნისტებმა და პენსიონერებმა, პარტიის პეტიციას ხელი იმ მოტივით არ მოაწერეს, რომ ისინი, პანკისის ხეობის გარეშეც, პუტინის პოლიტიკის წინააღმდეგ გამოდიან.

და კიდევ ერთი: ცნობილი ფაქტია, რომ რუსეთის და, განსაკუთრებით, მოსკოვის ახალგაზრდობა, ძირითადად, თინეიჯერთა ასაკის მოზარდები, თავიანთი იშვიათი აპოლიტიკურობით გამოირჩევიან. მოსკოვის ქუჩებში "ედინაია როსიას" ახალგაზრდა აქტივისტთა აქტიურობა დაფინანსებული არ ყოფილა, - ამტკიცებს ნიკოლაევი. მსგავს აქციებში ახალგაზრდების მოზიდვა კრემლის პოლიტიკის ერთი საინტერესო ნიუანსია, რომელიც დღეიდან თანამედროვე რუსი ახალგაზრდობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის პროგრამაში ჩაეწერება.

კულუარები

# გიორგი თარგამაძის "ვია-დოლორესა"

გიორგი ასანიშვილი

მასმედიაში უკვე გაჟონა ინფორმაციამ იმის შესახებ, რომ "აღორძინების" შიგნით საკმაოდ მწვავე დაპირისპირება არსებობს. პრესის მასალების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, საქმე იქით მიდის, რომ ბათუმური ალიანსის ერთ-ერთმა ლიდერმა გიორგი თარგამაძემ, შესაძლოა, არა მარტო "დემოკრატიული აღორძინების კავშირის" თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარის პოსტი, არამედ საპარლამენტო ფრაქცია და, საერთოდ, პარტიაც კი დატოვოს.

"24 საათის" მიერ მოპოვებული ინფორმაციით, 2 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ნაჩვენები არადამაკმაყოფილებელი შედეგის შემდეგ, ჯემალ გოგიტიძემ, სანდრო ბრეგაძემ და ჯონდი ბაღათურიამ გიორგი თარგამაძეს მეტად სერიოზული ბრალდებები წაუყენეს. ფრაქცია "ერთიანი საქართველოს" ხელმძღვანელი, კერძოდ, იმაში დაადანაშაულეს, რომ საარჩევნო კამპანიის დროს აჭარის ლიდერი ასლან აბაშიძე სპეციალურად "მიჩქმალა", სათანადოდ არ წარმოაჩინა და წინა პლანზე მხოლოდ თავისი პერსონა წამოსწია. როდესაც ასლან აბაშიძე დაარწმუნეს იმაში, რომ თარგამაძე საკუთარ პოლიტიკურ დასაყრდენს იმზადებს და დამოუკიდებელი თამაშისთვის ემზადება, გარკვეული პერიოდის განმავლობაში აჭარის თავკაცი მას ძალიან შემოსწყრა და აუდიენციაზეც კი უარს ეუბნებოდა.



ვინ იფიქრებდა - სანდრო ბრეგაძე და გიორგი თარგამაძე.

საქინფორმი

კიდევ ერთი პრეტენზია, რომელიც ჯემალ გოგიტიძისა და სანდრო ბრეგაძის გუნდმა წაუყენა გიორგი თარგამაძეს, თბილისის საკრებულოში "აღორძინების" საარჩევნო სიებს შეეხება. ფრაქცია "აღორძინების" თავმჯდომარისა და მისი მომხრეების უკმაყოფილება კიდევ უფრო გაღრმავდა, როდესაც დედაქალაქის პარლამენტში გასულმა "აღორძინების" დეპუტაციამ (გიორგი ტაბიძე, დავით იოსელიანი, გია მურღულია) გოგიტიძე-ბრეგაძის დაჯგუფებისგან შორს დაიჭირა თავი. ამით ნათლად გამოჩნდა, რომ თბილისის საკრებულოში თავის ფრაქციაზე "აღორძინების" გავლენა მეტად ჰიპოტეტურია. ამიტომაც, გიორგი თარგამაძეს წაუყენეს მოთხოვნა, გია მურღულია იძულებული გაეხადა, მოეხსნა თავისი კანდიდატურა. ამ დაპირისპირების გამოძახილს წარმოადგენდა აგრეთვე გიორგი ტაბიძის ცემის ფაქტიც - როგორც ჩანს, საკრებულოს ურჩი წევრების მოსათვინიერებლად, ფიზიკური ზეწოლის გარდა, პარტიულ "ოჯახში" სხვა გზა ვერ მოძებნეს.

ასეთ ვითარებაში, გიორგი თარგამაძე იძულებული ხდება, მისდამი მტრულად განწყობილი გარემოცვიდან თავის დაღწევის გზები ეძებოს. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, მას კონსულტაციები ჰქონდა "ახალ მემარჯვენეებთან" და "გაერთიანებულ დემოკრატებთან", თუმცა, ისინი რაიმე კონკრეტული შედეგით არ დასრულებულა. ეს არც არის გასაკვირი. თარგამაძისთვის ძალიან ძნელია, "აღორძინებასთან" დამაკავშირებელი ყველა ხიდის ერთბაშად დაწვა. გარდა იმისა, რომ აჭარასთან მას ეკონომიკური ინტერესები აკავშირებს, ეტყობა, მუშაობს ფსიქოლოგიური ფაქტორიც: ფრაქცია "ერთიანი საქართველოს" თავმჯდომარე შინაგანად წესიერი ადამიანია და იცის, რომ წინ აუცილებლად დაუხვდება მის მიერ არაერთხელ ნათქვამი - "როგორც პოლიტიკოსი, ასლან აბაშიძემ დამაყენა ფეხზე". ვინაიდან საკუთარ წარსულს პატივს სცემს, ამიტომაც უჭირს თარგამაძეს მასთან გამოთხოვება და ასლან აბაშიძისგან მიღებული ყოველმხრივი სიკეთის დავიწყება.

არადა, ერთხანს თბილისის საკრებულოს "მეამბოხე სამეული" მზად იყო, "აღორძინების" შიგნით არსებული წინააღმდეგობები ღიად დაეფიქსირებინა, მაგრამ თარგამაძე ამაზე არ წავიდა. იგი ხვდება, რომ ტაბიძე-იოსელიანი-მურღულიას ტრიოს ბოლომდე ვერ აკონტროლებს და, "ახლებთან" გადაბარგების შემთხვევაში, არა აქვს მტკიცე გარანტია იმისა, რომ ისინი ბოლომდე უერთგულებენ.

გარდა ამისა, გიორგი თარგამაძეს ისიც აბრკოლებს, რომ მან საკმაოდ ძლიერი პოტენციური მოკავშირეც დაკარგა. ბათუმურ "ოჯახში" ერთხანს, თითქოს, ვალერი გელბახიანიც აითვალწუნეს და მას თარგამაძისკენ გაუწია გულმა, მაგრამ ბოლო მომენტში "ცენტრში", ეტყობა, მიხვდნენ, რომ მისი გადამტერება არ ღირდა და ფრაქცია "აღორძინების" თავმჯდომარის შერისხვისგან თავი შეიკავეს. ყოველ შემთხვევაში, დროებით მაინც.

"აღორძინების" შიგნით მიმდინარე დაპირისპირება იმ ფარული "ომის" გამოხატულებაა, რომელიც ამ პოლიტიკური ორგანიზაციის ბათუმურ და თბილისურ დაჯგუფებებს შორის მიმდინარეობს. 2 ივნისის არჩევნებმა მხოლოდ კატალიზატორის როლი ითამაშა და შიდა კონფლიქტის პროცესი დააჩქარა. დღეს ბრძოლა უკვე მომავალი საარჩევნო სიების ირგვლივ და, საერთოდ, ამ არჩევნების წინ პარტიის შიგნით პოზიციების გასამაგრებლად წარმოებს. ადგილობრივი პარტიული ბოსები სულ უფრო ხშირად შეახსენებენ ასლან აბაშიძეს, თუ რა შედეგი მოიტანა "გარეშე", თბილისურ ძალებზე ორიენტაციამ - "ტრადიციონალისტები" დიდი ხნის წინათ გაემიჯნენ ოფიციალურ ბათუმს, განზე იყურებიან "სოციალისტებიც", რომელთა ლიდერიც უკვე ღიად ეწევა ფლირტს ცენტრალურ ხელისუფლებასთან.

დღეს ძნელი სათქმელია, რას გადაწყვეტს საბოლოოდ ასლან აბაშიძე - მოიბრუნებს გულს "ვარსკვლავთბიჭუნაზე" თუ გიორგი თარგამაძეს იძულებულს გახდის, "ვია-დოლორესას" დაადგეს. კვანძის გახსნას, ალბათ, დიდი დრო არ დასჭირდება - მარტივი პოლიტიკური ჭეშმარიტებაა, რომ დელიკატურ კითხვებს საარჩევნო ცაიტნოტის დადგომამდე უნდა გაეცეს პასუხი.



# ინვესტიციების მოცულობამ კატასტროფულად იკლო

თორნიკე შარაშენიძე

2001 წელს საერთაშორისო ინვესტიციების მოცულობა, წინა წელთან შედარებით, 50 პროცენტით დაეცა. ეს პირველი კლებაა ბოლო 10 წლის განმავლობაში და ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ბოლო 30 წლის მანძილზე. ასეთმა შემაშფოთებელმა ცნობამ გაიჟღერა გაერო-ს კონფერენციაზე, რომელიც ვაჭრობისა და ეკონომიკური განვითარების საკითხებს მიეძღვნა.

როგორც კონფერენციის მონაწილეებმა აღნიშნეს, გასული წელი ბევრი სხვა მაჩვენებლითაც იმედგამაცრუებელი იყო, მაგრამ ყველაზე დიდი ჩავარდნა მაინც პირდაპირ გარე ინვესტიციებს ჰქონდა, რისი გავლენაც ყველაზე მტკივნეულად საკუთარ თავზე დასავლეთ აფრიკამ იწვნია. მართალია, მთლიანად კონტინენტზე ინვესტიციების საერთო რაოდენობა 600 მილიონი დოლარიდან 4,2 მილიარდ დოლარზე ავიდა, მაგრამ აქედან ლომის წილი სულ სამ ქვეყანაზე მოდიოდა. ესენია: მოზამბიკი, ანგოლა და სუდანი.

ინვესტიციათა კლების მიუხედავად, კონფერენცია მაინც იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ტრანსნაციონალური კორპორაციების გავლენა მსოფლიო ეკონომიკაზე იზრდება. ამჟამად მსოფლიოს მთლიანი შიდა პროდუქტის ერთი მეათედი სწორედ უცხოურ ინვესტიციებზე მოდის. დამაიმედებელია ის ფაქტიც, რომ გასულ წელს დიდი ნაბიჯები გადაიდგა პრივატიზაციისა და ტექნოლოგიური ცვლილებების მიმართულებითაც.

ყოველივე ეს კონფერენციას ოპტიმისტური დასკვნების საფუძველს აძლევს. თუმცა, იმ ფაქტს, რომ გასული წელი ინვესტიციების მხრივ კატასტროფული იყო, ვერსად წაუვალთ. ეს კიდევ უფრო მძიმე მოსანელებელია იმის გათვალისწინებით, რომ ინვესტიციებმა პიკს სწორედ ერთი წლით ადრე მიაღწია – 2000 წელს მათი საერთო რაოდენობა 753 მილიარდ დოლარზე ავიდა. გასულ წელს ჩაკვდა კორპორაციული გაერთიანებებიც: ტრანსაქციათა საერთო ღირებულებამ ერთი მილიარდი დოლარი შეადგინა, მაშინ, როცა 2000 წელს 175 მილიარდი დოლარი იყო. სამწუხაროდ, დიდი აღმაფრენით ამ მხრივ არც მიმდინარე წელი იქნება გამორჩეული. პირველი 6 თვის განმავლობაში ინვესტიციებისა და კორპორაციული გაერთიანებების მოცულობა, გასულ წელთან შედარებითაც კი, დაბალია. ცხადია, ეს, პირველ რიგში, განვითარებად და ღარიბ ქვეყნებზე იმოქმედებს მძიმედ. ვარაუდობენ, რომ წელს ისინი 59 პროცენტით ნაკლებს მიიღებენ, ვიდრე 2000-ში.

ყველაზე მსხვილ ინვესტორად აშშ რჩება. მას გვარიანად ჩამორჩა ევროგაერთიანება. იქაურ კომპანიათა მიერ განხორციელებული პირდაპირი გარე ინვესტიციების მოცულობა 2001 წელს 60 პროცენტით დაეცა.

14 პროცენტით დაეცა განვითარებადი სამყაროს მიერ მიღებული ინვესტიციები, რის ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად არგენტინის ეკონომიკურ კრიზისს ასახელებენ. ერთადერთი ნათელი წერტილი, შარშანდელი მონაცემების მიხედვით, ჩინეთია, რომლის მიერ მიღებული პირდაპირი ინვესტიციების მოცულობა 15 პროცენტით გაიზარდა და 46,8 მილიარდი დოლარი შეადგინა. ეს ნიშნავს, რომ ახლა ჩინური ექსპორტის 50 პროცენტი ინვესტიციებზე მოდის, მაშინ, როცა 10 წლის წინათ ეს მაჩვენებელი 17 პროცენტი იყო.

# მომავალი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პარამეტრები ჯერ კიდევ დაუზუსტებელია

პირველი გვერდიდან

ბიუჯეტის პროექტი მთავრობის წევრებს ფინანსთა მინისტრმა მირიან გოგიაშვილმა წარუდგინა. დასრულებული სახით ეს პროექტი პარლამენტში ოქტომბრის დასაწყისში უნდა შევიდეს. დღეს მთავრობა მას ისევ ავთანდილ ჯორბენაძესთან, ხვალ კი პრეზიდენტთან ერთადაც განიხილავს. გოგიაშვილის მოხსენების თანახმად, 2003 წელს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი, დაახლოებით, 1.018, ხოლო ხარჯვითი ნაწილი 1.239 მილიარდი ლარით განისაზღვრება. მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა 4.5 პროცენტის, ხოლო ინფლაცია ხუთი პროცენტის ფარგლებშია ნავარაუდევი. ძალოვანი სტრუქტურების, ენერგეტიკის, სოციალური, განათლებისა და კულტურის სფეროების დაფინანსების გაზრდისთვის აუცილებელი 70-მილიონიანი მატება, რომლის მიღწევას მთავრობა ადმინისტრირების გაუმჯობესების წყალობით იმედოვნებს, საგადასახადო შემოსავლების ზრდის ხარჯზე უნდა იქნას მიღწეული, შესაბამისად, გაისად ეს პარამეტრი 643 მილიონი ლარით განისაზღვრება.

სამაგიეროდ, მთავრობა არასაგადასახადო შემოსავლების შემცირებას ვარაუდობს. ბიუჯეტის პროექტში, წლევანდელთან შედარებით, ეს მაჩვენებელი 13 მილიონი ლარით დაიკლებს და 66 მილიონს შეადგენს.



ბიუჯეტის პროექტის განხილვაზე.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

მათ შორის, 30 მილიონი ლარის მიღება პრივატიზაციიდან იგეგმება. ამ თანხიდან 19 მილიონი ლარი ცენტრალურ, ხოლო 11 მილიონი ლარი ადგილობრივ ბიუჯეტებში უნდა შევიდეს.

ფინანსთა მინისტრმა 2003 წელს მისაღები გრანტების ოდენობის დაკონკრეტებისგან მსოფლიო ბანკის მისიასთან მომავალ შეხვედრამდე თავი შეიკავა. თუმცა, უკვე ცნობილია, რომ მსოფლიო ბანკის მიერ გამოსაყოფი სტრუქტურულ გარდაქმნათა კრედიტი გაისად, 20-ის ნაცვლად, 15 მილიონი დოლარით განისაზღვრება, დაკლებული ხუთი მილიონი კი, ქართული მხარის თხოვნით, საინვესტიციო პროექტების დასაფინანსებლად წარიმართება.

მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტში ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვის ერთ-ერთი საშუალების, სახაზინო ვალდებულებების ემისიის ათ მილიონ ლარამდე შემცირება აქვს გათვალისწინებული. ამ გადაწყვეტილებას მირიან გოგიაშვილი სადისკონტო ხარჯების ზრდით ხსნის, რაც ფინანსთა სამინისტროს საკმაოდ მძიმე ტვირთად აწვება. ამ პოზიციას არ იზიარებს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ირაკლი მანაგაძე. მისი თქმით, შარშან და წელს სახაზინო ვალდებულებების ემისიის ზრდამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოს ფინანსური ბაზრის გამოცოცხლებაში. ამის გათვალისწინებით, მანაგაძე სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ემისიის მოცულობის, მინიმუმ, წლევანდელ დონემდე, ანუ ოც მილიონ ლარამდე შენარჩუნების მომხრეა, მით უმეტეს, რომ ამასვე ითხოვს სავალუტო ფონდიც. რაც შეეხება სადისკონტო ხარჯების ზრდას, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ამას სახაზინო ვალდებულებების ემისიის დაგეგმვის დროს დაშვებულ ხარვეზებს მიაწერს.

საინტერესოა, რომ გუშინ მთავრობისთვის წარდგენილი ბიუჯეტის პროექტი იმ ცვლილებების გაუთვალისწინებლად არის შედგენილი, რომელსაც ფინანსთა სამინისტროს მიერვე შექმნილი საგადასახადო კოდექსის გამარტივებული პროექტი მოიცავს. საგადასახადო კოდექსის ეს ვარიანტი პარლამენტში განსახილველად უკვე გადაგზავნილია. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის გარდა, ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს მიერ შედგენილია ეკონომიკის განვითარების ინდიკატური გეგმაც. ამ გეგმის და ბიუჯეტის პარამეტრები ერთმანეთთან თითქმის სრულ შესაბამისობაშია, თუმცა, შემდგომ დამუშავებას ორივე მათგანი საჭიროებს.

## ბიზნესის ამბები

# „მიშელინსა“ და „გუდიარს“ ფასების გაზრდა სურთ

საბურავების მწარმოებელი ორი მსხვილი კონცერნი - "მიშელინი" და "გუდიარი" თავიანთ პროდუქციაზე ფასების გაზრდას აპირებენ. ამ კომპანიების წარმომადგენელთა განცხადებით ფასების მომატება ხარისხის გაუმჯობესების აუცილებლობით არის ნაკარნახევი. ბუნებრივია, საბურავების გაძვირება ავტომანქანების ღირებულებაზეც აისახება.

"ფორდის" წარმომადგენლის - პოლ ვუდის განცხადებით, მისმა კომპანიამ უკვე იგრძნო უარყოფითი შედეგები საბურავების გაძვირების გამო. ამის მიუხედავად ავტოკონცერნი არ აპირებს გაზარდოს ფასები საკუთარ პროდუქციაზე.

"ფორდის" კონკურენტი "ჯენერალ მოტორსი" უარყოფს ცნობას საბურავების შესაძლო გაძვირების შესახებ. "მიშელინს" მოსალოდნელი ცვლილებების თაობაზე ინფორმაცია ჯერჯერობით არ გამოუქვეყნებია.

# ყველა პრობლემის სათავე „ეი-ი-ესთან“ გაფორმებულ ჩარჩო-ხელშეკრულებაშია

პირველი გვერდიდან

**"ნებისმიერი ინვესტორი, რომელიც შემოდის ქვეყანაში, თავისი ინტერესების განხორციელებას ცდილობს. ის წესები, რომელთა მიხედვითაც "ეი-ი-ეს თელასი" მოქმედებს, ქართული მხარის მიერ არის ჩადებული ჩარჩო-ხელშეკრულებაში. რაც შეეხება თავად ხელშეკრულების გადახედვის პროცესს, ეს ჩვეულებრივი მოვლენაა და არა მგონია, "ეი-ი-ესი" ამის წინააღმდეგი იყოს,"** - მიაჩნია არმაზ თავაძეს.

"ეი-ი-ეს თელასის" ლობისტი ირაკლი მელაშვილი კი აცხადებს, რომ კომპანია განსახილველად მხოლოდ კონკრეტულ წინადადებებს მიიღებს და ზოგადად ჩარჩო-ხელშეკრულების გადახედვაზე საუბარი ზედმეტია. გარდა ამისა, მისი განცხადებით, ამგვარი პროცესი მხოლოდ ორივე მხარის თანხმობის საფუძველზე უნდა დაიწყოს.

იუსტიციის სამინისტროში გამართულ გუშინდელ შეხვედრაზე არ ყოფილა საუბარი "ელექტროენერგიის ტარიფის შესახებ" დადგენილების პროექტის შესახებ, რომელიც სამინისტრომ ადრე განიხილა და შენიშვნებითურთ სემეკს გადაუგზავნა. როგორც სემეკის თავმჯდომარე ელიზბარ ერისთავი აცხადებს, იუსტიციის სამინისტროს მთავარი შენიშვნა ტარიფის გაზრდის შესახებ მოთხოვნის დასაბუთებას ეხებოდა.

**"ჩვენ გავიზიარეთ ეს შენიშვნა და დავასაბუთეთ, თუ რატომ უნდა გაიზარდოს ტარიფი. ასე რომ, ახლა საბოლოო დასკვნას იუსტიციის სამინისტროდან ველოდებით. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ტარიფის გაზრდასთან დაკავშირებით რაიმე წინააღმდეგობა იუსტიციის სამინისტროს მხრიდან არ ყოფილა,"** - აცხადებს ელიზბარ ერისთავი.

ჩარჩო-ხელშეკრულების გადახედვის საკითხთან ერთად, შეხვედრაზე ზოგადად ტარიფის შემუშავების მეთოდოლოგიის შეცვლის საკითხიც დაისვა. კერძოდ, არმაზ თავაძის განცხადებით, უნდა შეიცვალოს ტარიფის შემადგენელი კომპონენტების დადგენის მეთოდები.

# დასრულდა ზალცბურგის ევროეკონომიკური სამიტი

ავსტრიის პრეზიდენტმა თომას კლესტილმა შეაჯამა ზალცბურგში მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის საორგანიზაციო კომიტეტის მიერ ჩატარებული ევროეკონომიკური სამიტის შედეგები და აღნიშნა, რომ ევროპამ მნიშვნელოვანი წვლილი უნდა შეიტანოს საერთაშორისო პრობლემების კომპლექსური გადაჭრის საქმეში. "იმისათვის, რომ ეს შესაძლებელი იყოს, ევროპა უნდა გაერთიანდეს", - განაცხადა მან. კლესტილის შეფასებით, ევროკავშირის გაფართოების ახლანდელი ეტაპი ამ მიმართულებით გადადგმული მხოლოდ ერთი ნაბიჯია და ამ პროცესის ფინალი იქნება, ევროკავშირში გაწევრიანების მსურველი ყველა სახელმწიფოს გაერთიანებაში. მისი აზრით, ევროკავშირმა უნდა შეამციროს ბიუროკრატიის დონე ბრიუსელში და მეტი ყურადღება დაუთმოს ადამიანთა უფლებების დაცვას.

ზალცბურგის შეხვედრას ორმოცი ქვეყნის 600-ზე მეტი პოლიტიკოსი, დიპლომატი, პარლამენტარი, ბიზნესმენი და მეცნიერი ესწრებოდა, მათ შორის, თერთმეტი ქვეყნის პირველი პირებიც გახლდნენ. ყველაზე მრავალრიცხოვანი – სამოცკაციანი დელეგაციით სამიტზე რუსეთი იყო წარმოდგენილი.

# 2003 წელს წყლის მრიცხველებს დაგვიმონტაჟებენ

მაია ურუშაძე

*ამჟამად თბილისში ცნობილი ფრანგული წყალმომმარაგებელი ფირმა "ვივენდის" კომპანია "Compagnie Generale Des Eaux"-ისა და ასევე ცნობილი ინგლისური "Anglian Water Plc."-ის წარმომადგენლები იმყოფებიან. შეგახსენებთ, რომ ეს ფირმები "თბილწყალკანალისთვის" გამოცხადებულ ტენდერში ფრანგულ "Suez Lyonnaise Des Eaux"-თან, გერმანულ "Berlinwasser International GMbH"-სა და იტალიურ "ACEA S.p.A.-Aquedotto"-სთან ერთად მონაწილეობენ. იტალიური "ACEA S.p.A.-Aquedotto," ოთხწლიანი მართვის უფლებით, ერევნის წყალგამანაწილებელ სისტემას ფლობს. რაც შეეხება ფრანგულ "ვივენდის", მან თბილისის წყალმომარაგების სისტემის მიმართ ინტერესი ჯერ კიდევ მაშინ გამოამჟღავნა, როცა ხელისუფლებამ "თბილწყალკანალის" პირდაპირი წესით გასხვისებაზე პირველად დაიწყო საუბარი.*

როგორც "24 საათი" უკვე წერდა, "თბილწყალკანალის" სარეაბილიტაციოდ მსოფლიო ბანკმა 25 მილიონი დოლარი გამოჰყო. კრედიტი 40-წლიანია და მისი გადახდა 10 წლის შემდეგ უნდა დაიწყოს. მსოფლიო ბანკის კრედიტს სახელმწიფო იმ კომპანიას გადასცემს ასათვისებლად, რომელიც ტენდერში გაიმარჯვებს. ეს კომპანია საიჯარო ხელშეკრულებას გააფორმებს საქართველოსთან და თბილისის წყალმომარაგების სისტემის მენეჯმენტსაც მომავალი 10 წლის მანძილზე თავად განახორციელებს.

გამარჯვებულის გამოვლენა ქართული მხარის გადაწყვეტილების მიხედვით მოხდება. უპირატესობას სატენდერო კომისია იმ კომპანიას მიანიჭებს, რომელიც სამუშაო გეგმის ყველაზე მისაღებ და მომგებიან ვარიანტს წარადგენს. გათვალისწინებული იქნება კომპანიების მიერ შემოთავაზებული საოპერატორო ტარიფის ოდენობაც.

კონკურსის მონაწილეებმა საკუთარი წინადადებები ქართულ მხარეს ნოემბრის ბოლოსთვის უნდა წარუდგინონ, სატენდერო კომისია კი მათ ორი თვის განმავლობაში შეისწავლის. შედეგად, თბილისის წყალმომარაგების სისტემის ოპერატორის ვინაობა 2003 წლის იანვარში გახდება ცნობილი.

მსოფლიო ბანკის კრედიტიდან თბილისის წყალმომარაგების სისტემის რეკონსტრუქციის სატენდერო დოკუმენტაციის მომზადებისთვის მილიონ ექვსასი ათასი დოლარი უკვე დაიხარჯა. "თბილწყალკანალის" გენერალური დირექტორის იუზა ცარციძის ინფორმაციით, პროექტი, რომელიც ბრიტანულმა საკონსულტაციო კომპანია "GIBB"-მა წარადგინა, შეთანხმებულია საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტთან, ქონების მართვის, ეკონომიკის, ურბანიზაციისა და გარემოს დაცვის სამინისტროებთან, თბილისის საკრებულოსა და მთავრობასთან, სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურთან.

სამუშაო ჯგუფები, რომლებიც ტენდერში მონაწილე ფირმებმა თბილისში გამოგზავნეს, "თბილწყალკანალის" სისტემას შეისწავლიან. სწორედ მათი მონაცემები დაემატება ამ ფირმებისთვის გაგზავნილ სატენდერო დოკუმენტაციას, რის საფუძველზეც ისინი თბილისის წყალგაყვანილობის სისტემის რეაბილიტაციის ბიზნეს-გეგმას დაამუშავებენ.

**"იმის შესახებ, რომ "თბილწყალკანალის" საქსელო მეურნეობა, მთავარი მაგისტრალების ჩათვლით, საკმაოდ მოძველებულია და შეცვლას საჭიროებს, ფრანგებს უკვე აქვთ ინფორმაცია. სამაგიეროდ, მათ კმაყოფილებას ჩვენი წყლის ხარისხი იწვევს. მიუხედავად ამისა, გაფილტვრის ტექნოლოგიების სრულყოფა, სავარაუდოდ, მაინც დასჭირდებათ. გარდა ამისა, საჭირო იქნება სათავე ნაგებობის გადაიარაღება,"** – განაცხადა "თბილწყალკანალის" პრეს-სამსახურის ხელმძღვანელმა გოჩა ჯელიამ.

სატენდერო პირობების მიხედვით, უახლოესი ერთი წლის მანძილზე უცხოური კომპანია არც წყლის აღრიცხვის სისტემას შეეხება და ფიქსირებულ გადასახადსაც – სულზე 1,2 ლარს – ხელუხლებლად შეინარჩუნებს. თუმცა, "თბილწყალკანალში" ვარაუდობენ, რომ ერთი წლის მერეც, ანუ მას შემდეგ, რაც უცხოელები წყლის მრიცხველებს დაამონტაჟებენ, ტარიფი მნიშვნელოვნად არ უნდა შეიცვალოს.

**"მას შემდეგ, რაც მოწესრიგდება აღრიცხვიანობის სისტემა და გადავალთ დახარჯული წყლის აღრიცხვაზე, მიმაჩნია, რომ წყლის გადასახადი დიდად არ მოიმატებს, რადგან უკვე მოწესრიგებული იქნება "თბილწყალკანალის" მეურნეობა და, ამდენად, მოსახლეობისათვის წყლის მიწოდების ხარჯებიც ნაკლები იქნება",** - მიიჩნევს გოჩა ჯელია.

უცხოურ კომპანიებს სატარიფო პოლიტიკის შემუშავების საკითხში სრული თავისუფლება ენიჭებათ. მათ არ დაუწესდათ ე.წ. "ზედა ზღვარი". თუმცა, გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ სატენდერო კომისია გამარჯვებული ფირმის გამოვლენისას ტარიფის მაჩვენებლებსაც გაითვალისწინებს და, ბუნებრივია, ყველაზე დაბალ ტარიფს მიანიჭებს უპირატესობას.

თბილისის წყალგაყვანილობის სისტემაში უცხოელების შემოსვლის შემდეგ წყალზე ორი სახის: საოპერატორო და მოსახლეობისათვის განკუთვნილი ტარიფი დაწესდება, თავად ტარიფის ოდენობას კი არა ქალაქის საკრებულო, არამედ იმ დროისათვის უკვე საგანგებოდ შექმნილი დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო დაადგენს.

როგორც "თბილწყალკანალში" გვაცნობეს, სახელმწიფო იმ თვრამეტი სახის შეღავათსაც შეინარჩუნებს, რითაც დღემდე სარგებლობენ სოციალურად დაუცველი პირები, რომელთაგან ნაწილი საერთოდ გათავისუფლებულია წყლის გადასახადისაგან, ხოლო ნაწილი კი განახევრებულ გადასახადს იხდის.

# ბიზნესი ბავარიულად

"გერმანიის სამხრეთ ფედერალურ მიწებზე საშუალო მეწარმეობისთვის ოპტიმალური პირობებია შექმნილი. მათ შორის ყველაზე საუკეთესო პირობებით ბავარია გამოირჩევა," – ასეთია "Cap Gemini Ernst & Young"-ის მიერ ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის შედეგი. გამოკითხვაში ფირმების ხუთი ათასი ხელმძღვანელი მონაწილეობდა.

მათი შეფასებით, ბავარია გამოირჩევა არა მარტო მოხერხებული ინფრასტრუქტურით, არამედ, საჭიროების შემთხვევაში, აქ მეწარმეებისთვის იოლია მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალის შოვნაც.

გამოკითხვის შედეგების მიხედვით, ბოლო ადგილზე აღმოჩნდა საქსონია-ანჰალტი. საერთო ჯამში, საშუალო ბიზნესის წარმომადგენლების შეფასებით, გერმანიის რეგიონებში შექმნილმა ბიზნეს-გარემომ "კარგი" დაიმსახურა.

### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2002 წლის 13 - 19 სექტემბრის მდგომარეობით




მსოფლიოს წამყვანი ვალუტების კროსკურსები

| | UK£ | US$ | €uro | ¥en |
|---|---|---|---|---|
| UK£ | | 0.6503 | 0.6327 | 0.0053 |
| US$ | 1.5376 | | 0.9725 | 0.0082 |
| €uro | 1.5805 | 1.0282 | | 0.0085 |
| ¥en | 186.97 | 121.6 | 118.3 | |

### 2002 წლის 19 სექტემბრიდან უცხოური ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები:

| | | |
|---|---|---|
| ევრო | 1 | 2.1139 ლარი |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | 1 | 3.3443 ლარი |
| შვეიცარიული ფრანკი | 1 | 1.4396 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.1750 ლარი |
| თურქული ლირა | 1 000 000 | 1.3102 ლარი |
| იაპონური იენი | 10 | 0.1778 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0687 ლარი |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 000 | 0.4439 ლარი |
| სომხური დრამი | 100 | 0.3846 ლარი |
| უკრაინული გრივნა | 10 | 4.0816 ლარი |

# უზენაესი სასამართლო „მადნეულისა“ და „გლენკორის“ სარჩელებს არ აკმაყოფილებს

სოფო კვინტრაძე

*გუშინ შედგა შპს "მადნეულისა" და შვეიცარიული კომპანიის "გლენკორ ინტერნეიშენელის" კერძო სარჩელების განხილვა, რომელიც უზენაეს სასამართლოში ერთხელ უკვე გადაიდო. სასამართლო კოლეგიის გადაწყვეტილების თანახმად (მოსამართლე მიხეილ გოგიშვილი), "მადნეულისა" და "გლენკორ ინტერნეიშენელის" სარჩელები არ დაკმაყოფილდა. სასამართლო დავა, რომელშიც ერთ მხარეს "მადნეული" და "გლენკორ ინტერნეიშენელი", ხოლო მეორე მხარეს შპს "ეკოექსპერტი" წარმოადგენენ, უკვე ხუთი წელია, სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოებში განიხილება. უზენაესი სასამართლოს გუშინდელი გადაწყვეტილება კი საბოლოოა და კასაციას არ ექვემდებარება.*

"24 საათი" ვრცლად წერდა აღნიშნული სასამართლო დავის შესახებ, რომელიც "მადნეულის" გაკოტრების საქმეს შეეხება. შვეიცარულმა კომპანია "გლენკორ ინტერნეიშენელმა", რომელიც "მადნეულის" პროდუქციის ექსკლუზიური მყიდველი და, ამასთანავე, მისი ერთ-ერთი მსხვილი კრედიტორია, 1999 წელს ბოლნისის რაიონულ სასამართლოში სარჩელი შეიტანა "მადნეულის" გაკოტრების თაობაზე. სასამართლომ საქმის განხილვა დაიწყო; მაგრამ, მალევე შეაჩერა, რადგან "მადნეულის" მიერ გარანტორად დასახელებულმა შპს "კვარციტმა" გარანტორობაზე უარი განაცხადა. ამდენად, ახალი სასამართლო დავა წარმოიშვა, რომელსაც უნდა გაერკვია, მართლაც აძლევს თუ არა შპს "კვარციტი" "მადნეულს" ფინანსურ გარანტიას. აღნიშნული საკითხი ჯერაც არ გადაწყვეტილა. შესაბამისად, ბოლნისის რაიონულ სასამართლოში მადნეულის გაკოტრების საქმის განხილვაც შეჩერებულია.

"მადნეულის" ერთ-ერთმა კრედიტორმა შპს "ეკოექსპერტმა", რომელმაც საწარმოს დაკვეთით "მადნეულში" ეკოლოგიური *ექსპერტიზა* ჩაატარა და გაწეული მომსახურების საფასურის (13 000 დოლარის) გადახდას ითხოვს, თბილისის საოლქო სასამართლოში გაასაჩივრა ბოლნისის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება "მადნეულის" გაკოტრების საქმის შეჩერების შესახებ. საოლქო სასამართლომ "ეკოექსპერტის" დირექტორის, ვახტანგ ზარქუას, სარჩელი დააკმაყოფილა.

მაგრამ, დავა ამით არ დასრულებულა, "მადნეულმა" და "გლენკორმა" უზენაეს სასამართლოს მიმართეს. უზენაესი სასამართლოს გუშინდელი გადაწყვეტილების თანახმად კი, შპს "მადნეულმა" კრედიტორების ვალებით მომსახურება უნდა განაახლოს. თუმცა, როდის დაიწყება ეს პროცესი, კრედიტორთა გადასაწყვეტია. ასევე, ჯერჯერობით, გაურკვეველია განახლდება თუ არა ბოლნისის სასამართლოში "მადნეულის" გაკოტრების საქმის განხილვა. როგორც "გლენკორ ინტერნეიშენელის" ადვოკატი ირაკლი კორძახია აცხადებს, გაკოტრების შესახებ ახალი კანონის თანახმად, საქმის წარმოებისას გარანტორის არსებობა აუცილებელი აღარაა. აღნიშნული ცვლილება "გლენკორ ინტერნეიშენელისთვის" ნაკლებმომგებიანია; ამგვარად, როგორც კორძახია აცხადებს, შვეიცარულმა კომპანიამ, რომელიც "მადნეულს" ორ მილიონ შვიდასი ათას დოლარს ედავება, შესაძლოა "მადნეულისგან" სხვა სახის გარანტიები მოითხოვოს.

# „ყველაზე პოლიტიკური მილსადენის" საძირკველი გაიჭრა

პირველი გვერდიდან

ზემოთ მოყვანილი ხუთივე განცხადება, რომელიც ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში გაკეთდა (განსაკუთრებით, ალბათ, ბოლო მათგანი) იმ ნავთობსადენის დიდ სტრატეგიულ მნიშვნელობას მოწმობს, რომელსაც გაზეთმა "ფაინენშელ ტაიმსმა" უწოდა "ყველაზე პოლიტიკური მილსადენი, რომელიც ოდესმე აშენებულა".

გუშინ ბაქოსთან ახლოს მდებარე სანგაჩალის ტერმინალში საზეიმოდ გაიხსნა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობა. საზეიმო ცერემონიალში ოთხი ქვეყნის წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა. საქართველოს, თურქეთისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტები წარმოადგენდნენ, ხოლო აშშ-ს - ენერგეტიკის მინისტრი და, თუ ზემოთ მოყვანილ განცხადებების მიხედვით ვიმსჯელებთ, ოთხივე მათგანი საკუთარ ტრიუმფს ზეიმობდა.

მიუხედავად იმისა, რომ ოთხივე ხსენებული ქვეყანა, უკვე რვა წელია, პროექტს მხარს უჭერს, ჯერ კიდევ ორი წლის წინ "ბი-ტი-სი" "თეთრ სპილოდ", ინდუსტრიულ უტოპიად მიიჩნეოდა. მის აშენებას უიმედო საქმედ მიიჩნევდა დღევანდელი ოპერატორი კომპანია "ბრიტიშ პეტროლეუმიც". სკეპტიციზმის ძირითადი მიზეზი აზერბაიჯანის ნავთობის მარაგის გაურკვეველი მოცულობა იყო. რომელიღაც ექსპერტის აზრით, რომელსაც თავდაპირველად საბადოების მფლობელი კომპანიები ეთანხმებოდნენ, ბაქოში არ იყო ამხელა მილსადენის დატვირთვისათვის საჭირო ნავთობი. ეს ეჭვი დღესაც არ არის ბოლომდე გაფანტული, თუმცა არსებობს ყაზახეთის წინასწარი თანხმობა, რომ იგი მილსადენში საკუთარ ნავთობს გაუშვებს და არსებობს პარალელური გაზსადენის პროექტი, რომელიც, მილსადენთან სიახლოვის გამო, მნიშვნელოვნად იაფი დაჯდება.

მილსადენებმა უნდა შეამციროს დასავლეთის ენერგეტიკული დამოკიდებულება მუდმივად არასტაბილურ ახლო აღმოსავლეთზე, უნდა დაასრულოს რუსული "ტრანსნეფტის" მონოპოლია კასპიური ნავთობის ტრანზიტზე, შესთავაზოს რეგიონის ნავთობმომპოვებელ ქვეყნებს ნედლეულის ექსპორტის ალტერნატიული მარშრუტი და ამით ხელი შეუწყოს რუსეთზე მათი დამოკიდებულების შემცირებას.

ზოგიერთი მიმომხილველი უფრო შორსაც მიდის და ამბობს, რომ ნავთობმოპოვების პროექტებითა და ამ მილსადენის მშენებლობით, რასაც მის გასწვრივ მდებარე ქვეყნებში დასავლური გავლენის ზრდა უნდა მოჰყვეს, დასავლეთი სოლივით შეიჭრა თავის ორ პოტენციურ მოწინააღმდეგეს - რუსეთსა და ფუნდამენტალისტურ ისლამურ სახელმწიფოებს შორის, თანაც "სოლის წვერი" მესამე შესაძლო საფრთხეს - ჩინეთს მიაბჯინა.

კასპია-ცენტრალური აზიის რეგიონში დასავლეთისა და აშშ-სათვის გავლენის ქონის აუცილებლობა ავღანეთში სამხედრო ოპერაციამ და 11 სექტემბრის შემდეგ აქედან წამოსულმა ტერორიზმის მზარდმა საფრთხემაც დაადასტურა.

რამდენად შეუძლია ნავთობს ტერორიზმის აღმოფხვრა, ძნელი სათქმელია (11 სექტემბერს 19 თვითმფრინავის გამტაცებლიდან 15 საუდის არაბეთიდან იყო), მაგრამ, ამ მილსადენის გარეშე, კასპიის აუზის ქვეყნები მუდმივად რუსეთზე ან სამხრეთელ მეზობლებზე დამოკიდებული რჩებოდნენ.

აღმოსავლეთ-დასავლეთის დერეფანი, თავისთავად, არ ნიშნავს, რომ მასში მონაწილე ქვეყნები აუცილებლად დასავლურნი გახდებიან. უბრალოდ, იგი მეტ შანსს აძლევს მათ, საქართველოს ჩათვლით, რომ, თუ მოინდომებენ, ცივილიზებულ სახელმწიფოებად იქცნენ.


*პირველი მილი.*
საქინფორმის ფოტო

# ვაშინგტონი ბაღდადზე შეტევას აძლიერებს

ლევან ღირსიაშვილი

*ერაყის ხელისუფლების თანხმობამ ქვეყანაში გაერო-ს სამხედრო ინსპექტორების შეშვების თაობაზე ბაღდადის ირგვლივ შექმნილი საერთაშორისო კრიზისი ვერ გადაჭრა. ვაშინგტონი ახალ მოთხოვნას ამჯერად უკვე გაერო-ს უყენებს.*

ერაყში გაერო-ს სამხედრო ინსპექტორთა მისიის უპირობოდ შეშვებაზე ოფიციალური ბაღდადის თანხმობის შემდეგ, ერაყის წარმომადგენლებმა გაერო-ს ინსპქტორებთან პირველი მოლაპარაკებები გამართეს. შეხვედრის შემდეგ ერაყის დელეგაციის წევრმა საიდ ჰასანმა განაცხადა, რომ მოლაპარაკებები 10 დღის შემდეგ ვენაში გაგრძელდება, სადაც კონკრეტულ ღონისძიებებს შეიმუშავებენ. მისი თქმით, ჩატარებული შეხვედრა სასარგებლო და ნაყოფიერი იყო.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის კოფი ანანის გაცხადებით, ერაყის გადაწყვეტილება ქვეყანაში სამხედრო ისნპექტორთა მისიის შეშვების თაობაზე კრიზისის გადასაწყვეტად საკმარისი არ არის. მისი მტკიცებით, საერთაშორისო თანამეგობრობა უნდა დარწმუნდეს, რომ ერაყში სამხედრო ინსპექტორებს თავისუფლად მოქმედებისა და მუშაობის შესაძლებლობა მიეცემათ და ბაღდადი მათთან ყოველმხრივ ითანამშრომლებს.

აღსანიშნავია, რომ ერაყის ხელისუფლების თანხმობამ საერთაშორისო საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ბევრი მათგანი ბაღდადის წინადადებას სკეპტიკურად უყურებს და ჰუსეინის მორიგ ტრიუკად მიიჩნევს.

**"გაერო-ს გენერალური მდივნისადმი ერაყის ხელისუფლების წერილში დიდი შავი ხვრელია დატოვებული იმ გაგებით, რომ არაფერია ნათქვამი, თუ რა პირობებში მოუწევთ მუშაობა ერაყში მივლინებულ სამხედრო ინსპექტორებს,"** - განაცხადა რიჩარდ ბატლერმა, რომელიც 1997-1999 წლებში ერაყში გაერო-ს განიარაღების სპეციალურ კომისიას ხელმძღვანელობდა. **"რაც ჩვენ რეალურად გვსურს, გახლავთ ის, რომ, ყოველგვარი პირობების გარეშე, ნებისმიერ დროს ნებისმიერი ადგილის მონახულება შევძლოთ. ეს ძალზე "გველური" წერილია,"** - დასძინა მან. **"ერაყი გვეუბნება, რომ მასობრივი განადგურების იარაღი არ გააჩნია... ეს კი აშკარა სიცრუეა. ეს რუსებმაც იციან და ფრანგებმაც... მხოლოდ ისინი აცხადებენ, რომ ერაყის ხელისუფლების წინადადება მისაღებია და მას უნდა დავთანხმდეთ,"** - განაცხადა ბატლერმა.

ამ მოვლენასთან დაკავშირებით ყველაზე მკვეთრი უარყოფითი განცხადება შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა გააკეთა. მისი თქმით, აშშ-მ ძალისხმევა არ უნდა დაიშუროს, რათა მსოფლიოს თავიდან აარიდოს ერაყის რეჟიმის მიერ მასობრივი განადგურების იარაღით "დაშანტაჟება." ერაყის ოფიციალურ პირებთან გაერო-ს სამხედრო ინსპექტორთა შეხვედრის პარალელურად, ბუშმა ნათელი გახადა, რომ პრეზიდენტ სადამ ჰუსეინის წინააღმდეგ სამხედრო და დიპლომატიური ღონისძიებები უფრო ინტენსიური გახდება. **"თქვენ უნდა გაიგოთ ამ რეჟიმის ბუნება. ეს არის კაცი, რომელიც პროცესებს აფერხებს, უარყოფს და ატყუებს მსოფლიოს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ თავისუფლებისა და სამართლიანობის სახელით უნდა იმოქმედოს, რათა ამ რეჟიმს პასუხი აგებინოს, არ მოტყუვდეს და შეძლოს მშვიდობის დამყარება,"** - განაცხადა პრეზიდენტმა ბუშმა გაერო-ს მისამართით გაკეთებულ მიმართვაში.

ბუშმა საკითხი ცალსახად დააყენა: **"დადგა დრო, რომ მათ განსაზღვრონ, არის ეს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია თუ ერთა ლიგა. დადგა დრო, განსაზღვრონ, ეს იქნება ძალა სიკეთისა და მშვიდობის დასამყარებლად თუ არაეფექტური დებატების საზოგადოება."**

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის პრესმდივნის ტონი ბლერის სახელით გაკეთებულ განცხადებაში კი ნათქვამია: **"მოდით, ნუ დავივიწყებთ, რომ სადამი მიჩვეულია თამაშს. მოდით, დაველოდოთ და ვნახოთ, რა მოგვიმზადა მან."** ამასთანავე დიდი ბრიტანეთის ადმინისტრაციამ საერთაშორისო თანამეგობრობა გააფრთხილა იმის შესახებ, რომ **"ჰუსეინი მთელი მსოფლიოს დაცინვას ცდილობს."**

დიდი ბრიტანეთისა და შეერთებული შტატების ლიდერთა პოზიცია ცალსახაა. ისინი გაერო-ს უშიშროების საბჭოსგან კატეგორიულად ითხოვენ მკვეთრი და მკაცრი რეზოლუციის მიღებას, რომელიც ბაღდადს დაემუქრება სამხედრო ოპერაციებით, თუკი ერაყში ჩასულ ინსტრუქტორებს თავისუფლად მოქმედების საშუალება არ მიეცემათ.

გაეროსადმი ასეთი მკვეთრი განცხადებებისა და ერაყზე ზეწოლის გაძლიერების მიუხედავად, ანგლოამერიკული პოლიტიკის განხორციელებას საკმაოდ ართულებს გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭოს მუდმივი და ვეტოს უფლების მქონე წევრების - ჩინეთის, რუსეთისა და საფრანგეთის განსხვავებული მიდგომა.

**"ჩვენი პოზიციიდან გამომდინარე, ერაყში საერთაშორისო ინსპექტორების დაბრუნებასთან დაკავშირებით, ჩვენ არ დაგვჭირდება რაიმე სპეციალური რეზოლუციის მიღება,"** - განაცხადა აშშ-ს სახელმწიფო მდივანთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა იგორ ივანოვმა.

რუსეთთან ერთად, ერაყის ხელისუფლების გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირეს საფრანგეთის, ჩინეთის, გერმანიისა და არაბული ქვეყნების ლიდერებმა. აღიშნულმა მოვლენებმა თავისი ასახვა უკვე გლობალურ ეკონომიკაზეც ჰპოვა. კერძოდ, საერთაშორისო ბაზარზე ნავთობის ფასი დაეცა.

ვაშინგტონისა და ლონდონის პოზიციას ერაყის ხელისუფლების წარმომადგენელთა გამოხმაურება მოჰყვა. ერაყის ვიცე-პრემიერის ტარიკ აზიზის განცხადებით, აშშ-ს ერაყის წინააღმდეგ აგრესიის სამართლებრივი მიზეზი არ გააჩნია და ვაშინგტონის ბაღდადზე თავდასხმის უმთავრეს მოტივს ერაყის ნავთობის ხელში ჩაგდება წარმოადგენს.

რასაკვირველია, ვაშინგტონისა და ლონდონის სკეპტიციზმს არსებობის რეალური საფუძველი გააჩნია. სადამ ჰუსეინმა ხომ გაეროსადმი წაყენებული პირობები მრავალჯერ დაარღვია. გარდა ამისა, კონსერვატიულმა გაზეთმა "ნიუ-იორკ პოსტმა," ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს მაღალჩინოსანთა მონაცემებზე დაყრდნობით, გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც სადამ ჰუსეინს შემუშავებული აქვს სამოქმედო გეგმა - **"განკითხვის დღე."** ამ გეგმის თანახმად, ომის დაწყების შემთხვევაში, ჰუსეინი მზად არის, ამერიკის ქალაქებში პორტატული ბიოლოგიური იარაღით აღჭურვილი "ალ ქაიდას" აგენტ-ტერორისტები შეაგზავნოს. ინფორმაციაში ასევე ნათქვამია, რომ ერაყმა საიდუმლო ლაბორატორიებში უკვე შეიმუშავა ისეთი დაავადებების ვაქცინები, როგორებიცაა: ციმბირის წყლული, ბოტულიზმი და ყვავილი. **"ზოგიერთი ექსპერტის აზრით, სადამმა, ამგვარი სატანური პრეპარატების გასავრცელებლად, არაბირთვული ბომბების, სარაკეტო ქობინების და უპილოტო თვითმფრინავების მთელი არსენალი შექმნა,"** - ნათქვამია "ნიუ-იორკ პოსტში."

საკმაოდ მკვეთრი პოზიცია დაიკავა გაზეთმა "ფაინენშალ თაიმსმა." კერძოდ, გაზეთში გამოქვეყნებულ სტატიაში "სადამის ეშმაკური წინადადება" ნათქვამია: "ასეთი მკვეთრი სტარტეგია, ერთის მხრივ, სადამ ჰუსეინის იძულების გარანტიას წარმოადგენს, ხოლო, მეორეს მხრივ, ეს იძლევა იმის გარანტიას, რომ აშშ გაერო-ს ფარგლებში იმოქმედებს და ამით უშიშროების საბჭოს წევრებს ვითარებაზე გავლენის მოხდენა შეეძლებათ. ხოლო ამ სტრატეგიის მოწინააღმდეგეებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ, თუ უშიშროების საბჭო უმოქმედობას გამოამჟღავნებს, ამერიკელები ერაყს საკუთარი ძალებითაც განაიარაღებენ."

ამდენად, სავარაუდოა, რომ ვაშინგტონი ერაყის წინააღმდეგ სამხედრო და პოლიტიკურ ზეწოლას გააძლიერებს და შეეცდება, გაეროს უშიშროების საბჭოზე საკუთარი პოლიტიკისათვის მისაღები გადაწყვეტილება გაიტანოს. თუკი გაერო-ს უშიშროების საბჭო მიიღებს რეზოლუციას, რომლის თანახმადაც, სამხედრო ინსპექტორებისათვის ხელის შეშლის შემთხვევაში, აშშ-ს და მის მოკავშირეებს საომარი მოქმედების დაწყების უფლება მიენიჭებათ, ბაღდადს დროის მოგების ტაქტიკის გამოყენების შესაძლებლობა მოესპობა და დადგება ალტერნატივის წინაშე: ან ფართომასშტაბიანი ომი აშშ-სთან და მის მოკავშირეებთან, ან გაეროს-ს სამხედრო ინსპექტორთათვის ქვეყანაში მოქმედების სრული თავისუფლების მინიჭება. ამ შემთხვევაში, შესაძლოა, სადამ ჰუსეინს მასობრივი განადგურების იარაღი აღმოუჩინონ. ეს კი ბაღდადს ახალ სირთულეებს შეუქმნის და უფრო დიდ კომპრომისებზე მოუწევს წასვლა. აქედან გამომდინარე, ცხადი ხდება, რომ ვაშინგტონის შემტევი პოლიტიკა ამერიკულ კომპანიებს ერაყის ნავთობთან სულ უფრო და უფრო აახლოებს.

# ჩვენ გამარჯვება ქართველებმა მოგვპარეს

ანდრეი პიონტკოვსკი
„ნოვაია გაზეტა„

სამხედრო ავანტიურა საქართველოში – თუ იგი განხორციელდა, იმის მანიშნებელი იქნება, რომ პუტინის რეჟიმმა ვერ მოახერხა თავისი სამშობიარო ტრავმის - ჩეჩნეთის ომის მონელება. უფრო მეტიც, ეს იქნება იმის აღიარება, რომ რეჟიმი პატარ-პატარა ომებს თავისი პოლიტიკური ლეგიტიმაციის ერთადერთ საშუალებად მიიჩნევს.

პრეზიდენტი პუტინი – ბრწყინვალე კომუნიკატორია. ახალგაზრდობაში გავლილმა სკოლამ, უმაღლეს დონეზე ურთიერთობების სამწლიანმა გამოცდილებამ თავისი საქმე გააკეთა. იგი "დიდი რვიანის" შეხვედრებზე თავის კოლეგებზე უფრო დამაჯერებლად გამოიყურება. პრესკონფერენციების დროს ლოგიკურად პასუხობს, ინტელიგენტური და, ვითარების შესაბამისად, ირონიულია.

მაგრამ მხოლოდ გარკვეულ მომენტამდე. ჩეჩნეთის შესახებ შეკითხვამდე.

ამის შემდეგ მისი თვითკონტროლი სადღაც ქრება და იგი კორესპონდენტებს უყვირის. გამომეტყველებაში ამოიკითხავთ ფრაზებს: "დედას ვუტირებთ!" "საკონტროლო გასროლა თავში", "ვინც გვაწყენინებს, სამ დღესაც ვერ იცოცხლებს" და ა.შ.

იუპიტერი მრისხანებს, იმიტომ, რომ გულის სიღრმეში იუპიტერმა იცის - იგი მართალი არ არის.

სოციოლოგიური გამოკითხვების შედეგები რუსეთის მოსახლეობის უმრავლესობის განწყობას ცხადყოფს: ომი უნდა დამთავრდეს, იმიტომ, რომ იგი დიდი ხანია, ჩიხშია შესული; იმიტომ, რომ ჩეჩნების ცნობიერებაში, რომლებსაც რუსები გაცილებით მეტად ეზიზღებათ ახლა, ვიდრე 1999 წელს, ჩვენ იგი დიდი ხანია, წავაგეთ; იმიტომ, რომ ომის შედეგად დაგროვილი სიძულვილი მრავალ თაობას ეყოფა.

ეს ის უმრავლესობაა, რომელიც აღტაცებული შეხვდა 1999 წელს ჩეჩნეთის ომის დაწყებას, როგორც რუსული არმიის აღორძინებისა და დაჩოქილი ქვეყნის ფეხზე წამოდგომის სიმბოლოს, რასაც წინ ნამდვილი ვაჟკაცი მიუძღოდა.

დღეს უკვე ნათელია, რომ ჩეჩნეთში არმია კი არ იწრთობა, იხრწნება. პარტიზანულ ომში ასე მოსდის ყველა არმიას და ამ ხრწნის შედეგებს ასეულათასობით ჩეჩნეთგამოვლილი ჯარისკაცი ჩვენი ქალაქების ქუჩებში გვაგრძნობინებს.

ადამიანისთვის, რომელიც ხელისუფლებაში მეორე ომის ტალღაზე მოვიდა, ძნელია, ამაში თავის თავს გამოუტყდეს. ამისათვის პოლკოვნიკმა პუტინმა გენერალ დე გოლის პოლიტიკური გმირობა უნდა გაიმეოროს, რომელიც 1961 წელს მიხვდა მის მიერვე 1958 წელს ალჟირში დაწყებული ომის უაზრობას.

გაცილებით უფრო ადვილია, თავი მოიტყუო და საკუთარ გენერლებსაც მოატყუებინო.

ჩვენ გვახსოვს ეს გენერლები. 1999 წელს ისინი ეკრანებიდან არ ჩამოდიოდნენ, მუნდირებს იხევდნენ და აცხადებდნენ, რომ მათ ველარავინ შეაჩერებს.

გენერლების საყვარელი მითი ის გახლდათ, რომ წინა ომში ისინი სადღაც შეაჩერეს, რაღაც არ დაასრულებინეს და ასე მოპარეს გამარჯვება. ამჯერად ისინი რამდენჯერმე მივიდნენ საქართველოს საზღვრამდე და უკან გამოუყვნენ. შედეგი იგივეა - დაუსრულებელი სისხლიანი ჩიხი.

მაშინ დაიბადა კიდევ ერთი ტყუილი, რომელსაც დღეს ეჭიდებიან გენერლები და უმაღლესი მთავარსარდალი. მიზეზი – პანკისია, რომელსაც საქართველო ვერც თავად აკონტროლებს და არც ჩვენ გვაძლევს ამის უფლებას.

დიახ, საქართველო ვერ აკონტროლებს პანკისის ხეობას, მაგრამ განა ჩვენ ვაკონტროლებთ ვითარებას ჩეჩნეთში? ჩეჩნეთში სამხედრო ვითარებისათვის პანკისს გაცილებით უფრო ნაკლები მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ჩეჩნეთის ნებისმიერ რაიონს. და, საერთოდ, რას გავაკეთებთ იქ იმაზე უკეთესს, რასაც ამდენი წელია ვაკეთებთ ჩეჩნეთში?

გავანადგურებთ რამდენიმე სოფელს, ჩავხოცავთ რამდენიმე ასულ მშვიდობიან მოსახლეს და, თუ გაგვიმართლებს, ათიოდე ბოევიკსაც. დანარჩენი მებრძოლები წავლენ იქ, საიდანაც ცოტა ხნის წინ დაუბრკოლებლად მოვიდნენ - ჩეჩნეთის მთებში და თან იმათ ნათესავებსაც წაიყვანენ, ვისაც ჩვენი "ზაჩისტკები" შეიწირავს.

ამ ავანტიურის უაზრობა სამ თვეში ნათელი გახდება, მაგრამ ამასობაში ჩვენ მოვასწრებთ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აფეთქებას და ჩვენი ჯარი ახლა იქ ჩაერევა.

ჩვენი სატელევიზიო სამხედრო საბჭოს სცენარი ფილმების - "გათავისუფლებისა" და "ბერლინის დაცემის" უნიჭო პაროდიას ჰგავდა: "ამხანაგო ჟუკოვ, გთხოვთ, მოამზადოთ ოპერაციის გეგმა;" "რას იტყვის გენშტაბი"?

მაგიდის გარშემო მსხდომი ყოფილი მესამეხარისხოვანი ჩინოვნიკები, რომელთა კულტურულ-ისტორიული განათლება, როგორც ჩანს, ამ ფილმებითა და რომანით - "ფარი და მახვილი" ამოიწურება, საკუთარი მნიშვნელობის შეგრძნებით აღსავსენი, ქვეცნობიერად ცდილობდნენ, ამ პერსონაჟებს დამსგავსებოდნენ.

ასევე პრიმიტიული იყო ამ ოპერაციისთვის საგარეო-პოლიტიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფის გეგმა.

ულტიმატუმის თარიღი, მისი სტილისტიკა და ტერორიზმის წინააღმდეგ საერთაშორისო საზოგადოების ბრძოლის დაუსრულებელი მოშველიება - მხოლოდ ამერიკასთან არცთუ ფარული გარიგების მცდელობას შეიძლება ნიშნავდეს. ჩვენ ხელს არ შეგიშლით ერაყში, თქვენ კი ნება მოგვეცით, წარმოუდგენელი სისულელე ჩავიდინოთ საქართველოში.

ბუშსა და რამსფელდს, შეიძლებოდა, მიეღოთ ეს საჩუქარი - ამით აიხსნება ვაშინგტონის დუმილი დღენახევრის მანძილზე - მაგრამ რასაც არ უნდა ფიქრობდე შევარდნაძეზე, მისგან ჰუსეინს ვერც ერთ შემთხვევაში ვერ გამოიყვან.

ბოლოს და ბოლოს, სახელმწიფო დეპარტამენტს რომც მიეღო ეს გარიგება, მას ვერასდროს გაამართლებდა ევროპის საზოგადოებრივი აზრი.

სამხედრო ავანტიურა საქართველოში – თუ იგი განხორციელდა - იმის მანიშნებელი იქნება, რომ პუტინის რეჟიმმა ვერ მოახერხა თავისი სამშობიარო ტრავმის - ჩეჩნეთის ომის გადალახვა. უფრო მეტიც, ეს იქნება იმის აღიარება, რომ რეჟიმი პატარ-პატარა ომებს თავისი პოლიტიკური ლეგიტიმაციის ერთადერთ საშუალებად მიიჩნევს.

სამარცხვინოა პოლიტიკური კლასის მთელი სპექტრის - ზიუგანოვიდან დაწყებული ხაკამადათი დამთავრებული - უპასუხისმგებლო, მშიშარა და კონფორმისტული საქციელი, რომლებიც, როგორც ერთგული ქვეშევდრომები, "სმენაზე" დადგნენ პუტინის წინ. თუმცა, რა გასაკვირია, ეს ის ხალხია, რომელიც თავის შვილებს - ამერიკის უნივერსიტეტებში, ხოლო სხვისას კავკასიის სასაკლაოზე აგზავნის.

# ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის მოსაგვარებლად ახალი გეგმა შეიმუშავეს

ისრაელ-პალესტინის კონფლიქტში შუამავლებმა – გაერო-მ, აშშ-მ, ევროკავშირმა და რუსეთმა მხარი დაუჭირეს კრიზისის დარეგულირების სამსაფეხურიან გეგმას. მოლაპარაკებებს ესწრებოდნენ: აშშ-ს სახელმწიფო მდივანი კოლინ პაუელი, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი იგორ ივანოვი, ევროკავშირის საერთაშორისო პოლიტიკის ხელმძღვანელი ხავიერ სოლანა, ევროკომისარი საგარეო ურთიერთობების საკითხებში კრისტოფერ პატენი და გაერო-ს გენერალური მდივანი კოფი ანანი. აღნიშნული გეგმა პირველად ევროკავშირმა წამოაყენა.

მასში ნათქვამია, რომ ისრაელმა და პალესტინამ პალესტინის მომავალი სახელმწიფოს შესაქმნელად ერთობლივად უნდა იმუშაონ ეკონომიკური, პოლიტიკური, ჰუმანიტარული და საორგანიზაციო საკითხების შესათანხმებლად.

წარმოდგენილი გეგმა კონფლიქტის დარეგულირების სამ ეტაპს ითვალისწინებს:

**პირველი ეტაპი:** პალესტინის უშიშროების სამსახურების რეფორმირება და ისრაელის არმიის ორი წლის წინანდელ პოზიციებზე დაბრუნება. ამასთანავე, ისრაელი ყოველმხრივ უნდა დაეხმაროს პალესტინის თვითმმართველობას არჩევნების ჩატარებაში, რომელიც 2003 წლის იანვარშია დაგეგმილი;

**მეორე ეტაპი:** პალესტინის კონსტიტუციის პროექტის შემუშავება და პალესტინის სახელმწიფოს საზღვრების დადგენა;

**მესამე ეტაპი:** პალესტინის სახელმწიფოს შექმნა. ეს კი, გეგმის მიხედვით, 2005 წლის მეორე ნახევარში უნდა განხორციელდეს.

კონფლიქტის დარეგულირების გეგმა ასევე ითვალისწინებს **"აუცილებელი ღონისძიებების განხორციელებას პალესტინის მოქალაქეებისათვის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით."** გარდა ამისა, აუცილებელია კომენდანტის საათის გაუქმება, ეკონომიკური შეზღუდვების მოხსნა და პალესტინის ტერიტორიებზე ისრაელის არმიის მოქმედების შეჩერება.

მედიატორთა მიერ ხელმოწერილ გეგმას ისრაელის ადმინისტრაციის გამოხმაურება მოჰყვა. საგარეო საქმეთა მინისტრი შიმონ პერესი მიესალმა შუამავლთა ინიციატივას, მაგრამ ამასთანევე განაცხადა, რომ კონფლიქტის დარეგულირების პროცესში მთავარ დაბრკოლებას რეგიონში უსაფრთხოების უზრუნველყოფის შეუძლებლობა წარმოადგენს. **"ჩვენ არ გვსურს პალესტინის ოკუპაცია და მოუთმენლად ველით იმ დღეს, როდესაც პალესტინის ტერიტორიას დავტოვებთ. თუმცა, ამისათვის აუცილებელია უსაფრთხოების უზრუნველყოფა,"** - განაცხადა ისრაელის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა.

# კალინინგრადის საშვი

ოთხშაბათს ევროკომისიის პრეზიდენტმა რომანო პროდიმ წამოაყენა ახალი ინიციატივა, რომელმაც, შეიძლება, საბოლოოდ გადაჭრას კალინინგრადის პრობლემა.

პროდის წინადადებით, ამ რუსული ანკლავის მცხოვრებთათვის შემოღებული იქნება სპეციალური სამგზავრო დოკუმენტი ე.წ. "კალინინგრადის საშვი". ამ საშვს, რომელიც უფასო ან ძალიან იაფი იქნება, პოლონეთისა და ლიტვის საკონსულოები გასცემენ რუსეთის იმ მოქალაქეებზე, რომელთაც კალინინგრადიდან რუსეთში გამგზავრება სურთ.

გარდა ამისა, ევროკავშირი განიხილავს წინადადებას კალინინგრადსა და რუსეთს შორის სპეციალური ჩქარი მატარებლის მიმოსვლის დაწესების შესახებ. მატარებელი პოლონეთის ან ლიტვის ტერიტორიას შეუჩერებლად გადაკვეთს და საკმარისად სწრაფი იქნება საიმისოდ, რომ მაზე მყოფმა რუსებმა უსაფრთხოდ ჩამოხტომა და შემდეგ ევროკავშირისთვის (რომელსაც აღნიშნული ქვეყნები 2 წელიწადში შეუერთდებიან) თავშესაფრის თხოვნა ვერ მოახერხონ.

ევროკომისიას, ბუნებრივია, არ განუხილავს რუსეთის პრეზიდენტის ამასწინანდელი წინადადება, რომელიც რუსეთსა და ევროკავშირს შორის უვიზო მიმოსვლის დაწესებას გულისხმობს.

# ისევ რაჭა-ლეჩხუმი...

ზაზა ფაჩუაშვილი

საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ლეჩხუმიდან ისევ რაჭაში ჩაფრინდა.ამბროლაურში მას რაჭველი პარლამენტარები და მთავრობის წევრები დახვდნენ: ზაზა დვალი, ნიკო ლეკიშვილი, ვახტანგ რჩეულიშვილი მეუღლითურთ,აგრეთვე, როინ მეტრეველი და სხვები. სადღესასწაულო განწყობას ისიც ხელს უწყობდა, რომ გუშინ აკაკის რაჭა-ლეჩხუმში მოგზაურობიდან 90 წლისთავი შესრულდა. ამასთან დაკავშირებით ნიკო ლეკიშვილს ჭრებალოში აკაკის ძეგლი გაუხსნია.

პირველ რიგში, უწმინდესი და უნეტარესი ბარაკონის ღვთისმშობლის ტაძარში მივიდა და პარაკლისი გადაიხადა. შემდეგ ვახტანგ და მაია რჩეულიშვილების თხოვნით, სოფელ სორისში მათ ოჯახს ესტუმრა. მთელი ეზო ფერად-ფერადი ყვავილებით იყო მორთული და ბილიკზე ყვავილების ხალიჩა ეფინა. რჩეულიშვილებმა ეკლესიას ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის დიდი ხატი შესწირეს. იქვე გაიმართა ტრაპეზი, რომელიც ხალხური სიმღერების ანსამბლების შეჯიბრად გადაიქცა.ლოცვა, გალობა, საერთო სიხარული ისე ავსებდა იქაურობას, მეტს ვერაფერს ინატრებდა კაცი, მაგრამ ცამ იმ დღისთვის გვირგვინის დადგმა მოინდომა და ულამაზესი ცისარტყელა გამოჩნდა.როგორც პატრიარქმა ბრძანა, ცისარტყელა მშვიდობის ნიშანია.

მალე ონისკენ გავეშურეთ. წინ ცხენების ესკორტი დაგვახვედრეს და იმპროვიზებულ სცენამდე მიგვაცილეს. კონცერტი ხიდთან გაიმართა. იმდენი ხალხი იყო, ონში შესვლა ფეხითაც კი შეუძლებელი გახდა, სანამ აკაკის მოგზაურობისადმი მიძღვნილი კონცერტი არ დამთავრდა..

კონცერტის შემდეგ უწმინდესმა გაბრიელ მთავარანგელოზის სახელობის ტაძარში წირვა ჩაატარა.

ამ დღეებში რაჭაში ჩამობრძანდა ექიმთა მობილური ბრიგადა: პროფესორი მერაბ დვალი ჩაატარებს თვალის ოპერაციას, პროფესორი ტაბუცაძე - ლაპარასკოპიულ გამოკვლევას და სხვა. ჩამოტანილი აქვთ კარდიოგრაფი, ექოსკოპი. მიმდინარეობს ხალხის უფასო მკურნალობა. "მე მეამაყება უწმინდესის რაჭაში ჩამობრძანება და თავი მოვალედ ჩავთვალე, რაც შემეძლო, ის გამეკეთებინა დღევანდელი დღისთვის", - აღნიშნა ჯანდაცვის მინისტრმა ამირან გამყრელიძემ. მან ჩამოიყვანა ეს მობილური ბრიგადა, რომელიც რამდენიმე დღე კიდევ იმუშავებს.

დღეს პატრიარქი თბილისში დაბრუნდება.

# სამ წელიწადში ჟორბენაძე გარემონტებულ-მოწყობილ სკოლებს გვპირდება

ნანა ქადაგიშვილი

გუშინ სახელმწიფო მინისტრმა კანცელარიაში მიწვეულ პედაგოგებს სასიამოვნო ამბავი აცნობა. თბილისის სკოლების შენობების აღდგენა ნოემბრიდან განახლდება. მსოფლიო ბანკმა შეპირებული 10 მლნ. დოლარი უკვე გამოყო და ორ თვეში აღდგენითი სამუშაოებიც დაიწყება. როგორც განათლების მინისტრი აცხადებს, ამ 10 მლნ.-ით შეიქმნება ორწლიანი პროგრამა, რომელიც სკოლების გამაგრებასთან ერთად კეთილმოწყობის სამუშაოებსა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფასაც ითვალისწინებს. მსოფლიო ბანკი მოითხოვს, რომ თბილისის განათლების ობიექტები ერთხელ და მყარად უნდა შეკეთდეს. **"სამ წელიწადში ჩვენი საგანმანათლებლო დაწესებულებები სრულიად შეიცვლება,"** - გვპირდება ავთანდილ ჯორბენაძე.


ჯორბენაძე პირობას იძლევა.
გოგიტა ბუხაიძის ფოტო

სასწავლო წლის დაწყებამდე ქალაქის მერიამ მხოლოდ 25 განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში მყოფი სკოლის გამაგრება მოახერხა. თუმცა, სასწრაფო რემონტს კიდევ ბევრი დაწესებულება საჭიროებს. ზემოთ აღნიშნული პროგრამის პირველ ეტაპზე დაზიანების მე-4 და მე-3 ხარისხის 100 სკოლა და 22 ბაგა-ბაღი გარემონტდება. მეორე ეტაპზე - მესამე ხარისხის ბაგა-ბაღები და მეორე და პირველი ხარისხის სკოლები და ბაგა-ბაღები. პროგრამა უკვე გამაგრებული 25 სკოლის რემონტსაც ითვალისწინებს, რადგან ამ შენობებში მხოლოდ პირველადი გამაგრებითი სამუშაოები ჩატარდა. სხვათა შორის, რამდენიმე სკოლის შეკეთება რუმინეთისა და ბელგიის მთავრობებმაც ითავეს. **"ზოგი ჭირი მარგებელიაო, მიწისძვრა რომ არა, თბილისის საგანმანათლებლო დაწესებულებებს ასე საფუძვლიანად კარგა ხანს ვერ გავარემონტებდით,"** – ხუმრობს განათლების მინისტრი.

პედაგოგებთან შეხვედრა სახელმწიფო მინისტრმა კიდევ ერთი სასიამოვნო ინფორმაციით დაასრულა. **"წლევანდელი სექტემბრიდან უკვე 30 პროცენტით გაზრდილ ხელფასებს მიიღებთ. ხელფასების 30-პროცენტიან ზრდას მომავალი წლის ბიუჯეტშიც გავითვალისწინებთ. ეს საკმარისი არ არის, მაგრამ მთავარია, რომ ხელფასების მატების პროცესი დაიწყო,"** – აიმედებს პედაგოგებს ავთანდილ ჯორბენაძე.

# შემოდგომაზე ფოთლები ეკოლოგიურ საფრთხეს ჰქმნიან

დალი კუპრავა

მწვანე ფოთოლი ჯანმრთელობის სამსახურში დგას, გაყვითლებული მოფარფატე ფოთლები რომანტიკოსებისებისთვის მუზაა, ხოლო ასფალტზე დაფენილი - მეეზოვისთვის სამუშაო.

ფოთლის ჩამოთვლილ ვარიანტთაგან ჯანმრთელობისთვის მავნებელი არც ერთი არ არის, მაგრამ თუ ფოთლებს დავწვავთ, მაშინ ის ჰაერს ტოქსიკურ ნივთიერებებს შემატებს და ეკოლოგიური პრობლემა ხდება.

ქურთ მეეზოვეთაგან გულდასმით მოგროვებული ფოთლები ისეთივე ტვირთია სანაგვე მანქანისთვის, როგორიც – ბუნკერის ნაგავი.

ფოთოლცვენის სეზონზე დასუფთავების სამსახურს ფინანსურ დავთარში ფოთლების გატანა გათვალისწინებული აქვს ისევე, როგორც ზამთარში – თოვლის. თანხა ამისთვის იწერება, მაგრამ ფოთლები მაინც ქუჩაში ხრჩოლავს.

"თუ არ დავწვი, შოფრები მიბრაზდებიან, ეს ნაგავი არ არის და არ წავიღებო"- უთხრა "24 საათს" მეეზოვე ნაზიკომ.




# ახალი იდეა ბიუჯეტის შესავსებად

ეთერ მამულაშვილი

გუშინ პარლამენტის საგადასახადო და შემოსავლების კომიტეტი, გარემოვაჭრეების სპეციალურ პავილიონებში გადაყვანის ინიციატივით გამოვიდა. კომიტეტის წევრები ამტკიცებენ, რომ მათ მიერ შემოთავაზებული წინადადება ერთდროულად რამდენიმე პრობლემას მოაგვარებს. "დედაქალაქი დაიბრუნებს ძველ სახეს და მოქალაქეები ქუჩაში ნორმალურად გავლას შეძლებენ," - ფიქრობს ამ კომიტეტის თავმჯდომარე დავით სალარიძე. კომიტეტში იმედი აქვთ, რომ მოვაჭრეების გადაყვანა მათთვის განკუთვნილ სპეციალურ სავაჭრო ადგილებში, სადაც დაცული იქნება ელემენტარული ჰიგიენის წესები, ქალაქში შექმნილ ანტისანიტარიასაც მოაწესრიგებს. და ყველაზე მთავარი, მოვაჭრეების მიერ გადახდილი გადასახადები გაკონტროლდება, რაც სალარიძის თქმით ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთი წინაპირობა იქნება.

დღეისათვის ოფიციალური მონაცემებით თბილისში გარევაჭრობით 6071 პირია დასაქმებული, თუმცა სალარიძე ირწმუნება, რომ ექსპერტული გათვლებით მათი რაოდენობა 30.000 აღემატება. **"დავუშვათ, დღეში თითოეული მათგანი, სულ ცოტა, ერთ ლარს რომ იხდიდეს (რეალურად ყოველდღიური გადასახადი 3-5 ლარამდე მერყეობს),**


კომიტეტი მსჯელობს.
ლევან ხერხეულიძის ფოტო

**თვეში ბიუჯეტი ერთ მილიონ ლარს უნდა ღებულობდეს, წელიწადში კი თორმეტს. დღევანდელი სიტუაციით კი აღნიშნული მოსაკრებელიდან ქალაქის ბიუჯეტში ყოველ წელს მხოლოდ 1.600.000 ლარი შედის. დანარჩენი ათი მილიონი მაკონტროლებელი და სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა ჯიბეებში მიდის",** - განაცხადა დავით სალარიძემ.

გარემოვაჭრეების ქუჩიდან სპეციალურ პავილიონებში გადაყვანის იდეით, პარლამენტის საგადასახადო და შემოსავლების კომიტეტი ადრეც გამოვიდა, მაგრამ როგორც კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ჯამბულ ბაკურაძე აცხადებს, მერიის შესაბამისი სამსახურის გარდა ამ იდეის განხორციელებას, ხელი რაიონის გამგებლებმა და უბნის ინსპექტორებმაც შეუშალეს. **"არსებობს დამამტკიცებელი დოკუმენტი იმის, რომ გარემოვაჭრეების მოსაკრებლიდან წილი რაიონის გამგებლებს და ინსპექტორებსაც შესდით. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, როგორ შეიძლება პურის ქუჩაში გაყიდვა. დავსვით თუ არა ეს საკითხი, საცოდავი მეპურეები დააშინეს ქუჩიდანაც გაძევებენ, წადით მერიასთან და მიტინგი მოაწყვეთო. იმის ნაცვლად, რომ მხარი დაგვიჭირონ, ზოგიერთები იმის პროვოცირებას ახდენენ, თითქოს ჩვენ გარემოვაჭრეების ბედი არ გვაღელვებდეს",** - გვითხრა ბაკურაძემ.

ბაკურაძის თქმით, ახალი კანონპროექტი, რომელზედაც პარლამენტის საგადასახადო და შემოსავლების კომიტეტი მუშაობს, პავილიონებში მოვაჭრეებისთვის მინიმალურ გადასახადებს დააწესებს, რაც გარემოვაჭრეებს ქუჩიდან სავაჭრო შენობაში გადასვლას აიძულებს. იგი ამტკიცებს, რომ მოვაჭრეებისათვის ყოველდღიური გადასახადის 50 თეთრამდე შემცირების რეალური შესაძლებლობა არსებობს. **"მთავარია, მოსახლეობამ სწორედ გაგვიგოს, გარემოვაჭრეების ხელკეტებით დარევას და ქუჩიდან აყრას არ ვაპირებთ. ჩვენი მიზანია, ამ ხალხს შევუქმნათ ისეთი პირობები, პირველ რიგში, ეკონომიკური, რომ მათ საკუთარი სურვილით დატოვონ ქუჩა. თუკი ისინი დღეს ქუჩაში 3 და 5 ლარს იხდიან, ჩვენი კანონპროექტის ძალაში შესვლით, ხვალ მათ ამის მეოთხედის გადახდაც არ მოუწევთ",** - გვითხრა ჯამბულ ბაკურაძემ.

# საპენსიო რეფორმა კიდევ ერთ ექსპერტიზას გადის

მაკა ჟაიანი

საპარლამენტო ფრაქცია "დემოკრატებთან" სტუმრობის შემდეგ, საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის ერთიანი სახელმწიფო ფონდი სფეროში დაგეგმილი რეფორმის პროექტს საერთაშორისო კონფერენციის მონაწილეებს წარუდგენს. საერთაშორისო სოციალური უზრუნველყოფის ასოციაციის დახმარებით, რომლის წევრიც ჩვენი ფონდი შარშან გახდა, ეს კონფერენცია თბილისში, სასტუმრო "სიმპათიაში" იმართება. იგი გუშინ დაიწყო, 20 სექტემბრამდე გასტანს და საკმაოდ წარმომადგენლობითი გახლავთ. გარდამავალი ეტაპის სახელმწიფო საპენსიო სისტემის ირგვლივ მსჯელობაში მონაწილეობის მისაღებად, სამშაბათს საქართველოში ჩამოვიდნენ სტუმრები გერმანიიდან, უნგრეთიდან, უკრაინიდან, რუსეთიდან, მოლდოვადან, აზერბაიჯანიდან, ტაჯიკეთიდან, ლატვიიდან, ლიტვიდან და ესტონეთიდან. კონფერენციაში მონაწილეობენ საერთაშორისო სოციალური უზრუნველყოფის ასოციაციის პრეზიდენტი, მსოფლიო ბანკის წარმომადგენელი, დსთ-ს ქვეყნების საპენსიო და სოციალური ფონდების ასოციაციის თავმჯდომარე და საქართველოს პროფილური სამსახურების პირველი პირები სახელმწიფო კანცელარიიდან, პარლამენტიდან, შრომის, დასაქმებისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან.

გამოცდილება, რომელსაც ამ სამი დღის განმავლობაში კონფერენციის მონაწილეები ერთმანეთს გაუზიარებენ, ქართული მხარისთვის, შეიძლება, განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდეს. მართალია, იმ რეფორმის ანალოგი, რომლის განხორციელებასაც ჩვენი ხელისუფალნი აპირებენ, მსოფლიოში არ არსებობს, მაგრამ ეს მაინც ის შემთხვევაა, რომელიც სხვის შეცდომებზე სწავლის


კონფერენციაზე.
ლევან ხერხეულიძის ფოტო

საშუალებას იძლევა. სხვა ქვეყნებში, მაგალითად, გერმანიაში, საპენსიო ფონდის ფუნქციებს სახელმწიფო სამედიცინო ფონდი ითავსებს, მაგრამ ეს არ გახლავთ საპენსიო ფონდი ქართული გაგებით. იქ პარალელურად სოციალური დაზღვევის კერძო, სავალდებულო სამსახურიც მოქმედებს. რუსეთში ცალ-ცალკეა საპენსიო, დასაქმების, სოციალური და სამედიცინო დაზღვევის ფონდები და ა.შ. ჩვენი ხელისუფლების გადაწყვეტილებას, ერთად მოუყაროს თავი სამედიცინო, სოციალური და დასაქმების სახელმწიფო სახსრებს, ექსპერტები იმით ხსნიან, რომ საქართველო პატარა ქვეყანაა, ამ ტიპის დაზღვევების მცირე მენიუ აქვს და მის განხორციელებას ერთი სამსახურიც მოახერხებს. ამ გაერთიანებას, როგორც უკვე გატყობინებდით, წლევანდელი ოქტომბრისთვის, რვა მოქმედ კანონში ტექნიკური ხასიათის ცვლილებისა და სამი კანონპროექტის დამტკიცებისთანავე ელოდებიან.

საპენსიო რეფორმის ძირითადი ეტაპების განხორციელებაც მაშინ დაიწყება. წლის ბოლოსთვის დაგეგმილია მართვის ავტომატიზირებული სისტემისა და კომპიუტერული ქსელის, დიფერენცირებული პენსიების დანერგვისთვის აუცილებელი ბაზის შექმნა; 2002-2003 წლებში - დასაქმებულთა რეგისტრაცია და მათთვის ინდივიდუალური სოციალური დაზღვევის ბარათების მომზადება; 2003 წლის პირველი ნახევრისთვის - დასაქმებულთა სახელფასო დეკლარაციების ამოქმედება. ყველაფერი ეს მსოფლიო ბანკის, გერმანიისა და სხვა დონორების დახმარებით მოხდება. იქამდე კი, უახლოესი სამი დღის განმავლობაში, სასტუმრო "სიმპათიაში" შეკრებილი, როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო საპენსიო, მოსახლეობის სოციალური თუ სოციალური დაზღვევის ნაციონალური სამსახურების, სოციალური დაზღვევის სახელმწიფო სააგენტოებისა თუ დეპარტამენტების, შრომისა და სოციალური დაზღვევის ინსტიტუტების წარმომადგენლები საპენსიო რეფორმის ქართულ პროექტს შეაფასებენ. სოციალური უზრუნველყოფის ერთიანი სახელმწიფო ფონდის დირექტორის, ირაკლი კოპლატაძის განცხადებით, ეს იქნება ბოლო შტრიხი ქვეყნის უმაღლესი კანონმდებლების წინაშე წარსადგენად გამზადებული ამ დოკუმენტისთვის. უნდა ვივარაუდოთ, ღირებულიც.

# ცხრა ძმა ახმადოვი - ყველაზე სასტიკი ბოევიკები ჩეჩნეთში

სოფიკო ჩხაიძე

ძმები ახმადოვების პანკისის ხეობაში ყოფნის შესახებ ინფორმაცია რუსეთის სპეცსამსახურებმა სულ რაღაც ორიოდე კვირის წინ გაავრცელეს და საქართველოს ხელისუფლება მათი და მათი ჯგუფის წევრების შეფარებაში დაადანაშაულეს. ამჯერადაც, დაკავებული 12 ჩეჩენი, რომელთა ვინაობასაც ქართველი სამართალდამცველები ჯერ კიდევ ადგენენ, რუსული საინფორმაციო წყაროების აზრით, სწორედ ახმადოვების ჯგუფის წევრები არიან.

ძმები ახმადოვების სახელი რუსეთ-ჩეჩნეთის ომთან მიმართებაში არაერთხელ გაჟღერებულა. რუსი სამხედროები მათ ჩეჩენ ბოევიკთა შორის უსასტიკესებად და ყველაზე სისხლისმსმელებად მიიჩნევენ. ბრძოლებში მონაწილეობის გარდა, მათ 35-ზე მეტი ადამიანის გატაცება და 4 მძევლის მკვლელობა ბრალდებათ.

ახმადოვების ოჯახი, 1944 წელს ყაზახეთში დეპორტაციის შემდეგ, ჩეჩნეთში მხოლოდ 1990 წელს დაბრუნდა და ქალაქ ურუს-მარტანში დასახლდა.

ძმებს აქტიური მონაწილეობა აქვთ მიღებული ჩეჩნეთის პირველ ომში. თუმცა, 1998 წელს, გუდერმესის ოპერაციის კრახით დასრულების შემდეგ, სახელგანთქმულ არბი ბარაევთან ერთად, ურუს-მარტანში დაბრუნდნენ და გამოსასყიდის მიღების მიზნით ხალხის გატაცებას მიჰყვეს ხელი. რუს სამართალდამცველთა მტკიცებით, 1998-2001 წლებში არ მომხდარა არც ერთი გახმაურებული გატაცება, მასში ახმადოვები რომ არ ყოფილიყვნენ ჩართულნი.

რუსი სამართალდამცველების ცნობით, სწორედ ახმადოვების ანგარიშზეა მოგვიანებით ჩეჩნეთის მთებში დაღუპული რუსი გენერლის გენადი შპიგუნისა და უკვალოდ გამქრალი "იტარ-ტასის" ფოტოკორესპონდენტის ვლადიმირ იაცინის გატაცებები. ურუს-მარტანის ცენტრში კი, სადაც ახმადოვებს თითქმის მთელი კვარტალი ეკავათ, სარდაფში მოწყობილ გატაცებულთა თავშესაფარში დამწყვდეული ჰყავდათ ორი პოლონელი ქალი - პროფესორი ზოფია ფიშერ-მალანოვსკაია და დოცენტი ევა მარხვინსკა-ვირვალი.



ძმები ახმადოვები.

მართალია, ახმადოვთა დანაშაულებრივი საქმიანობა ძალზე მდიდარია მსგავსი ფაქტებით, მაგრამ მაინც შეიძლება ერთი შემთხვევის გამოყოფა, როცა მათ სისასტიკით საკუთარ თავსაც გადააჭარბეს. ეს გახლავთ 1998 წელს მეტად გახმაურებული სამი ბრიტანელისა და ერთი ახალზელანდიელის გატაცება და დახოცვა.

Granger Telecom-ისა და British Telecom-ის თანამშრომლები, რომლებიც ჩეჩნეთში მობილური სატელეფონო კავშირის სისტემას ამონტაჟებდნენ, 1998 წლის 3 ოქტომბერს გაიტაცეს. ახმადოვების თანამოაზრეებმა წამებით გამოსძალეს გატაცებულებს "აღიარება", თითქოს ისინი ბრიტანეთის სპეცსამსახურების აგენტები იყვნენ და ჩეჩნეთში ინფორმაციის შესაგროვებლად ჩავიდნენ. მოგვიანებით კი, როცა გამოსასყიდის მიღების იმედი გადაეწურათ, მძევლები სცემეს, ცემისგან გონდაკარგულებს კი თავები მოჰკვეთეს. გატაცებული უცხოელების დახოცვის სცენა მათ ვიდეოფირზე გადაიღეს. როგორც უკვე შემდგომ დაადგინა ბრიტანელმა პათოლოგანატომმა, მძევლებს მთელი ორი თვის მანძილზე სცემდნენ და აშიმშილებდნენ.

სხვათა შორის, ერთ-ერთი ახმადოვი – რუსლანი - 2001 წლის 7 მარტს ბაქოში დააკავეს. მას ოთხიდან სამი მძევლის მოკვლა დაბრალდა. მეტიც, რუსი სამართალდამცველების ხელთ არსებული ოპერატიული ინფორმაციის თანახმად, რუსლან ახმადოვი, რომელიც ახმადოვების ბანდის მეთაურისა და საკუთარი ძმის - რამზან ახმადოვის მოადგილე იყო ფინანსურ საკითხებში, პირადად მონაწილეობდა მძევლების აყვანაში და მოლაპარაკებებსაც აწარმოებდა გატაცებული უცხოელების ნათესავებთან. ასევე დადგენილია, რომ რუსლან ახმადოვი 1998 წლის ოქტომბერ-დეკემბერში, ანუ იმ დროს, როცა გატაცებული უცხოელები ჯერ კიდევ ცოცხლები იყვნენ, ტელეფონით ესაუბრებოდა მოსკოვში ბრიტანეთის საელჩოს თანამშრომლებს და, მათი მოქალაქეების გათავისუფლების სანაცვლოდ, გამოსასყიდს ითხოვდა.

რუსლან ახმადოვის დაპატიმრებიდან ორი თვის შემდეგ, 2001 წლის 17 მაისს ჩეჩნეთში, კურჩალოვის რაიონში რუსეთის ფედერალური ძალებისა და ბოევიკების შეტაკებისას დაიღუპა ერთ-ერთი ახმადოვი.

ამ ცოტა ხნის წინ კი რუსეთის საინფორმაციო სააგენტოებმა, სპეცსამსახურების მონაცემებზე დაყრდნობით, გაავრცელეს ინფორმაცია, რომ ცოცხლად დარჩენილი ახმადოვები, თავიანთი ბანდის წევრებთან ერთად, საქართველოში, კერძოდ, პანკისის ხეობაში იმყოფებიან. მეტიც, რუსული საინფორმაციო საშუალებები ახმადოვების პანკისური კვალის თაობაზე გავრცელებული ცნობების განსამტკიცებლად ძალას არ იშურებენ. მაგალითად, ორიოდ დღის წინ გაზეთმა "კომსომოლსკაია პრავდამ" გამოაქვეყნა ვითომდა მოვლადი უდუგოვსა და უვაის ახმადოვს შორის სატელეფონო საუბრის ჩანაწერი. მასში ასეთ ფრაზასაც კი შეხვდებით: "რაც შევარდნაძემ ჩვენთვის გააკეთა, იმას არც ერთი მუსულმანური სახელმწიფო არ გაგვიკეთებდაო".

# სამხედრო პროკურორს თავდამსხმელები არ დაუნახავს

ხათუნა ჯანგირაშვილი

ორი დღის წინ, გვიან ღამით, მთავარი სამხედრო პროკურორის გია ჯიქიას საცხოვრებელ სახლზე მომხდარი თავდასხმის საქმეში გამოძიებას ეჭვმიტანილები ჯერ არ ჰყავს. ჯერჯერობით, არ არის გამოკვეთილი ვერსია. გამოძიებას მხოლოდ ნივთმტკიცება – სახლის კედლებიდან ამოღებული სამი ტყვიის მასრა და სამი გულა მოეპოვება.

შეგახსენებთ, რომ გუშინწინ, ღამის სამ საათზე, გია ჯიქიას ნაქირავები კერძო სახლის კარზე ვიღაცამ ზარი დარეკა. კართან მისულ მთავარ პროკურორს გარედან ესროლეს. პირველ გასროლას მაშინვე მეორე და მესამე მოჰყვა.

**"ისეთი ძლიერი გასროლა იყო, მეგონა ავტომატით ისროდნენ. რა თქმა უნდა, იარაღი სულ მზად მაქვს. თავდამსხმელებს გვერდითი ფანჯრიდან "ვინჩესტერის" სანადირო თოფიდან საფანტის ტყვიებით ვუპასუხე. არავინ დამინახავს",** - გვითხრა სამხედრო პროკურორმა, რომელსაც ვერ გაუგია, ვის შეეძლო ამის ჩადენა.

როგორც ისანი-სამგორის რაიონის პროკურორმა ვაჟა აბაკელიამ გვითხრა, საქმეში მოწმეები არ არიან. მეზობლებს არც არავინ დაუნახავთ და არც გასროლის ხმა გაუგიათ.

**"ვთვლი, რომ სერიოზული მტერი არ მყავს. ის ნამდვილად ვიცი, რომ ბევრს ჩემი შეხედულება არ მოსწონს, ზოგს გარეგნობით არ მოვწონვარ, ბევრიც მაკრიტიკებს, მაგრამ ვის შეეძლო, ეს გაეკეთებინა, ვერ ვხვდები",** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას გია ჯიქიამ.

მთავარი პროკურორის სახლიდან ამოღებულ ნივთმტკიცებებს ჩაუტარდება ტრასეოლოგიური და ბალისტიკური ექსპერტიზა, რომელიც იარაღის ტიპს დაადგენს. ამავე ექსპერტიზით დადგინდება სროლის მანძილი და ტრაექტორია. თუმცა, როგორც უკვე გამოძიების წინასწარი მონაცემებით ირკვევა, გასროლა მოხდა შორიდან, ეზოს კუთხიდან.

სამხედრო პროკურორი არ გამორიცხავს, რომ მას პროვოკაცია მოუწყვეს. **"შეიძლება, ვიღაცას სურდეს, რომ მუშაობაში ხელი შემიშალოს,"** ვარაუდობს გია ჯიქია.

# პარლამენტის ვიცე-სპიკერი სახელმწიფო მანქანის გარეშე დარჩა

პარლამენტის ვიცე-სპიკერს, გიგი წერეთელს, მანქანა აუფეთქდა.

როგორც თავად გიგი წერეთელმა ჩვენთან საუბარში თქვა, მისი სამსახურეობრივი ავტომობილი "შევროლე" გაჩერებული იყო სახლის წინ, ნიკოლაძის ქუჩაზე. მანქანას ცეცხლი ძრავის ამუშავების შემდეგ წაეკიდა. მართალია, ცეცხლმა სალონში შეაღწია, მაგრამ მძღოლი არ დაზიანებულა. ცეცხლი მეხანძრეებმა ჩააქრეს.

გაჩნდა მოსაზრება, თითქოს აფეთქება გიგი წერეთლის პოლიტიკურ მოღვაწეობას უკავშირდება. თუმცა, თავად ვიცე-სპიკერი ამ ვარაუდს უარყოფს და მომხდარს ავტომობილის ტექნიკური გაუმართაობით ხსნის.

"მიუხედავად იმისა, რომ მანქანა რამდენიმე ხნის წინ შევარემონტე, იგი ტექნიკურად მაინც გაუმართავი იყო. ჩემი აზრით, ავზიდან ბენზინმა გაჟონა და აალება გაცხელებულმა ძრავამ გამოიწვია. სიმართლე გითხრათ, ამაში გასაკვირი არაფერია, რადგან თითქმის ყველა პარლამენტარის მანქანა ტექნიკურად სავალალო მდგომარეობაშია. მოგეხსენებათ, სახელმწიფო მანქანებით რამდენიმე დეპუტატიღა ვსარგებლობთ, მაგრამ მათ შესარემონტებლად ფინანსთა სამინისტროდან თანხები, ფაქტობრივად, არ გამოიყოფა და იძულებულნი ვართ, საკუთარი ავტომობილებით ვიმოძრაოთ. არადა, თუ უახლოეს მომავალში მანქანები არ გარემონტდება, არ არის გამორიცხული, რომ ცოტა ხანში სხვა პარლამენტარების ტრანსპორტმაც იგივე ბედი გაიზიაროს," – გვითხრა გიგი წერეთელმა.

მართალია, ვიცე-სპიკერი ავტომობილის აფეთქებას მხოლოდ ტექნიკური გაუმართაობით ხსნის, მაგრამ სახელმწიფო დაცვის სამსახურმა აფეთქების ფაქტზე მოკვლევა მაინც დაიწყო.

# განაწყენებული ჩინელი სასაუზმის კლიენტებს თაგვის წამლით კლავდა

მასობრივი მოწამვლის ბრალდებით დაპატიმრებულმა ჩინელმა დანაშაული აღიარა.

როგორც გაირკვა, ერთ-ერთი პოპულარული სასაუზმის მეპატრონესთან მომხდარი ფინანსური კონფლიქტით განაწყენებული ჩინელი, რომლის სახელს და გვარს პოლიცია ჯერჯერობით არ ასახელებს, ამ დაწესებულების სამზარეულოში "აქტიურად მუშაობდა" - უკვე გამზადებულ სადილში თაგვის წამალს ყრიდა. თაგვის წამლით ასზე მეტი ადამიანი მოიწამლა, ძლიერი ინტოქსიკაციის გამო ექიმებმა 40 ადამიანს ვერ უშველეს. დაღუპულთა შორის არიან ბავშვებიც, რომლებიც სკოლიდან გამოსვლის შემდეგ ხშირად სტუმრობდნენ სასაუზმეს.

# ვარკეთილში მანიაკი დაიჭირეს

თამარ კაციტაძე

რამდენიმე დღის წინ, ვარკეთილში, ერთ-ერთი კორპუსის სარდაფთან, უგონო მდგომარეობაში მყოფი ოთხი წლის გოგონა იპოვეს.

გოგონა უცნობმა მამაკაცმა თავში ბლაგვი საგნის ჩარტყმით გათიშა, გააუპატიურა და გონებადაკარგული ბავშვი შემთხვევის ადგილზევე დატოვა.

როგორც გაირკვა, 14 სექტემბერს, დაახლოებით, ორ საათზე, ოთხი-ხუთი წლის და-ძმა და მათი მეზობელი ოთხი წლის ბიჭუნა ეზოში თამაშობდნენ. ბავშვები, თურმე, ლითონის ყუთების დაჭეჭყვით ერთობოდნენ. ამ დროს უცნობი მამაკაცი გოგონასთან მისულა და უთქვამს, გამომყევი და ბევრ ყუთს მოგცემო. ყუთების წამოღების სურვილი ბიჭებსაც გამოუთქვამთ, მაგრამ უცნობი დამუქრებია, თუ გამომყვებით, ნემსს გაგიკეთებთო. შეშინებული ბიჭები ეზოში დარჩნენ, გოგონა კი უცნობს გაჰყვა. ამის შემდეგ გოგონა აღარ გამოჩენილა. იგი სარდაფში ჩასულმა მეზობელმა მხოლოდ რამდენიმე საათის შემდეგ იპოვა.

გონებადაკარგული ბავშვი საავადმყოფოში გადაიყვანეს და იგი დღესაც უმძიმეს მდგომარეობაშია.

ისანი-სამგორის რაიონის პროკურატურაში საქმე არასრულწლოვანის გაუპატიურების მუხლით აღიძრა. გუშინ დილით, რაიონის პროკურორმა ვაჟა აბაკელიამ ჩვენთან საუბარში განაცხადა, რომ დამნაშავის დაჭერა არც ისე იოლი იქნებოდა. რადგან საქმეს ართულებდა ის, რომ არ არსებობდა მოწმე, რომელმაც დამნაშავე დაინახა. ბავშვების ჩვენებები კი იმდენად არაადექვატური იყო, რომ პროკურორის განცხადებით, დასკვნების გაკეთება სამართალდამცველებს უჭირდათ. "ყველაფრის მიუხედავად, სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, რომ ძალ-ღონეს არ დავიშურებთ, რათა დამნაშავე ვიპოვოთ და იგი შესაბამისად დაისაჯოს", – განაცხადა ჩვენთან საუბარში აბაკელიამ. ამ სიტყვებიდან სულ ცოტა ხანში დამნაშავეს მართლაც მიაგნეს. იგი ორჯერ - ერთხელ ძარცვის ბრალდებით, მეორედ კი ჯიბის ქურდობისთვის ნასამართლევი 20 წლის ზურაბ ხუცურაული აღმოჩნდა - ეჭვმიტანილმა დანაშაული თავდაპირველად აღიარა, შემდეგ უარყო, შემდეგ ისევ აღიარა. დაკავებულის ტანსაცმელს გუშინვე ჩაუტარდა ექსპერტიზა და დადგენილმა სისხლის ჯგუფმა საბოლოოდ დაადასტურა ზურაბ ხუცურაულის დამნაშავეობა.

შემთხვევის ადგილზე გაყვანილ ზურაბ ხუცურაულს მძიმე მდგომარეობაში მყოფი გოგონას მეზობლები, ახლობლები და ოჯახის წევრები დახვდნენ, რომელთაც მისი ჩაქოლვა მოინდომეს. "გამწარებულ ხალხს ძლივს გამოვტაცეთ ხელიდან. ერთ-ერთმა მეზობელმა ის მაშინვე ამოიცნო, და გაიხსენა , როგორ ქურდულად შევიდა და გამოვიდა მაშინ სადარბაზოდან", - გვითხრა ვაჟა აბაკელიამ.

თუ სასამართლომ ეჭვმიტანილი დამნაშავედ სცნო, ხუცურაულს სამუდამო პატიმრობა ემუქრება.

# მკვლელს ლინჩის წესით გასამართლება ემუქრება

გორის რაიონის სოფელ კარალეთის მცხოვრებლებს მკვლელის ლინჩის წესით გასამართლება სურთ. თავად მკვლელი, ზურაბ ბაზანდარაშვილი, ამავე სოფლის მკვიდრია; იგი მოკლულის, გენადი გოგიაშვილის, მეზობელი და ბავშვობის მეგობარი იყო.

აქამდე მათ შორის არავითარი უთანხმოება არ ყოფილა. მეტიც, მკვლელობის დღესაც, სხვა მეგობრების თანხლებით, ერთად წავიდნენ სოფლის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში ცხვრის შესაწირად.

ეკლესიის ეზოში ქეიფმა გვიანობამდე გასტანა. ნასვამ მდგომარეობაში მყოფ ორ მეგობარს შორის უთანხმოება გინების გამო დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ იქვე მყოფი 15 კაცი მოჩხუბართა დაშოშმინებას ცდილობდა, არეულობაში ბაზანდარაშვილმა მოახერხა და სამჯერ დაარტყა დანა გოგიაშვილს.

გენადი გოგიაშვილი ეკლესიის ეზოშივე გარდაიცვალა. მიუხედავად შემთხვევის ადგილზე ხალხის სიმრავლისა, ბაზანდარაშვილმა გაქცევა მოახერხა. მისთვის სამართალდამცველებს ჯერაც ვერ მიუკვლევიათ.გორის რაიონის პროკურორის სუხიტაშვილის განცხადებით, მკვლელობის ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე განზრახ მკვლელობის მუხლით და მიმდინარეობს ინტენსიური ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებები მკვლელის დასაკავებლად. აღსანიშნავია, რომ გორის პოლიციაში მკვლელობის გამოძიების პარალელურად მიმდინარეობს მეორე გამოძიება. საქმე აღიძრა მკვლელობის შემდეგ განვითარებული მოვლენების, კერძოდ, ხანძრის ფაქტზე. ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით, მოკლული გოგიაშვილის ცოლმა ბაზანდარაშვილების სახლსა და სატვირთო მანქანას ცეცხლი წაუკიდა, თავად კი ცეცხლმოკიდებული სახლიდან სანადირო თოფით ისროდა, რომ ხანძრის ჩაქრობა არავის გაებედა. ამ ფაქტს სამართალდამცველები ნაწილობრივ ადასტურებენ, ანუ, ჯერჯერობით, თავს იკავებენ მომხდარში მოკლულის ცოლის დადანაშაულებისგან.

ალეკო სუხიტაშვილის თქმით: **"როცა ხანძრის შესახებ შევიტყვეთ, ჯერ კიდევ ეკლესიის ეზოში ვიყავით. ყველანი სოფელში გამოვცვივდით. ბაზანდარაშვილების სახლის გადარჩენა მოხერხდა, მანქანა კი დაიწვა. ამ ეტაპზე ვერ ვიტყვი, რომ ხანძრის გაჩენა და ცეცხლმოდებული სახლიდან სროლა გოგიაშვილის მეუღლის ბრალი იყოს. თუმცა, ცხადია, რომ ეს ყველაფერი მოკლულის ახლობლების რეაქცია იყო მკვლელობაზე".**

ჩვენი ინფორმაციით, გენადი გოგიაშვილის ნათესავები და ახლობლები იმუქრებიან, ბაზანდარაშვილის პოვნის შემთხვევაში მას ლინჩის წესით გავასამართლებთო.

# "ლუკოილის" პრეზიდენტი სამი მილიონი დოლარი და სამი მილიონი ევრო ღირს

რამდენიმე დღის წინ "ლუკოილის" ვიცე-პრეზიდენტის გამტაცებლებმა მილიციას სიურპრიზი მოუწყვეს. ანონიმური ზარის ავტორმა მილიციელებს შეატყობინა, რომ ვნუკოვოს მახლობლად მდებარე სასაფლაოს ერთ-ერთ საფლავში ინახებოდა მათთვის საინტერესო ნივთი. მითითებულ ადგილზე მისულმა საგამოძიებო ჯგუფის წევრებმა გათხარეს ანონიმის მიერ დასახელებული საფლავი და იქ მართლაც იპოვეს ამანათი, რომელშიც ვიდეოკასეტა აღმოჩნდა. კასეტაზე ჩაწერილი იყო გატაცებული სერგეი კუკურას მონოლოგი.

ვიდეომასალა, რომელზეც გადაღების თარიღი და დრო არ არის დაფიქსირებული, უცნობ ადგილას, ჩაბნელებულ ოთახშია ჩაწერილი. მართალია, ვიდეოკასეტაზე კუკურა ცოცხალია, მაგრამ აშკარად ჩანს, რომ ჩაწერისას იგი ან ძალიან ცუდად იყო, ან ნარკოტიკული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა.

ჩანაწერში სერგეი კუკურა გამტაცებლების მოთხოვნებს იმეორებს. გამტაცებლები გატაცებულის პირით მოითხოვენ მძევლობიდან გამოსასყიდ საკმაოდ სოლიდურ თანხას – სამ მილიონ დოლარსა და სამ მილიონ ევროს. თანხის გადაცემის დროსა და ადგილს ჩანაწერში კუკურა არ ასახელებს.

# გალში ერთი ღამის განმავლობაში ექვსი ოჯახი დააყაჩაღეს

თამარ კაციტაძე

გუშინ გალის რაიონის სოფელ მზიურში მცხოვრებ ქართულ ოჯახებზე მორიგი თავდასხმა მოხდა. ერთი ღამის განმავლობაში ოთხმა ნიღბიანმა, შეიარაღებულმა პირმა ექვსი ოჯახის დაყაჩაღება მოახერხა. მართალია, თავდასხმებს მკვლელობა არ მოჰყოლია, მაგრამ ყაჩაღებმა დაზარალებულები სასტიკად აწამეს. ერთ-ერთ პიროვნებას კი თავზე ცელოფანის პარკი ჩამოაცვეს და ცეცხლი მოუკიდეს. მკვლელობის მუქარით, ყაჩაღებმა ფულის, ძვირფასეულობის და ტექნიკის წაღება შეძლეს.

გავრცელებული ინფორმაციით, თავდამსხმელები აფხაზი ბოევიკები იყვნენ. თუმცა, გალის რაიონის უშიშროების უფროსი კობა მიქაია არ გამორიცხავს, რომ თავდამსხმელები აფხაზები კი არა, სულ სხვა ეროვნების კრიმინალური დაჯგუფების წევრები ყოფილიყვნენ.

ქართული ოჯახების დაყაჩაღების ფაქტს ოთხმხრივი საგამოძიებო კომისია გამოიძიებს. დღეს აღნიშნულ თავდასხმაზე ჭუბურხინჯის ტრადიციულ შეკრებაზეც იმსჯელებენ.

შეკრებაზე ქართული მხარე ენგურჰესის მიწისქვეშა ელექტროსადგურის დირექტორის ლევან მებონიას სახლის აფეთქების საკითხსაც დააყენებს.

მებონიას სახლი ჯერჯერობით დაუდგენელმა პირებმა გამთენიისას, ოთხ საათზე ააფეთქეს, როდესაც ოჯახის წევრებს ეძინათ. აფეთქებამ სახლის ნაწილი დააზიანა. საბედნიეროდ, ოჯახის წევრები გადარჩნენ.

ამფეთქებელთა ვინაობა სამართალდამცველთათვის დღემდე უცნობია. როგორც გალის რაიონის გამგებელმა მურმან ჭედიამ გვითხრა, მათ შესახებ ინფორმაციას არც აფხაზი პოლიციელები ფლობენ. დაბნეულია თავად ლევან მებონიაც, რომელიც თვლის, რომ ისეთი მტრები არ ჰყავს, რომლებიც ასაფეთქებლად გაიმეტებდნენ.

მოკლედ, გალის რაიონში ბოლო დღეებში მომხდარი დანაშაულები ოთხმხრივი განსჯის საგანი გახდება. მაგრამ, რა შედეგი მოჰყვება ამგვარ თათბირს, წინასწარ ძნელი სათქმელია, რადგან, როგორც რაიონის გამგებელი აღნიშნავს, ყაჩაღური თავდასხმები რაიონში ყოველდღიურად ხდება, მაგრამ დამნაშავეები ჯერ არავის დაუკავებია და დაუსჯია.

სატელევიზიო რეკლამების კვლევა და მონიტორინგი
ჯორჯიან რისარჩი

ჩვენი ტელეფონებია: 25-35-48; (899) 51-19-94

# დაკავებული ჩეჩნების ვინაობას კომისია გაარკვევს

## რეპორტაჟი პანკისის სოფელ ხალაწანიდან

პირველი გვერდიდან

რუსული საინფორმაციო საშუალებების ცნობით, დაკავებული 12 ჩეჩენი ცნობილი ბოევიკების - ძმები ახმადოვების ჯგუფის წევრები უნდა იყვნენ. ახმადოვების საქართველოში ყოფნის შესახებ ინფორმაცია რუსეთის სპეცსამსახურებმა ამ ცოტა ხნის წინ გაავრცელეს. სხვათა შორის, იმავე რუსული სააგენტოების მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, დაკავებულები უმნიშვნელო ბოევიკები არიან და ამიტომაც გაწირა ისინი საქართველოს ხელისუფლებამ. რაც შეეხება "იდეურ" ბოევიკებს, "გაზეტა.რუ"-ს ვარაუდით, მათი კოდორში გადასვლა ქართველმა სამართალდამცველებმა ადვილად უზრუნველყვეს.

ცხადია, ქართული ოფიციალური წყაროები კატეგორიულად უარყოფენ ამ ცნობას. თავდაცვის სამინისტროს კოდორის განსაკუთრებული მიმართულების სარდლის მოადგილის გიორგი გვარმიანის თქმით, ამგვარი ინფორმაციის გამავრცელებლები განგებ ძაბავენ სიტუაციას.

20 დღის წინ დაწყებული და უკვე აქტიურ ფაზაში შესული ანტიკრიმინალური და ანტიტერორისტული ოპერაციისთვის გუშინდელი დღე საკმაოდ შედეგიანი იყო. 12 ჩეჩნის დაკავებიდან რამდენიმე საათში, სოფელ დუისთან ახლოს მდებარე ერთ-ერთ საგუშაგოსთან კიდევ ერთი შეტაკება მოხდა. მომხდართან დაკავშირებით, გუშინვე სხვადასხვა ვერსია გავრცელდა. ერთ-ერთი ვერსიით, ანტიტერორისტული ოპერაციის მიმდინარეობით უკმაყოფილო ორი ჩეჩენი საგუშაგოს დაესხა თავს და, დაკავებული და მოკლული ჩეჩნების გამო ანტიკრიმინალებთან ანგარიშსწორების მიზნით, საგუშაგოზე მყოფებს ცეცხლი გაუხსნა. მეორე ვერსიით, საგუშაგოსთან ერთი ჩეჩენი და ერთი ქისტი, რომელიც შემდეგ გაიქცა, მივიდნენ და სამართალდამცველებს მანქანით გადაადგილება მოსთხოვეს. უარის მიღებისთანავე ჩეჩენმა ხელყუმბარა გახსნა, რომელიც ხელშივე აუფეთქდა და იქვე გარდაიცვალა. აფეთქებულმა ხელყუმბარამ მძიმედ დააზიანა იქვე შემთხვევით მყოფი სულ სხვა ქისტი, ადგილობრივი მცხოვრები, რომელსაც ახმეტის საავადმყოფოში, გადაუდებელი ოპერაციისას, ფეხის ამპუტაცია ჩაუტარდა. მესამე ვერსიის თანახმად, გუშინდელი ინციდენტი ორი დღის წინ მომხდარი შეტაკების გაგრძელება იყო, რომლის დროსაც სამართალდამცველებმა ორმხრივი სროლის დროს შეიარაღებული ჩეჩენი მოკლეს (ამის შესახებ გაზეთის გუშინდელ ნომერში ვწერდით). მისი ცხედარი გუშინ სოფელ ხევიჭალიდან ახმეტის პროზექტურაში გადაიტანეს.

გუშინ საღამოს პანკისის ხეობაში დამატებითი ძალები შევიდნენ. რომელ სოფელში და როდის გაგრძელდება სპეცოპერაციები და კრიმინალთა წმენდა, ჯერჯერობით უცნობია. ეს, ალბათ, გუშინ გვიან ღამემდე გაგრძელებულ ძალოვანთა საგანგებო თათბირზე გადაწყდებოდა, რომელიც თელავის სამხარეო პოლიციის შენობაში გაიმართა და რომლის დეტალებიც გასაიდუმლოებულია.

რაც შეეხება დაკავებულ ჩეჩნებს, როგორც გაირკვა, მათთან ფილტრაციის ჯგუფი იმუშავებს, რომელიც მათი ვინაობის გარკვევას ეცდება. არ გამორიცხავენ, რომ ზოგიერთი მათგანი, შეიძლება, სულაც ლტოლვილი იყოს და გაათავისუფლონ კიდეც. ჩვენი ინფორმაციით, ერთ-ერთი დაკავებული ცდილობდა, დაერწმუნებინა სამართალდამცველები, რომ იგი ახმადოვის რაზმის წევრია, დანარჩენები კი საკუთარ უდანაშაულობაზე საუბრობდნენ.

არიან თუ არა დაკავებულთა შორის ძმები ახმადოვები ან მათი დაჯგუფების წევრები, ამ შეკითხვას შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრი უკომენტაროდ ტოვებს, ანუ ინფორმაციის დადასტურებისა ან უარყოფისგან თავს იკავებს. სამაგიეროდ, დაკავებულთა შორის ახმადოვების ყოფნას გამორიცხავს პარლამენტარი გიორგი ბარამიძე, რომელიც გუშინ, ზურაბ ჟვანიასთან ერთად, პანკისის ხეობაში იმყოფებოდა. რამდენიმე დღეში ზურაბ ჟვანია ევროსაბჭოში დაგეგმილ სხდომაზე უნდა წარსდგეს, სადაც განხილული იქნება რუსეთ-საქართველოს გამწვავებული ურთიერთობების საკითხები. სტრასბურგში გამგზავრების წინ ექსსპიკერმა პანკისის ირგვლივ ინფორმაციის მიღება უშუალოდ პირველ პირთაგან – უშიშროებისა და შინაგან საქმეთა მინისტრებისგან გადაწყვიტა. გიორგი ბარამიძემ ჩვენთან საუბარში აღნიშნა:

**"ოპერაცია, რომელიც პანკისში მიმდინარეობს, სპექტაკლი ნამდვილად არ გახლავთ. უკვე გადადგმულია სერიოზული ნაბიჯები, მოწმდება თითოეული სახლი, ყველა საკვანძო ადგილს ქართველი სამართალდამცველები აკონტროლებენ. ეს მაშინ, როცა ყოფილი ძალოვანი მინისტრების დროს პანკისის ხეობაში სამართალდამცველთა შესვლა წარმოუდგენელიც კი იყო. რა თქმა უნდა, ხელისუფლების უფასო ადვოკატობა ჩვენი საქმე არ არის, მაგრამ ამ ყველაფერს ევროსაბჭოს მაინც მოვახსენებთ. იქვე გაკეთდება განცხადება, რომ პანკისის პრობლემა რუსეთ-ჩეჩნეთის სისხლიანი კონფლიქტის შედეგია და იგი საქართველოს არ შეუქმნია. სამაგიეროდ, დღეს უკვე ყველაფერს აკეთებს მის მოსაგვარებლად".**


გეგმა თანხმდება უშიშროების საბჭოს მდივანთან.


ვალერი ხაბურძანია დეტალებზე ფიქრობს.


შინაგანი ჯარი და სპეცრაზმი დილაუთენია გადის ხალაწანის ოპერაციაზე.


ბლოკპოსტი სოფელ ხალაწანში.


ოპერაცია დასრულებულია.


მძიმე დღის შემდეგ.


დაკავებული ჩეჩნები.


საველე სასადილო სოფელ ხალაწანში.


ხალაწანი. საველე აეროდრომი.


პანკისის ხეობაში ოპერაცია გრძელდება.

ბესო გულაშვილის ფოტოები

www.24hours.ge
24
B

# უსამა ბენ ლადენი - პლაგიატი

## თავის გადახოტვრისას არ ტირიან...

მელორ სტურუა
საქ. კორ. აშშ. მინეაპოლისი.

უსამა ბენ ლადენის თავში ათეულმილიონობით დოლარს იხდიან. არავინ იცის, ისევ ამშვენებს თუ არა ბენ ლადენის მხრებს ეს ძვირად ღირებული თავი. ყოველ შემთხვევაში, ამ თავზე დამოკლეს მახვილივით ჰკიდია ადვილად წარმოსადგენი და წარმოუდგენელი ბრალდებები - დაწყებული ტერორიზმით, რომელიც მთელ დედამიწას და მის მიმდებარე ტერიტორიას მოიცავს. რა საქმეს აღარ "უკერავენ" უსამას!

ახლახან კი გაირკვა, რომ ბენ ლადენი პლაგიატიც არის - სხვისი ლექსი მიუთვისებია. რაღა თქმა უნდა, ლექსის ქურდობა მასობრივი მკვლელობა არ არის. მითვისებული ორი ლექსი შარშანდელი ტერაქტის მსხვერპლი - ნიუ იორკის ორი ცათამბჯენი როდია. მაგრამ, მიუხედავად ამისა, პლაგიატი მაინც დანაშაულია - უსამა შეეცადა, მოპარული ზმნით, ტერორისთვის აენთო ადამიანთა გულები.

კონკრეტულად, რაზეა საუბარი? 11 სექტემბრის შემდეგ ბენ ლადენი ორჯერ გამოჩნდა ტელეეკრანზე "თავისი" ლექსების დეკლამაციით. პირველ ფირზე ის ლექსებს უკითხავს გამოქვაბულ-თავშესაფარში შეკრებილ სტუმრებს. მეორე ფირზე თვალცრემლიანი უსამა ნიუ-იორკსა და ვაშინგტონში თავს დამტყდარი თვითმფრინავების ცხრამეტი გამტაცებლისადმი მიძღვნილ პანეგირიკს კითხულობს. მეორე ვიდეოჩანაწერის გავრცელებიდან ერთი თვეც არ იყო გასული, რომ ლონდონში გამომავალ გაზეთ "ალე ჰაიადი"-ში გამოჩნდა წერილი, რომლის ავტორიც ბენ ლადენს პლაგიატში სდებდა ბრალს. იგი ამტკიცებდა, რომ ლექსები, რომელიც უსამამ მიითვისა, სინამდვილეში მის ბიძაშვილს, იორდანიის უნივერსიტეტის ისლამური სამართლის პროფესორს უსუფ აბუ ჰილალს ეკუთვნოდა. აბუ ჰილალი "მუსლიმთა საძმოს" წევრია და ახლო მეგობრობა აკავშირებს ბენ ლადენის სულიერ მენტორთან - აბდულა აზამთან. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, იმ არაბთა ლიდერი იყო, ვინც 80-იან წლებში



სუვენირი - ბენ ლადენი
REUTERS

საბჭოეთის წინააღმდეგ საბრძოლველად ავღანეთში გაემგზავრნენ. აბუ ჰილალი პირადად იცნობს ბენ ლადენს. მან უსამას ლექსიც კი მიუძღვნა სათაურით: "მებრძოლი არწივი".

მოპარული ლექსები შევიდა აბუ ჰილალის პოეტურ კრებულში "დათრგუნვის წლების პოემები", რომელიც 1998 წელს გამოიცა. თუ ამ კრებულის ინგლისური თარგმანით ვიმსჯელებთ, ეს არის ძველარაბული სამხედრო პოეტიკის მსგავსი, კლასიციზმის სტილით დაწერილი პოეზია. უსამას მიერ მოპარულ პირველ ლექსში საუბარია იმაზე, რომ "ხანჯალივით ალესილ გმირებს არ დაუკარგავთ თავდაჯერებულობა. ისინი თავისი რელიგიის ერთგულნი რჩებიან, მზად არიან, იბრძოლონ და თავი გაწირონ. მიუხედავად ოკუპაციის მთელი სისასტიკისა, მიუხედავად წყვდიადისა, რომელშიც გახვეული ვართ, მიუხედავად შხამიანი კბილებისა, რომლებიც გვკბენს, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი სახლები სისხლით დაიტბორა და ჩვენი მიწა შეურაცხყოფილია - ჩვენი რაინდები კვლავ იბრძოლებენ დამპყრობელთა განდევნამდე".

საინტერესოა, რომ პლაგიატმა ტერორისტმა ტექსტში რამდენიმე მნიშვნელოვანი შესწორება შეიტანა. ბენ ლადენისეულ ვარიანტში სიტყვების - "ჩვენი რაინდების" შემდეგ საუბარია იმაზე, რომ "ისინი დამპყრობელთა მონუმენტების თავზე ქარიშხალს მოაწყობენ და განუცხადებენ მათ: ჩვენ არ ჩავაგებთ ხანჯლებს, ვიდრე არ წახვალთ ჩვენი მიწიდან", და სხვა... ექსპერტ-ისლამისტების აზრით, ბენ ლადენი არა მხოლოდ პლაგიატია, არამედ, მოპარული ლექსები "საკუთარი გამარჯვების ოდად აქცია." ამისთვის კი "არაბული ლიტერატურის ოქროს ხანის პოეტიკა" გამოიყენა. ლიტერატურული კრიტიკოსების აზრით "ამგვარი ლექსების დეკლამირება განსაკუთრებულ ბრწყინვალებას ანიჭებს ბენ ლადენის რეპუტაციას, თუმცა, ამერიკელებს ეს არ ესმით. ახლო აღმოსავლეთში კი დიდად აფასებენ პოლიტიკური ლიდერების პოეტურ გამომსახველობით უნარს...

უსამა იმედოვნებს - მისი პოეტური დეკლამაცია არაბებს დაარწმუნებს იმაში, რომ ის არ არის უბრალო ტერორისტი. ის მებრძოლი პოეტია, რომელიც "წინასწარმეტყველის სახელით აჯანყებისკენ მოუწოდებს."

ეს სულაც არ არის სახუმარო საქმე. პრისტონის უნივერსიტეტის პროფესორ ბერნარ ლუმიეს მიაჩნია, ბენ ლადენი სწორედ საკუთარ მჭევრმეტყველებას უნდა უმადლოდეს, რომ პან-არაბული და პან-ისლამური მოძრაობის უპირველესი ლიდერი გახდა.

პოლიტიკური და პოეტური პროპაგანდა, რომელსაც ბენ ლადენი ეწევა, - თუ ის ცოცხალია, ანდა, ეწეოდა, - თუ სული ალაჰს მიაბარა, სერიოზულად აღელვებს ვაშინგტონს. ბუშის პოლიტიკური იმიჯმეიკერები შიშობენ, თითქოს ბენ ლადენის სიტყვა არაბებამდე აღწევს ისე, რომ მისი ტერორისტული შეტყობინება ეშმაკურად არის "შეფუთული" აღმოსავლური პოეზიის ჭრელ სამოსში. ასე, მაგალითად, ბენ ლადენის 1998 წლის ცნობილი მიმართვა, რომელშიც ის მუსულმანებს ამერიკელთა ხოცვისკენ მოუწოდებს, შესრულებულია "საი"-ს სტილში. ეს არის გარითმული პროზა, რითიც დაწერილია ყურანი და რაც დღესაც გამოიყენება თანამედროვე არაბულ ლიტერატურაში.

ვაშინგტონელი იმიჯმეიკერებისთვის მთელი ეს ბენ ლადენისეული პროპაგანდისტული ტერორიზმი ჩინური სიგელივით მიუწვდომელია. მათ მართლა აინტერესებთ, როგორი სარეკლამო ბრძოლა უნდა გამოუცხადონ ისლამისტების რადიკალურ მორწმუნეობას. ბენ ლადენს ასწავლიდნენ, ახლა კი ის თავად არის მასწავლებელი. ის ქადაგებს, რომ წინასწარმეტყველ მოჰამედის გამოჩენამდე ქაოსი მეფობდა. ამიტომ, მხოლოდ იმამის მმართველობის აღდგენის შემდეგ შეძლებს სამყარო ქაოსიდან გამოსვლას. სიცოცხლე გახდება ნათელი და მომავალი - ნაირფეროვანი. დამიზნებული დაბომბვებით ამ რწმენას ვერ შეარყევენ, ხოლო ბუშის ქადაგებანი "ბოროტების კრაზანისა" და "კეთილისა და ბოროტის ბრძოლის" შესახებ ამ რწმენას მხოლოდ განამტკიცებს.

ბენ ლადენის პოეტურ სამოსში გამოწყობილი პროპაგანდის განეიტრალება იმის პროპაგანდით, რომ ეს პოეზია ნაქურდალია, სასაცილოა... რასაც დასავლეთში პლაგიატი ჰქვია, ის აღმოსავლეთში მიბაძვაა, მაგრამ არც ესაა მთავარი. ბენ ლადენის აუდიტორიისთვის მისი პოეტური გამოხდომები ძლიერმოქმედი აბია. მათთვის ეს პოეზია არ არის. ეს სამხედრო კოდექსია, ორგულთა და გამცემთა ხოცვის მეცნიერება. ამ კოდექსში, ამ მეცნიერებაში, არაბული ულაყები გატაცებულ "ბოინგებად", ხმლები - შაშხანებად, ომი ალაჰის სახელით - ტერორისტ-კამიკაძეებად გადაიქცევიან.

ბენ ლადენის პლაგიატად გამოცხადებით საქმეს ვერ უშველი. აღმოსავლეთში ვერ გაგიგებენ, ხოლო დასავლეთში დაგცინებენ.

როცა კალამს ხიშტზე დაამაგრებ, ხიშტი დაუძლურდება.

# მოასანიტი - კარგად ქღერს, მაგრამ არ მოტყუვდეთ

## თბილისში ყალბი ბრილიანტები იყიდება

ნინო ჭანიშვილი

ბრილიანტი ყველგან და ყოველთვის ყველაზე ძვირად ღირებული მინერალი იყო, ამიტომ სულ ცდილობდნენ, მისი გაცილებით იაფფასიანი ხელოვნური ალტერნატივა შეექმნათ (სინთეზური რუტილი, ცირკონი, სტრონციუმის ტიტანატი, ფიანიტი). საბოლოოდ, ყველანაირი მცდელობა, შეიძლება ითქვას, წარუმატებლად დასრულდა. თავისი მონაცემებით ვერცერთი მათგანი ბრილიანტს ვერც კი უახლოვდებოდა. და აი, გაჩნდა მოასანიტი- მეცნიერების უახლესი და შეუდარებელი მიღწევა.

თავდაპირველად ამ ნივთიერების ფხვნილს ძვირფასი და ნახევრად ძვირფასი მინერალების დასამუშავებლად იყენებდნენ. შემდგომ დააკვირდნენ, რომ მოასანიტს ალმასისათვის დამახასიათებელი (სითბოგამტარობა, მაღალი სიმაგრე - 9,5) თვისებები ჰქონდა და საიუველირო ქვების დამზადება დაიწყეს. მოსანიტის ქვა დაწახნაგების შემდეგ ისევე ბზინავდა, როგორც ბრილიანტი.

საზღვარგარეთ მოასანიტს "ყალბ ბრილიანტს" (False diamond) ეძახიან.ის ორიგინალთან შედარებით გაცილებით იაფია, თითქმის ასჯერაც კი.

უკვე რამდენიმე წელია, მოასანიტი თბილისშიც შემოვიდა და ძირითადად, როგორც ბრილიანტს ისე ასაღებენ. მოსახლეობამ ამის შესახებ, ფაქტობრივად, არაფერი იცის. მისი არსებობა მხოლოდ სპეციალისტებისთვისაა ცნობილი. შესაძლოა, ბრილიანტების რეალიზაციით დაკავებული ადამიანებიც კი არ არიან ინფორმირებულები მათ ხელთ არსებული საქონლის შესახებ. მაგრამ, ალბათ, ისეთებიც არიან, ვინც ამ გაურკვევლობით კარგ სარგებელს ნახულობს.

2001 წლის დასაწყისამდე ჩვენთან, ძირითადად, ერთი კარატის წონის მოასანიტები შემოდიოდა, მაგრამ დღეს უკვე მცირე წონიანებიც გაჩნდა.

ტექნიკური უნივერსიტეტის მინერალოგიის, პეტროლოგიისა და გეოქიმიის კათედრის გამგე, პროფესორი ნოდარ ფოფორაძე ამბობს, რომ "მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა შეიძინა ეს ქვები და, ალბათ, ბევრს დღესაც უდევს სახლში, შეისყიდეს ბრილიანტად და სინამდვილეში მოასანიტია. თავიდან, როცა მოასანიტისთვის დამახასითებელი ნიუანსები უცნობი იყო, ძალიან ძნელი იყო მათი გარჩევა და ბევრი ბანკში მომუშავე შემფასებელიც შეცდა. წელიწადზე მეტია, რაც სპეციალური ტესტერები შეიქმნა და უკვე საქართველოშიც შემოვიდა. ამან მოასანიტის ამოცნობა გააადვილა. ამ ხელსაწყოთი შეიარაღებული გამოცდილი ექსპერტის შეცდენა, ფაქტობრივად შეუძლებელია. ეს ტესტერები ქართული ბანკების უმრავლესობამ შეიძინა".

საქართველოში მოასანიტები უმთავრესად რუსეთიდან და ამერიკიდან შემოდის. ჩვენ ქვეყანაში ძვირფასი თვლების და ლითონების გატანა-შემოტანა არ კონტროლდება, თუნდაც იმ მიზეზის გამო, რომ უწყებებს, რომელთა კომპეტენციაშიც ეს შედის, არ ჰყავთ ექსპერტები, რომლებიც სინთეტურ თვლებს ბუნებრივი მინერალისგან გაარჩევენ.

"უკვე რამდენიმეა წელია, რაც ტექნიკურ უნივერსიტეტში ძვირფასი ქვებისა და კეთილშობილი ლითონების ექსპერტიზის კურსი გავხსენით. ძალოვან სტრუქტურებს, კულტურის სამინისტროს და საბაჟოს შევთავაზეთ კადრების მომზადება. თავიდან ყველამ მოიწონა ეს იდეა, მაგრამ საბოლოოდ, არავის გამოუგზავნია საკუთარი თანამშრომლები მოსამზადებლად,"-ამბობს ნოდარ ფოფორაძე.

დღეს უცხოეთში 1 კარატი მოასანიტი დაახლოებით 150 დოლარი ღირს და როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, მისი ფასი კიდევ უფრო დავარდება. ასე რომ, თუ გადაწყვეტილი გაქვთ, ბრილიანტით გაწყობილი ოქროს ნაკეთობა ან უბრალოდ ბრილიანტი შეიძინოთ, განსაკუთებული სიფრთხილე უნდა გამოიჩინოთ, რომ უცოდინრობის უნებლიე მსხვერპლი არ გახდეთ.

სხვათა შორის, კომუნისტების დროს ბევრი შეცდა - ყიდულობდნენ "ბრილიანტის" სახელს და ნაკლებად აქცევდნენ ყურადღებას მის ხარისხს.

დღეს ბრილიანტის შეძენისას მომხმარებლებმა მოთხოვნები გაამკაცრეს – უნდათ, რომ იყოს სუფთა (ჩანართების გარეშე) და თეთრი, ანუ, როგორც უწოდებენ, "პრიმა". ამ ქვისადმი არც ამგვარი დამოკიდებულებაა მართებული, რადგან ნებისმიერ ხარისხს თავის შესაბამისი ფასი აქვს: ერთკარატიანი ბრილიანტის ფასი 12 ათასი დოლარიდან 16 ათას დოლარამდე იცვლება, ხარისხის მიხედვით.

რაც შეეხება უნიკალურ და ძვირად ღირებულ ბრილიანტებს, ისინი შეიძლება, ადამიანისთვის საბედისწეროც კი გახდეს. ცნობილმა ბრილიანტმა "რეგენტი" რამდენიმე ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და ბოლოს აუქციონიდან გაიყიდა; თავისი გიჟური გატაცებით ცნობილი ვასილი კანდინსკის მეუღლე ნინა ანდრეევსკაია, რომელისთვისაც სპეციალურად კარტიე, ვან კლიფი & არპელსი ამზადებდნენ უძვირფასეს, ბრილიანტებით მორთულ სამკაულებს, ერთ მშვენიერ დღეს, საკუთარ სახლში მკვდარი იპოვეს. მკვლელმა მისი 2 მილიონ დოლარად შეფასებული ბრილიანტების კოლექცია მოიპარა და კანდინსკის არცერთი სურათისთვის ხელი არ უხლია.





ეს ბრილიანტები ნამდვილია.

# ბისოსებს მიღმა დარჩენილი ქართული არტ-ბაზარი

თეონა ჯაფარიძე

*ქართულ არტ-წრეებში ახალი ჟურნალი "არტ-მარკეტი" დროულად გამოჩნდა. ამ გამოცემაში ოფიციალურად პირველად დაიწყეს წერა საქართველოში ხელოვნების ბაზარზე, ხელოვნებასა და ბიზნესზე, ფასზე და მხატვრულ ღირებულებაზე, მხატვრების, დილერებისა და კოლექციონერთა ურთიერთობაზე. ჟურნალი ფონდის "ღია საზოგადოება საქართველოს" მხარდაჭერით გამოიცა და როგორც მისმა მთავარმა რედაქტორმა ზაია წიქორიძემ აღნიშნა, შემდეგი ორი ნომერი კანონმდებლობას, ექსპერტიზას, მხატვრების პიარის შექმნას და რეკლამას დაეთმობა.*

"მხატვრობა დიდი ფუფუნებაა და მას მდიდარი საზოგადოება სჭირდება",- გამაფრთხილა მხატვარმა მამუკა ცეცხლაძემ, როცა ამ თემაზე ვსაუბრობდით.

პარადოქსია, მაგრამ სწორედ იმ დღეებში, როცა რუსეთის დუმაში კენჭს უყრიდნენ საკითხს, დაებომბათ თუ არა "მსოფლიო ტერორიზმის ბუდე", "პანკისის ხეობა" და თბილისს ზამთარში სანთლის შუქზე დატოვებით ემუქრებოდნენ, გალერისტებთან, მხატვრებთან თუ კოლექციონერებთან ვსაუბრობდი და ვცდილობდი, გამერკვია, არსებობს თუ არა საქართველოში არტ-ბაზარი, ან თუ არსებობს, რა დონეზეა განვითარებული.

მდიდრულ კოლექციების დათვალიერებას თან ერთვოდა რუსული ტელეარხებისა და რუსი დეპუტატების მუქარის აკომპანიმენტი, რაც ჩვენი საუბრის თემას, ერთდროულად, აბსურდულსა და აქტუალურს ხდიდა. მაგალითად, ასეთ ვითარებაში აღვმოჩნდით ცნობილი პროფესიონალი კოლექციონერის, ბატონი გივი ფარასტაშვილის სახლში. მისი კოლექცია 27 წელიწადია არსებობს და ქართველ კლასიკოსთა საუკეთესო და კარგად მოვლილი ნამუშევრებისგან შედგება. მათი ახლანდელი მეპატრონე თითოეული ტილოს შექმნის ისტორიას, ყველა ნამუშევრის ყოფილ ადგილ-სამყოფელსა თუ ძველ მეპატრონეთა ვინაობას დეტალურად იცნობს.

აქ თქვენ ნახავთ ფიროსმანის, გაბაშვილის, გუდიაშვილის, კაკაბაძის, ახვლედიანის, მაღალაშვილის, ქიქოძის, ბაჟბეუქ-მელიქოვისა და სხვა კლასიკოსთა რჩეულ ნამუშევრებს (რომ აღარაფერი ვთქვათ მთელი XX საუკუნის მხატვრობაზე),თან ექსპერტიზისთვის აუცილებელ ინფორმაციასაც შეიტყობთ.

უცხოეთში, ცნობილ აუქციონებზე მაგნატები კოლოსალურ თანხებს იხდიან ცნობილ ავტორთა ნამუშევრებში, რომლებსაც ექსპერტიზის დასკვნა და საარქივო-დოკუმენტური მასალა აქვს დართული.(ეს აუცილებელი პირობაა). მხოლოდ ერთხელ, 2001 წელს გაიელვა ქართველი კლასიკოსის - გუდიაშვილის სახელმა კრისტის აუქციონზე და ისიც იმიტომ, რომ სურათს საზღვრის გადაკვეთა არ დასჭირვებია: ტილო "ზეიმი საქართველოში" პარიზის რესტორნისათვის 69 500 დოლარად გაიყიდა. "ამბობენ, რომ მისი საწყისი ფასი, შესაძლოა, უფრო მაღალი ყოფილიყო, მაგრამ ნამუშევარს არ ჰქონდა ატრიბუცია: არ ჩატარებულა ექსპერტიზა და მის შესახებ არ იყო მოპოვებული საარქივო დოკუმენტური მასალა" (ჟურნალი "არტ მარკეტი").

საინტერესოა, რატომ არ ჩნდება ჩვენს მიერ მაგალითად მოყვანილი კოლექციის, კოლექციონერის ან, უპირველეს ყოვლისა, ცნობილ ქართველ კლასიკოსთა სახელები "კრისტის", "სოტბის", "ბინოში გოდოს" აუქციონებზე. ეს კოლექცია ხომ ყველა მოთხოვნას ასრულებს.

ქართველ გალერისტთა და მხატვართა წრეებში არასწორ კულტურულ პოლიტიკასა თუ საბაზრო სისტემის კანონმდებლობას ხშირად აკრიტიკებენ.

კულტურულ ფასეულობათა დეპარტამენტის დირექტორი დავით კალანდია: "ცხადია, ფიროსმანის რომელიმე ნამუშევარი პომპიდუს ან კენედის ცენტრში რომ მოხვედრილიყო, საერთაშორისო ბაზარზე მისი ფასი კიდევ უფრო აიწევდა, მაგრამ ჩვენთან მომქმედი კანონის თანახმად, საექსპერტო კომისია (სამეცნიერო მეთოდური საბჭო ანუ ე. წ. "თორმეტკაცა") თუ მიიჩნევს, რომ ესა თუ ის შედევრი "ქვეყნის საგანძურს" წარმოადგენს, მისი საზღვარგარეთ გატანა და - მით უმეტეს, გაყიდვა, იკრძალება. ამ კანონით, სახელმწიფო რეესტრში შეტანილია ფიროსმანის ყველა, გუდიაშვილის, ახვლედიანის, კაკაბაძის ფრანგული პერიოდის, აგრეთვე ექსპერტთა მიერ შერჩეული ვარაზისა და ფარჯიანის ნამუშევრები."

ამ კანონის შესაბამისად, ქართველ კოლექციონერებს მოქმედების არეალი უმცირდებათ და საერთაშორისო ბაზართან შედარებით კოლოსალურად დაბალი ადგილობრივი ფასების, ერთი-ორი მდიდარი მყიდველისა და გამოფენებში მონაწილეობის ამარა რჩებიან.

*მყიდველის რა კატეგორია არსებობს ქართულ არტ ბაზარზე?*

პირველ რიგში, რამოდენიმე "ახალი ქართველი", რომელიც, ხშირ შემთხვევაში, ინკოგნიტოდ დარჩენას ამჯობინებს, არტ-დილერის დახმარებითა და რჩევით მხოლოდ გარდაცვლილი კლასიკოსის შედევრებს ყიდულობს, ხარისხს მნიშვნელობას არ ანიჭებს,უბრალოდ, ავტორიტეტულ სახელსა და ინიცალებში აბანდებს კაპიტალს.

*გარდაცვლილ მხატვართა შედევრების გარდა კიდევ რა იყიდება ქართულ არტ ბაზარზე?*




*ხელოვნება ხალხისათვის*

დემურ კახურაშვილის ფოტო

ზაია წიქორიძე, გალერისტი: "ხშირად არჩევანს აკეთებენ დეკორატიული გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშებზე, რეალისტურ ფოტოებზე, დიდი მოთხოვნილებაა ტიხრულ მინანქარზე. მაგრამ ბევრმა მოყვარულმა დაიწყო ამ ჟანრში მუშაობა და მას უნიკალურობის იმიჯი დაუკარგა. ფაქტობრივად, ის რაც დაემართა ჭედურობას, ალბათ, ტიხრულ მინანქარსაც იგივე მოელის."

მყიდველთა მესამე კატეგორიას უცხოელები მიეკუთვნებიან, რომლებიც ხშირად სუვენირის დონის ნამუშევრის შეძენით კმაყოფილდებიან. ხოლო თუ მათ შორის მხატვრობაში კარგად გარკვეულიც გამოერია, რომელიც საერთაშორისო ბაზრის ფასებშიც კარგად ერკვევა, ცდილობს, რაც შეიძლება იაფად ჩაიგდოს ხელში ქართველი მხატვრის ტილო.

ქართული არტ ბაზრის სურათი გალერისტმა მანანა ვადაჭკორიამ ასე დაახასიათა: "არტ ბიზნესი კარგად აწყობილი სტრუქტურაა: მყიდველი –გალერეა –მხატვარი. ასე უნდა გამოიყურებოდეს ამ სტრუქტურის ჯაჭვი. მაგრამ ჩვენთან მყიდველი გალერეას გვერდს უვლის და მის ფუნქციას ხშირად დილერი ასრულებს, რომელიც ამ ჯაჭვის დამატებითი რგოლია. ყოველივე ამის გამო ჩვენთან ხელოვნების ბაზარი შავია. გარკვეული ტიპის მყიდველს ხშირად ეშინია გალერეაში ფულის გამოჩენის ან მიაჩნია, რომ გალერეის ფასები უფრო დიდია. ამიტომ ის მთლიანადაა მინდობილი დილერის არჩევანსა და გემოვნებაზე. ხშირია (გარდაცვლილ მხატვართა ნამუშევრებზე) ფალსიფიკაციის შემთხვევებიც. რაზეც მოთხოვნილება არსებობს, ფალსიფიკატორიც იმაზე მუშაობს"

საგალერეო პოლიტიკაზე საუბრობს გალერისტი ზაია წიქორიძეც: "თბილისში ბევრი გალერეა იხსნება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი თავის თავს ირჩენენ. გამოფენები, ძირითადად, კატალოგების გარეშე ეწყობა. გალერეების დანიშნულება- მხატვრის რეკლამირება, მასთან ხელშეკრულების დადება და ბაზარზე ფასების დარეგულირებაში გადამწყვეტი როლის შესრულება, გაურკვეველი და ქაოსური კანონმდებლობის პირობებში, სრულიად დაკარგულია. საერთოდ, ჩვენთან საგალერეო ცხოვრება მაინც სალონურ დონეზე რჩება."

ქართულ არტ-წრეებში თვით შავი ბაზრისა და ფალსიფიკატორების არსებობის ფაქტს ერთგვარი იმედით უყურებენ და აღნიშნავენ, რომ მათი არსებობა ხელოვნების ბაზრის ჩანასახზე მიუთითებს.

ხელოვნების დღევანდელ ქართულ ბაზარზე, თავისი ადგილი არ გააჩნია ახალ ქართულ ხელოვნებას. მე ვერ წარმომიდგენია, რომ თბილისში რომელიმე კოლექციონერმა, მდიდარმა ქართველმა ან თუნდაც მუზეუმმა ქართველი არტისტების კონცეპტუალური ნამუშევარი, ვიდეო-ინსტალაცია, ობიექტი ან ფოტო-ნამუშევარი შეიძინოს, გააკვირვოს მნახველი და იამაყოს. შესაძლოა, სწორედ ამიტომ, ეს ხელოვნება უფრო ადვილად აღწევს დასავლეთს არა როგორც სუვენირი ან მხატვრის შედევრი, არამედ როგორც ახალი აზროვნების ნიმუში.

## კალენდარი

### 19 სექტემბერი

"25 წლის წინ პესიმისტის იარლიყი მომაკერეს. კრიტიკოსები გაუთავებლად იჩხრიკებოდნენ ჩემს წიგნებში, მანამ სანამ სასოწარკვეთილების რაღაც მარცვალს არ წააწყდებოდნენ. არ ვიცი - რატომ. მე ჩემი თავი იმედდაკარგულად არ მიმაჩნია" - ამონაწერი **უილიამ გოლდინგის** 1983 წელს წარმოთქმული სიტყვიდან, ნობელის პრემიის მინიჭების დროს.

ბრიტანელმა მწერალმა უილიამ გოლდინგმა ორი მსოფლიო ომი გამოიარა და ამ ომებმა მთლიანად შეცვალა მწერლის მსოფლმხედველობა. თუმცა, როგორც თვითონ ამბობდა, პესიმისტური განწყობა არ დაუფლებია.

გოლდინგის 1954 წელს გამოქვეყნებული რომანი "ბუზების მბრძანებელი" მაშინვე ბესტსელერად იქცა არა მარტო დიდ ბრიტანეთში, არამედ მთელ მსოფლიოში. დღეს ამ წიგნის უკვე 10 მილიონი ეგზემპლარია გაყიდული. რომანის მიხედვით ფილმიც გადაიღეს, რომელსაც ასეთივე წარმატება ხვდა წილად. ქართველი მკითხველისთვის გოლდინგი ყველაზე მეტად ამ რომანითაა ცნობილი. ამასწინათ რომანის ქართული თარგმანიც გამოვიდა.



60-იან წლებში უილიამ გოლდინგი საბერძნეთში მუშაობდა მასწავლებლად. ამ ქვეყანაში ცხოვრებამ და საბერძნეთის ლიტერატურამ მის შემოქმედებაზე დიდი გავლენა მოახდინა. 82 წლის ნობელიანტმა მწერალმა 1993 წელს ახალი წიგნის წერა დაიწყო, რომანი "ორმაგი ენა" ძველ საბერძნეთსა და დელფოს ორაკულის ქურუმზე - პითიაზე მოგვითხრობდა. სამწუხაროდ, რომანის დასრულება აღარ დასცალდა. ამავე წელს უილიამ გოლდინგი გარდაიცვალა.

დღეს 19 სექტემბერს **ბრიტანელი მწერლის, უილიამ გოლდინგის** დაბადებიდან 91 წელი შესრულდა.

## თეატრები

✓ **ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი**
ჯუზეპე ვერდი, "ტრავიატა", ოპერა სამ მოქმედებად, ოთხ სურათად
დირიჟორი ზაზა აზმაიფარაშვილი
დას: 18:00 სთ.

✓ **ერთი მსახიობის თეატრი "ვერიკო"**
"კონტრაბასი", რეჟ. ნინო ახვლედიანი; მთავარ როლში, გია გიგოშვილი
დას: 19:00 სთ; ფასი 3 ლარი

✓ **თავისუფალი თეატრი**
"კომედიანტები", რეჟ. ავთანდილ ვარსიმაშვილი
დას: 19-00 სთ; ფასი 3-5 ლარი

## საგამოფენო დარბაზები

✓ **ეროვნული გალერეა**
11 სექტემბრის ამსახველი ფოტოებისა
და ქართველი მხატვრების ნამუშევართა გამოფენა

✓ **ქარვასლა**
ფრანგი ფოტოგრაფების ნამუშევართა გამოფენა.

✓ **ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
ანანო კოპლატაძის ფერწერული ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

✓ **TMS**
თანამედროვე ქართველ მხატვართა გრაფიკული ნამუშევრების გამოფენა

## საკონცერტო დარბაზები

✓ **კონსერვატორიის დიდი საკონცერტო დარბაზი**
საორღანო მუსიკის კონცერტი, სოლისტი: ეთერ მგალობლიშვილი
პროგრამაშია: ბრუკნერი, ბახი, ფრანკი, კლერამბო, ბოლმანი.
დას: 19 სთ.

## კინოთეატრები

✓ **ამირანი**
"უძილობა", მთავარ როლებში: ალ პაჩინო და რობინ უილიამსი
დას: 13:00; 20:00; 22:00 სთ; ფასი: 5-8 ლარი
სტივენ სპილბერგის "უცხოპლანეტელი"
დას: 15:00; 17:00 სთ.; ფასი: 5-6 ლარი

# ბალეტშიც მხოლოდ ქალიშვილები არიან

## პეტერბურგის მამაკაცთა ბალეტის წარმოდგენამ ქართველი პუბლიკაც გააოცა

მადი სერებრიაკოვა

"მომაკვდავ გედს" მე ყველაზე კარგად ვცეკვავ, მაგრამ მიხაილოვსკი ჩემზე უკეთ" – როცა "პეტერბურგის მამაკაცთა ბალეტის" გუშინდელი წარმოდგენის დაწყებამდე მაია პლისეცკაიას ეს სიტყვები წავიკითხე, ბუნებრივია – ირონიად აღვიქვი. თუმცა, წარმოდგენის დაწყებისთანავე დავრწმუნდი – შეუძლებელია ირონიით ილაპარაკო თვითირონიის ისეთი კარნავალის შესახებ, როგორიც პეტერბურგელმა მოცეკვავეებმა მოაწყვეს. ტრადიციული რუსული საბალეტო ტექნიკითა და არაჩვეულებრივი არტისტიზმით პეტერბურგელმა "ძლიერთა სქესმა" გრიბოედოვის თეატრში ქართველ პუბლიკას მეტად უჩვეულო სანახაობა გაუმართა. ორი მოქმედებისაგან შემდგარი წარმოდგენა საბალეტო ხელოვნების ერთგვარ რეტროსპექტივას წარმოადგენდა. თუმცა, ენციკლოპედიური სიზუსტე აქ მთავარი არ არის – ყველაზე მნიშვნელოვანი მიხაილოვსკის დასის მიერ კლასიკის ხედვის რაკურსი იყო, საიდანაც ყველასთვის ნაცნობი ფემინური თუ მასკულინური სახეები ანდროგენულობამდე უტრირებულად გამოიყურებოდნენ.

პეტერბურგის მამაკაცთა ბალეტი უკვე ათი წელია არსებობს. მისი დამაარსებელი და მხატვრული ხელმძღვანელი ვალერი მიხაილოვსკი მანამდეც ცნობილი მოცეკვავე იყო (სხვათა შორის, მას ვახტანგ ჭაბუკიანთანაც აკავშირებს შემოქმედებითი მოგონებები). მამაკაცთა ბალეტის შექმნით კი მან, კომერციულის გარდა, მეტად თამამი შემოქმედებითი ნაბიჯიც გადადგა. თვით "ბალეტის ქვეყანად" წოდებულ რუსეთშიც კი მიხაილოვსკის ექსპერიმენტი "რუსული ბალეტის გადატრიალებად" აღიქვეს. მამაკაცთა ბალეტს თითქმის მთელი მსოფლიო აქვს შემოვლილი და აღფრთოვანებული გამოხმაურებებიც დაუმსახურებია დასავლურ თუ აღმოსავლურ პრესაში. თავის დროზე მათ თანამედროვე ქორეოგრაფიის ისეთი მეტრიც კი აატირეს, როგორიც მორის ბეჟარია.

თავისი არსებობის მანძილზე პეტერბურგის მამაკაცთა ბალეტს ექვსი პროგრამა აქვს განხორციელებული. თბილისში მათ ყველაზე პოპულარული პროგრამა ჩამოიტანეს. პირველი განყოფილება თანამედროვე წარმოდგენას - "რუსული ტანგო – მეთოჯინის მოლოდინში" დაეთმო. წარმოდგენის მუსიკა ერთბაშად ვერდის მოტივებსაც მოიცავდა და კურიოხინის ავანგარდსაც. არც ქორეოგრაფია ჩამორჩებოდა ორიგინალობით. შესრულებამ კი ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა: მოცეკვავეებმა ერთნაირად დახვეწილი მანერით წარმოადგინეს მაღალი კლასიკაცა და პორნოგრაფიამდე მისული გეი-ეროტიკაც.



*ვალერი მიხაილოვსკი*



*"რუსული ტანგო - მეთოჯინის მოლოდინში"*

თუმცა, ეს მხოლოდ უვერტიურა აღმოჩნდა. პუბლიკა მაშინ გადაირია, როცა მეორე ნაწილში "პაჩკებში" გამოწყობილი რვა მამაკაცი ქალის პუანტებზე შედგა და საყოველთაოდ ცნობილი საბალეტო ნომრები შეასრულა. თუმცა, კლასიკა აქ, ძირითადად, მხოლოდ ფორმალურად მოიხსენიებოდა. მიხაილოვსკის შემოქმედება უფრო პოსტ-ქორეოგრაფიას (ნიჟინსკის შემდეგ, ალბათ, უფრო პოსტ-პოსტ-ქორეოგრაფიას) დაემსგავსგა, სადაც იუმორის და ირონიის სიჭარბისგან ყველაფერი ერთი დიდი ცირკივით გამოიყურებოდა. თანაც, ამ ჟანრის საუკეთესო გაგებით. Cirque du soleil-ის შემდეგ (სახვათა შორის, პეტერბურგის მამაკაცთა ბალეტისთვის უცხო არ უნდა იყოს ფრანგი ოსტატების შემოქმედება), ცირკი, დიდი ხანია, "მდაბალი" ჟანრის სტერეოტიპს დაშორდა და საუკეთესოდ მოერგო თანამედროვე ხელოვნების (თუ გნებავთ, პოსტხელოვნების) ესთეტიკას.

მიუხედავად ცირკის მიმართ აღნიშნული პატივისცემისა, ამ უკანასკნელს ველარ მივაწერთ გუშინდელი წარმოდგენის ბოლო ნომერს: სენსანსის "გედი" ვალერი მიხაილოვსკის საუკეთესო ნომერია, რომელშიც სავსებით დაცულია აკადემიური მანერაც და მაღალი სტილიც. ამ უკანასკნელს კი სამმაგი "ბის" და ტრიუმფალური ფინალი მოჰყვა.

წარმოდგენის დაწყებამდე ორი რამ მაინტერესებდა განსაკუთრებით: როგორ მოირგებდნენ მამაკაცები ქალების როლებს და როგორ მიიღებდა ყოველივეს თამადის ტრადიციებზე გაზრდილი ქართველი პუბლიკა. პირველი თემა გენდერული, სქესობრივი თუ სექსუალურ იდენტურობის სრული აღრევით ამოიწურა: პეტერბურგელი მამაკაცების გამოსვლისთვის უბრალოდ შეურაცყოფა იქნებოდა დაგებრალებინა, "ქალებს თამაშობენო". დამსწრე საზოგადოების კმაყოფილებას კი – სიტყვა ვერ აღწერს. იგი აქტიური ოვაციებით რეაგირებდა მოცეკვავეების ყოველ პასა თუ უბრალო მიმიკაზე (სხვათა შორის, მიმიკის ტექნიკას მიხაილოვსკის დასი საბალეტოზე ნაკლებად როდი ფლობდა).




# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გყავთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაეღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამპლუაში?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით ბეთჰოვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

## ციხედარბაზები

მუსლიმი ტერორისტების მიერ მანჰეტენის დანგრევის შემდეგ მრავალჯერ გამოითქვა აზრი, რომ ამ მოვლენის შედეგად მსოფლიო შეიცვალა. ახლა არ მოვყვებით იმის გარკვევას, მართლა შეიცვალა მსოფლიო თუ არა. ჩვენთვის არსებითია, რომ ადამიანი სიმბოლოთა შემოქმედი არსებაა: იგი ყოველთვის ცდილობს ან სიმბოლური მოვლენა მოახდინოს, ან სიმბოლური საზრისი მიანიჭოს უკვე მომხდარს.

სიმბოლური მოვლენები კი 2001 წლამდე გაცილებით უფრო ადრე ხდებოდა. მაგალითად, X საუკუნეში ალპების ჩრდილოეთით დაიწყო ახალი ფეოდალური არისტოკრატიის "დაკომპლექტება" მცირე სოციალური ჯგუფების ლიდერთაგან. ახლადგამომცხვარ წარჩინებულებს, ბუნებრივია, საზოგადოებაში საკუთარი ადგილი უნდა გაერკვიათ, ამისათვის მათ თავდაცვა სჭირდებოდათ, თავდაცვას კი — მაგარი კედლები. გალავნების ასაშენებლად ძველ, რომის იმპერიისაგან დარჩენილ დიდი ქვებით მოკირწყლულ გზებს ანგრევდნენ. ასე იქცეოდა კომუნიკაციის, ურთიერთობის საშუალება იზოლაციის, ჩაკეტილობის საშუალებად ევროპის გარიჟრაჟზე.

ამგვარივე ცვლილებები შეინიშნებოდა ენაშიც. შუა საუკუნეების ციხედარბაზი გამაგრებული ნაგებობა იყო, რომლის მთავარი ელემენტს, საბრძოლო კოშკს, ანუ დონჟონს, გარს ერთი ან რამდენიმე კედელი, წყლით სავ-



სე თხრილი და სხვა ფორტიფიკაციები ერტყმოდა. ყველა ევროპულ ენაში მისი სახელწოდება მომდინარეობდა ლათინური სიტყვიდან castellum, რაც თავისთავად პატარა ბანაკს (castrum) ნიშნავს. ბანაკებს, რომლებსაც კედლები, რა თქმა უნდა არ ჰქონდათ, რომაული ჯარი საბრძოლო მოქმედებებისას აშენებდა. რომაულ ლეგიონთა მობილურობის მთავარი ნიშანი უძრაობის, სიმყარისა და უცვლელობის სიმბოლოდ გარდაიქმნა.

ადამიანთა გონებაში სახელმწიფოს კონცეფციის არარსებობა მოითხოვდა მსხვილ მატერიალურ კედლებს. მაგრამ არტილერიის შემოღებასთან და რუკაზე სახელმწიფო საზღვრების მკვეთრ მოხაზვასთან ერთად მკვიდრი კედლების აუცილებლობამ ისევე დაიხია უკან, როგორც ჯაჭვის პერანგების ეფექტურობამ ცეცხლსასროლი იარაღის გამოგონების შემდეგ.



XVI საუკუნიდან საფრანგეთში ციხედარბაზი უფრო მსხვილი ფეოდალის პრესტიჟის მაჩვენებელი იყო, ვიდრე თავდაცვის აუცილებელი საშუალება. იმ დროს მთელს ქვეყანაში ფართოდ გაიშალა ციხედარბაზების მშენებლობა. თავიდან ისინი იგებოდა მდინარე ლუარას ხეობაში ქალაქებიდან მოშორებით. სამეფო რეზიდენციათა ახლოს და ამ უკანასკნელთა გავლენით. ამის შემდეგ მშენებლობა დანარჩენ საფრანგეთსაც მოედო და უმეტესობა ძველი ციხედარბაზების ადგილას იგებოდა. შეიძლება ითქვას, რომ ხდებოდა ძველი არქიტექტურული ნიმუშის მოდიფიკაცია ახალი დროის მოთხოვნების თანახმად. თუ ადრე ციხედარბაზის პატრონი კმაყოფილი იყო იმით, რომ სხვებზე უკეთესად იყო დაცული, ახლა უკვე არისტოკრატი უფრო იმას აქცევდა ყურადღებას, რომ სხვებზე უკეთ იყო მოწყობილი. ერთმანეთისაგან რამდენიმე ათეული კილომეტრით დაშორებული ციხედარბაზები თითქოსდა მეტოქეობენ ერთმანეთთან გარეგნული სილამაზით.

ციხედარბაზთა უმრავლესობა შუა საფრანგეთში — ილ დე ფრანსშია განლაგებული. მათი არქიტექტურული კომპოზიცია და განლაგება ამ რეგიონისათვის დამახასიათებელი ბუნების რიტმს ემორჩილება და ლანდშაფტთან ერთიან სურათს ქმნის. ზოგი ციხედარბაზი ხიდის მსგავსად უშუალოდ მდინარეზე დგას და მის წყლებში ირეკლება, ზოგიც გაშლილ ველზე. როგორც უკვე ვთქვით, თავდაცვის მოთხოვნებმა წმინდა დეკორაციული ფუნქცია შეიძინა და ციხედარბაზიც უფრო აგარაკსა თუ ვილას დაემსგავსა. თავდაცვის ფუნქციის თითქმის სრული დაკარგვა გამოიხატა იმითაც, რომ კედლებზე დიდი რაოდენობითაა ფართოდ გაჭრილი სარკმლები. XVI საუკუნის ფრანგული ციხედარბაზის ფასადი ფაქტობრივად სრულიად დაცლილია შუასაუკუნეობრივი შეუღწევადობისაგან. თუ შუა საუკუნეებში ყოველი ციხედარბაზი ერთი პატარა ფეოდალური ქვეყნიერების ცენტრად აღიქვამდა საკუთარ თავს, ახალი ტიპის სახელმწიფოებრიობის პირობებში, ყოველი მათგანი პოლიტიკურ რუკაზე ცალკეულ ორიენტირად იქცა.

ციხედარბაზი დღევანდელ ფრანგულ რეალობაში დაკავშირებულია ვენახთან და მეღვინეობასთან. მდინარეთა დამრეც ნაპირებზე აღმართული ყველაზე ცნობილი ციხედარბაზების ირგვლივ ზვრებია გაშენებული, მრავალი ფრანგული სამარკო ღვინის დასახელება კი იწყება სიტყვით "შატო" — "ციხედარბაზი".



# საერთო ენა თუ ეროვნული სახელმწიფო?

ჯერ ორი ამბავი უნდა მოგითხროთ. ერთი ძველი და დაუჯერებელი, აი, მითს რომ ეძახიან, თუმცა კი ისტორიის მამის, ჰეროდოტეს წიგნიდანაა ამოღებული.

ეგვიპტის მეფემ, სახელად **ფსამენიტემ**, ორი ახალშობილი ყრმა მწყემსს მიაბარა გასაზრდელად, ოღონდ უბრძანა, რომ ყრმებს არც ერთი ადამიანური სიტყვა არ უნდა გაეგონათ. ეგვიპტელს აინტერესებდა, რა ენაზე დაიწყებდნენ ლაპარაკს სხვებთან ურთიერთობას მოკლებული ადამიანები. ერთხელაც, როცა ამ ექსპერიმენტის დაწყებიდან ორი წელი იყო გასული, მწყემსი შევიდა ბავშვებთან. ისინი ფეხებში ჩაუვარდნენ გამზრდელს და თან ერთ სიტყვას იმეორებდნენ: *ბეკოს*. მოგვიანებით ფსამენიტემ აღმოაჩინა, რომ "ბეკოს" ფრიგიულად პურს ნიშნავდა და დაასკვნა, რომ ქვეყნად ყველაზე ძველი ენა ფრიგიული უნდა ყოფილიყო.

მეორე ამბავი უფრო ახალია და XIV საუკუნის იტალიელი მემატიანის, **სალიმბენე და პარმას** ქრონიკაში წერია. თურმე იგივე ინტერესი ჰქონდა XIII საუკუნეში სიცილიის იმპერატორს, **ფრიდრიხ II**-ს. მრავალჯერ მიუბარებია ახალშობილები ძიძებისათვის და მათთან ყოველგვარ ენაზე საუბარი აუკრძალავს, მაგრამ, როგორც სალიმბენე გვაუწყებს, ყრმათაგან ცოცხალი არც ერთი არ დარჩენილა.

მკაცრად ნუ განვსჯით მწყემსსა და ძიძებს, რომლებმაც, ალბათ, გვარიანად მოითბეს ხელი ამ საქმეზე. ნურც იმაზე შევჩერდებით დიდხანს, რომ ჩვენი თანამემამულეები, რომლებსაც ენის ფლობა რაღაც გენეტიკურ ნიშნად მიაჩნიათ და ჩვილის ტიტინსა თუ ტირილში თანდაყოლილ ქართულ ინტონაციებს ეძებენ, უფრო ეგვიპტელ ფსამენიტეს ჰგვანან, ვიდრე ევროპელ ფრიდრიხს.

მოდით, ყურადღება მივაქციოთ ორ გარემოებას: ჯერ ერთი, მეორე ამბავში უფრო ნაკლებია გამონაგონი და ეს არა იმდენად მისი შედარებითი სიახლის, რამდენად დასავლურობის წყალობით; და რაც მთავარია, ორივე ამბის მთავარი მოქმედი პირი მეფეა.

რომელ მეფეს არ სწადია თავისი სამფლობელოს განვრცობა, რომელი არ ესწრაფვის მეფეთ მეფეობას. ზოგს მათგანს უმართლებდა კიდეც და მისი ძალაუფლების ქვეშ სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე ადამიანები ექცეოდნენ. ამ ვითარებაში უკიდურეს მნიშვნელობას იძენდა საერთო ენის პრობლემა.

მაგალითიც ჰქონდათ ევროპელებს — რომის იმპერია, რომლის უკვე ზღაპრული სახე წარსულიდან ამაყი შეძახილით აღწევდა: "არ შემეხოთ, რომის მოქალაქე ვარ!". ფრიდრიხ II-ც იმპერატორად იწოდებოდა, როცა 1225 წელს სიცილიის ტახტზე ავიდა. მას ეგრეთ წოდებული განათლებული მონარქის სახელი ჰქონდა: იცოდა 6 ენა, მათ შორის შორის არაბული და ებრაული, წერდა შესანიშნავ ლირიკულ პოეზიას პროვანსულ ენაზე, იყო ევროპის ისტორიაში პირველი ზოოლოგიური ტრაქტატის ავტორი. ფრიდრიხის მიერ შექმნილი სახელმწიფო დასავლური სამეფოსა და აღმოსავლური დესპოტიის უცნაური ჰიბრიდი იყო. იმპერატორის ნებას მისი სახელმწიფოს ტერიტორიაზე წარჩინებულთა იერარქია კი არ ახორციელებდა, არამედ დაქირავებულ მოხელეთა ქსელი. ფრიდრიხ II შეეცადა დასავლეთისა და აღმოსავლეთის კულტურათა შერწყმას. თანამედროვეებზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენდა სპილოზე ამხედრებული, აქლემებითა და სხვა ეგზოტიკური ცხოველებით გარშემორტყმული იმპერატორის საზეიმო პროცესიები პალერმოს ქუჩებში.

მაგრამ ფრიდრიხ II-ის ნახევრად უტოპიური იმპერიის ენობრივმა ლიბერალიზმმა დიდი ხანი ვერ გაუძლო პაპის ავტორიტეტთან მეტოქეობას. 1250 წელს იმპერატორის სიკვდილის შემდეგ მისი სახელმწიფოც დაიშალა.

### პირველი ერთიანი ევროპა

შუა საუკუნეების განმავლობაში სახელმწიფოები თანამედროვე გაგებით არ არსებობდა. ევროპის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული დაყოფა უფრო გეოგრაფიული ფაქტორებით იყო განსაზღვრული, ვიდრე ეთნიკურით. მეფეებიც უფრო ფეოდალთა შორის ძალაუფლების განაწილებისა და მოწესრიგების გარანტები იყვნენ, ვიდრე ერების წინამძღოლები. ეროვნული ენებიც, თუმცა ზოგიერთ მათგანზე მეორე ათასწლეულის დასაწყისში უკვე არსებობდა განვითარებული ლიტერატურა, ჯერ შორს იყვნენ სახელმწიფო ენის სტატუსისგან. ამგვარი ცნება საერთოდ არ არსებობდა. ევროპა ნამდვილად ერთიანი იყო ერთიანი სარწმუნოების, "გამჭოლი" საეკლესიო იურისდიქციისა და პოლიტიკური მოწყობის საერთო პრინციპების წყალობით. ენობრივი საკითხებიც დღევანდელისაგან ძალიან გასხვავებული პრინციპების საფუძველზე წყდებოდა.

სახარების თანახმად, იუდეის



ებრაული ბიბლიის ხელნაწერი.

პროკურატორმა **პილატემ** მაცხოვრის ჯვარზე წააწერა: "იესო ნაზარეველი მეუფე ჰურიათა". წარწერა სამენოვანი იყო — ლათინური, ბერძნული და ებრაული. სწორედ ამ სამმა ენამ მიიღო შუა საუკუნეების განმავლობაში განსაკუთრებული აღიარება, ზოგმა კი — სტატუსიც.

**ლათინური**: შუა საუკუნეების განმავლობაში სამღვდელოთა, პოლიტიკოსთა და ინტელექტუალთა საერთო ენა. შეიძლება ითქვას, რომ ეს ევროპის სახელმწიფო თუ არა, ოფიციალური ენა მაინცაა.

**ბერძნული**: ევროპაში ცუდად იციან. მხოლოდ XIV საუკუნეში, როცა კონსტანტინოპოლში პატრიარქ კოკინოსის ძლიერი მხარდაჭერის გამო წმ. გრიგოლ პალამას მიმდევრები იმარჯვებენ საღვთისმეტყველო კამათში და მთელ ბიზანტიას პოლიტიკური პალამიზმი ერევა, საუკეთესო გონიერი ხალხი ევროპაში გარბის და იქაურებს ბერძნულის შესწავლის მეტი საშუალება ეძლევა.

**ებრაული**: აქ მდგომარეობა პარადოქსულია — ებრაული ენა საკრალურია, თვით ებრაელები კი კანონგარეშე არიან გამოცხადებული და მათი ძირითადი მასა დიდ ქალაქებთან მოწყობილ გეტოებში ცხოვრობს. ებრაელები, უმეტეს წილად, ქრისტიანისთვის აკრძალულ ან არაპრესტიჟულ საქმიანობებს ეწევიან. თუმცა კი პრესტიჟი და სიმდიდრე იმ დროს საკმაოდ დაშორებულია ერთმანეთისგან, ამიტომაც ებრაელები, მიუხედავად მათი დაჩაგრული მდგომარეობისა, ისეთ პროფესიებს ირჩევენ, რომლებიც მათ ეკონომიურ დამოუკიდებლობასა და სხვებზე გავლენას უზრუნველყოფენ. ასეთია ვაჭრობა და მევახშეობა. გარდა ამისა, ებრაულ, განსაკუთრებით რაბინთა და, საერთოდ, რელიგიასთან დაკავშირებულ წრეებში მრავალი ცნობილი მოაზროვნე და მეცნიერი მოღვაწეობს. XIV-XV საუკუნეებში მათთან ინტენსიურად ურთიერთობენ ევროპელი საერო სწავლულები, რომელთა შორის თანდათანობით იღვიძებს ცხოველი ინტერესი ებრაული რელიგიური და ინტელექტუალური ტრადიციის მიმართ. ამ ურთიერთობის შედეგად შემოსული ახალი კულტურული ნაკადი — თალმუდი, კაბალა, იუდაური მისტიკური ტრადიციები, ტექსტის განმარტების ხერხები — ახალი დროის დასაწყისის ევროპულ კულტურას ორგანულად შეეწყო.

### კაბალის საიდუმლოებანი


იყიდება "ვოლვო-460". 52 35 08

შევიძენ ჟიგულს ბუნებრივ აირზე კარგ მდგომარეობაში. ტელ: 52 09 36; 899104896.

ვაგირავებ. 39-04-40; 8(99) 54-95-06

შევიძენ "ვილისს". 31 52 95

იყიდება ავტომანქანა "ლინკოლნი". 8(99) 17 17 12

სასწრაფოდ იყიდება 1997 წლის გამოშვებული ორი ჯიპი: "ჰუნდაი გალოპერი" ერთი ბენზინზე, მეორე დიზელზე. ორივე კარგ მდგომარეობაში. კონდიციონერებით. თითოს ბოლო ფასი 9.000. 8(99) 51 58 54

შევიძენ 1995-2002 წლამდე გამოშვებულ ავარიულ ჟიგულს ან ინო-მარკის ავტომობილს. 57-15-77, 8(99) 147324.

იყიდება მიკრო-ავტობუსი "ფოლცვაგენი", მუქი ლურჯი, 1983 წლის. კარგ მდგომარეობაში. მუშაობს ბუნებრივ აირზე. ბოლო ფასი 1000. 41 03 31

იყიდება "რაფი". კარგ მდგომარეობაში. ფასი 300$. 62 02 42 62 52 41

იყიდება წითელი ფერის "ფოლცვაგენ-ჯეტა" 800-ად. კარგ მდგომარეობაში. ვაყოლებ 4 საბურავს და სავალი ნაწილების ახალ კომპლექტს. 8(99) 93 09 19 ზურა.

იყიდება "ლანჩია-ცემა", 1989 წლის. ნაცრისფერი. ფასი შეთანხმებით. 23 14 15

იყიდება 1997 წელს გამოშვებული "ფოლცვაგენ-პასატი", მწვანე მეტალიკი კლიმატკონტროლით, ღია სალონით, ნადგომი. ბოლო ფასი 8.500. 98 52 81. საღამოს

იყიდება მერსედესი 123. ფასი 1800 $. 39 80 77

სასწრაფოდ იყიდება „მერსედეს-230E", შავი ფერის. 1985 წლის. კარგ მდგომარეობაში. 8(99) 58-41-83; 8(77) 42-05-75

იყიდება "მერსედესი -123/ 230. ტელ: 899-15-19-39.

## სწავლება

მოვამზადებ გერმანულში ნებისმიერი პროგრამით. ფასი შეთანხმებით. 33 03 77

მოვამზადებ გერმანულში. 96 76 95

მოვამზადებ ფრანგულში. 75 73 32

მოვამზადებ ინგლისურში. 37 68 58

მოვამზადებ აბიტურიენტებს ბიოლოგიაში შეღავათიან ფასად. 53 51 06

ვასწავლი გერმანულს 20-დან 50 დოლარამდე. 29 32 89

მოვამზადებ აბიტურიენტებს გეოგრაფიაში და ბიოლოგიაში ინდივიდუალურად სახელმწიფო და სამედიცინო უნივერსიტეტებისათვის. სარაჯიშვილის №14. 93 88 22, 99 08 31

მოსამზადებელი კურსები: ფიზიკა, მათემატიკა, უცხო ენები. პარალელურად შეისწავლება კომპიუტერული პროგრამები.
ტელ: 98 76-07

მოვამზადებ გერმანულ ენაში. ფასი 20 ლარი. 32 89 70, 53 74 19

მოვამზადებ ბავშვს ვიოლინოში ბინაზე მისვლით, 30 ლარად. 30 22 17

მოვამზადებ მოსწავლეებს I-დან IX კლასამდე ყველა საგანში. 38 09 88

მოვამზადებ ინგლისურში. 30 28 00

შეგასწავლით კომპიუტერზე მუშაობას, კომპიუტერულ ბუღალტერიას; პროგრამირების ენებს და უცხო ენებს შესწავლის გარანტიით. 98 44 20

მოვამზადებ რუსულ ენაში. 30 39 36

მოვამზადებ ფრანგულში საფუძვლიანად. 63 37 77

მოვამზადებ მოსწავლეებს ფიზიკასა და მათემატიკაში. 38 44 43

კომპიუტერული პროგრამების შემსწავლელი ინდივიდუალური კურსები: Windows, Word, Exell, Internet, E-mail - 60 ლარი. პროფესიული კურსი - 120 ლარი. Photo shop - 80 ლარი . Pagemaker - 60 ლარი. Adobe-premier - 200 ლარი
მის. ი.ჭავჭავაძის №74, IX სართ. ოთახი - 908. 25-35-48, 23-53-69, (899) 551504

ვამზადებ მათემატიკაში სკოლის მოსწავლეებსა და აბიტურიენტებს. დავეხმარები სტუდენტებს უმაღლეს მათემატიკაში. 99 73 58 პავლე

მოვამზადებ სკოლის მოსწავლეებს ინგლისურ ენაში. ფასი თვეში 20 ლარი. 71 11 09 ნონა (საღამოს)

მოვამზადებ ფიზიკასა და მათემატიკაში. 61 29 76

ვარ გამოცდილი პედაგოგი, ვიმუშავებ ძიძად. მივეხმარები მოსწავლეს გაკვეთილების მომზადებაში. ვამეცადინებ მუსიკაში. 8(99) 96 15 91, 39 37 04

ვასწავლი ფორტეპიანოზე დაკვრას. კლასიკურ და საესტრადო მუსიკას ბინაზე მისვლით. 95 36 47, 8(93) 36 52 89 მაკა

მოვამზადებ ბავშვებს მათემატიკაში სახლში მისვლით. 75 74 80

მოვამზადებ მოსწავლეებს მუსიკაში (ფორტეპიანო, სოლფეჯიო). შესაძლებელია ბინაზე მისვლითაც. 95 35 81

ვამზადებ ფრანგულში. 34 01 81

მოვამზადებ აბიტურიენტებს ქართულსა და ისტორიაში. პროგრამის 80%-ს ადგილზე ვისწავლით. 98 55 04 მარინა

შევასწავლი გერმანულს. 32 03 71

მოვამზადებ სკოლის მოსწავლეებს ყველა საგანში (I-დან VI კლასის ჩათვლით). 69 18 88 ფატი

მოვამზადებ მოსწავლეებს ქართულში. 64 21 77

ვამზადებ აბიტურიენტებს გეოგრაფიაში და ბიოლოგიაში ინდივიდუალურად, სახელმწიფო და სამედიცინო უნივერსიტეტის პროგრამებით. სარაჯიშვილის №14. 93 88 22, 99 08 31

მოვამზადებ ფრანგულში. 66 89 41 საღამოს

ვამზადებ იტალიურში, შეღავათიან ფასად. 61 47 35

მოვამზადებ ებრაულში (ივრითი). 77 41 63

მოვამზადებ მოსწავლეებს თანამედროვე ან კლასიკურ მუსიკაში ბინაზე მისვლით. 70 61 02 ნინო

ვამეცადინებ VI კლასამდე მოსწავლეებს ყველა საგანში და გერმანულ ენაში. 96 92 62

ჩავრიცხავ და ვასწავლი მძღოლკანდიდატებს: B; BC; C; D; E კატეგორიებზე. ტ: 57-15-77, 8(99) 147314

მოვამზადებ ისტორიაში. 983087

ვასწავლი დაწყებითი კლასის მოსწავლეებს. 983087

მოვამზადებ სკოლის მოსწავლეებს მათემატიკასა და ფიზიკაში. ასევე ვამეცადინებ ყველა საგანში უცხო ენის გარდა ბინაზე მისვლით. 392052. ირმა

ვამეცადინებ მათემატიკაში. 30 29 97. ზურა

ვამეცადინებ ნებისმიერი კლასის მოსწავლეებს ყველა საგანში ყოველდღე ბინაზე მისვლით. 231705. ნანა

ვასწავლი ინგლისურს. 347683

მოვამზადებ ინგლისურ ენაში სკოლის მოსწავლეებს. ვცხოვრობ კანდელაკის ქუჩაზე. 940866. მაკა

ვამზადებ კემბრიჯისა და ტოუფლის სერტიფიკატების აღების მსურველებს, საზღვარგარეთ წამსვლელებს ინგლისურ ენაში, აგრეთვე სკოლის მოსწავლეებს და აბიტურიენტებს. 227868

მოვამზადებ მოსწავლეებს და აბიტურიენტებს მათემატიკაში და ფიზიკაში. 31-47-88.

მოვამზადებ სკოლის მოსწავლეებს ყველა საგანში ინგლისურისნ ჩათვლით. 775008, 8(99) 313400.

მოვამზადებ ფრანგულსა და რუსულში. 33-12-05.

მოვამზადებ ინგლისურში კვირაში 3-ჯერ. თითო ინდივიდუალური საათი. ფასი 15 ლარი თვეში. 72-28-57.

მოვამზადებ აბიტურიენტებს მათემატიკასა და ფიზიკაში. 38-83-45.

მოვამზადებ ინგლისურსა და რუსულში. შეიძლება ბინაზე მისვლით. 57-69-76.

მოვამზადებ გერმანულში. 25 ლარი. 32-89-70; 53-74-19.

მოვამზადებ ფიზიკა-მათემატიკა, ქიმია, ბიოლოგიაში. 38 48 65, 8(99) 14 94 17

მოვამზადებ გერმანულში. 38 48 45

მოვამზადებ ინგლისურში. 72 49 58

მოვამზადებ გერმანულ ენაში, მაქვს გამოცდილება. 96 76 95

ტექნიკური უნივერსიტეტის ლექტორი მოამზადებს სკოლის მოსწავლეებს ბინაზე მისვლით. 35 21 63

მოვამზადებ ინგლისურში, კვირაში 3-ჯერ. ინდივიდუალურად. თვეში 15 ლარი. 72 28 57

მოვამზადებ სკოლის მოსწავლეებს ყველა საგანში, გარდა ენებისა. 22 76 85

მოვამზადებ მათემატიკაში ბინაში მისვლით. 32 79 63

მოვამზადებ მათემატიკაში და ფიზიკაში ნებისმიერ მსურველს. 22 43 68, რეზო.

შევასწავლი ფორტეპიანოსა და სიმღერების დაკვრას. ვამეცადინებ მუსიკალური სკოლის მოსწავლეებს. 52 67 27

ვამზადებ ბავშვებს პირველიდან მეშვიდე კლასის ჩათვლით. ვასწავლი ინგლისურსაც. ფასი 70 $. 68 84 80, 60 80 16

მოვამზადებ ინგლისურში 25 ლარად. 93 54 86, ლალი.

ვასწავლი გერმანულს. 29 32 89

თსუ-ს თანამშრომელი მოვამზადებ მოსწავლეებს მათემატიკაში კვირაში 3-ჯერ, 6 საათი 20 $. 39 70 65

მოვამზადებ ბიოლოგიასა და ქიმიაში აბიტურიენტებსა და მოსწავლეებს. შეიძლება ბინაზე მისვლაც. 31 53 46

მოვამზადებ ინგლისურში შეღავათიან ფასად. 61 47 35 (საღამოს)

მოვამზადებ გერმანულ ენაში 30 ლარად. 32 89 70

უნივერსიტეტის ლექტორი მოამზადებს აბიტურიენტებს ქართულში. 25 22 96

მოვამზადებ სკოლის მოსწავლეებს ინგლისურ ენაში. შესაძლებელია ბინაზე მისვლითაც. ფასი 30 ლარი. 52 60 60

მოვამზადებ ინგლისურსა და რუსულში. შეიძლება ბინაზე მისვლით. 57 69 76

მოვამზადებ აბიტურიენტებს ბიოლოგიასა და გეოგრაფიაში ინდივიდუალურად, სახელმწიფო და სამედიცინო უნივერსიტეტებისათვის. სარაჯიშვილის № 14 (მეტრო "რუსთაველი"). 93 88 22, 99 08 31

მოვამზადებ აბიტურიენტებს მათემატიკაში. 92 02 43, ალეკო

აიკიდოს შესწავლის მსურველების ვიწვევთ სავარჯიშოდ. დარბაზები განლაგებულია ვაკეში, ნაძალადევში, ვარკეთილში. 69 03 42, 8(99) 17 18 66

## სხვადასხვა

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ა.წ. 29 სექტემბერს მარჯანიშვილის სახელობის თეატრში ატარებს IX საერთო კრებას.

დღის წესრიგით განხილული იქნება შემდეგი საკითხები:

1. ასოციაციის 2002 წლის საქმიანობის ანგარიში 2. სარევიზიო კომისიის ანგარიში 3. ასოციაციის წესდებაში ცვლილებები და დამატებები 4. ასოციაციის სტრატეგიული განვითარების ძირითადი მიმართულებების დამტკიცება (თემატური მსჯელობა) 5. გამგეობის წევრთა კანდიდატების დასახელება 6. სარევიზიო კომისიის წევრთა კანდიდატების დასახელება რეგისტრაცია დაიწყება 09.00 სთ-ზე.

წევრთა დასწრება სავალდებულოა.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

ვთარგმნი ქართულიდან ინგლისურად და პირიქით ნებისმიერ ტექსტს სრულყოფილად. 8(93) 35 07 68, 98 41 92

იყიდება სუფთა სისხლის გერმანული ნაგაზის ლეკვები, რეგისტრირებული და ტატუირებული "ქენელ-კლუბში". 8(77) 74 62 28

შევიძენ 6 მ-იან სინკარს. 8(99) 56 59 31

დაიკარგა გიორგი პირადაშვილის საბუთები. 31 64 86

იყიდება ფრანგული ბულდოგის ლეკვები. 95 66 00

იყიდება გაშენებული 20 ჰექტარი "საფერავის" ვენახი. 70 77 80, 8(99) 56 96 15

ვიმუშავებ დამლაგებლად ოჯახში. 76 03 59

იყიდება ირმის თავის ფიტული თავისი რქებით, ქარხნული წარმოებით. 94 08 66

შევიძენ ინგლისურ სადილის სერვიზს მოხატულს ციხე-სიმაგრეებით ან ეტლებით. 29 42 43, 8(93) 30 45 84

იყიდება ამერიკული ჯიშის სტაფის ლეკვები. 34 79 97

იყიდება წიგნები 3 ლარად. საქართველოს სამკურნალო მცენარეები და მათი გამოყენება და ქართულ-ბერძნული სასაუბროები. 77 72 67

სასწრაფოდ იყიდება 5 წლის გაშენებული 10 ჰექტარი "საფერავის" ვენახი. 33 55 93, 34 30 01, 8(99) 57 90 48

საკუთარი ავტომანქანა "06"-ით ვიმუშავებ მძღოლად. ვარ თბილისელი, უ/ტ განათლებით. 32 51 67

შევასწავლი გერმანულ ენას. 32 03 71

იყიდება ფერადი ტელევიზორი ლამპებზე. ჰორიზონტი 723. ეკრანი 61. 50 ლარი. 52 88 22 თემური

იყიდება სიმინდის ბურბუშელას (ბასტიბუბუს), სოიას კონცენტრანტის და ზეთის დამამზადებელი აპარატები. 37 13 63, 74 55 65

ვიმუშავებ სუპერმარკეტში გამყიდველად. 75 74 80 ფატი

DERMAJETICS ("დერმაჟეტიქსი") გთავაზობთ უნიკალურ ფრანგულ კოსმეტიკას: სახის გაწმენდა, ნაოჭების, ლაქების, გამონაყარის საწინააღმდეგო საშუალებები. 93 38 46 ნეკა

იყიდება ტელევიზორი "სონი ტრინიტრონი" დიაგონალი 72 სმ. ეკრანი იყოფა 9 ნაწილად. 2 პულტით, თავისი პოპორცით, 2 დინამიკით, ზევიდან "ბასავიკი". 77 87 82

შევიძენ პიანინოს დაბალ ფასებში. 70 61 02 ნინო

იყიდება ნოუთბუქი, ინტელ პენტიუმ-3. ახალი. CD-ROOM ლა DVD-ROOM-ებით. 92 00 20

ვთარგმნი ნებისმიერი სირთულის ტექსტს ინგლისურიდან რუსულად, ქართულად და პირიქით. 22 78 48

იყიდება მე-20 საუკუნის დასაწყისის გერმანული ჭაღი. 60 26 17

დაიკარგა სამფეხა შავი პუდელი. 22 36 98

ქირავდება სამარშრუტო ხაზი №113. 75 96 02

იყიდება კამერა-მაცივარი მაღაზიისთვის. 75 96 02

დაიკარგა თამაზ აბსანძის მანქანის საბუთები. მპოვნელი დასაჩუქრდება. 22 81 56

იყიდება კომპიუტერი PENTIUM II. სრული კომპლექტით, კარგ მდგომარეობაში. ფასი 270$. ტელ: 34-63-57

იყიდება "პენტიუმ-133". 25 28 55

იყიდება ხის მაგიდა და ტელევიზორის დასადგამი. მაგიდა კარგ მდგომარეობაშია. ფასი შეთანხმებით. მეტრო "300 არაგველი", I დოლაბაურის ქ. №1.

იყიდება ბოქსიორის ლეკვები. 723918

ვთარგმნი ნებისმიერი სირთულის ტექსტს ინგლისურიდან რუსულად და ქართულად და პირიქით. 337848

ქირავდება 1200 ტონის ტევადობის ნავთობ-ბაზა. 383135. ნინო

ვიმუშავებ ნებისმიერ მაღაზიაში სურსათის გარდა. 940866

ვარ 30 წლის კომუნიკაბელური სასიამოვნო გარეგნობის, კვალიფიციური ფარმაცევტი სათანადო გამოცდილებით. ვეძებ სამსახურს სათანადო ანაზღაურებით. 72-45-67, 32-42-61.

იყიდება მაცივარი კარადა, მაგიდა-მაცივარი და ოთხგანყოფილებიანი სასადილო ელექტრო ქურა. 72-26-45.

ვამზადებ ევროპულ კერძებს. ვიმუშავებ სასტუმროში ან ღამის ბარში. 79-65-33.

იყიდება საოჯახო ნივთები. 53-06-68.

ვარ 21 წლის უმუშევარი თბილისელი ბიჭი. ვეძებ სამუშაოს 100-150 ლარიანი ანაზღაურებით. 77-68-16 ან 77-52-70 დათო.

ვიმუშავებ ძიძად და დავეხმარები სკოლის მოსწავლეს გაკვეთილების მომზადებაში. 61 88 44

იყიდება წიგნების კარადა. რუმინული, 3-კარიანი, 2 ცალი. 500-ად. 93 68 62, 8(77) 46 45 15

ვეძებ სამსახურს. ვიმუშავებ მდივნად, კომპიუტერზე, სუპერმარკეტში. მოდელების სააგენტოში მქსოველად. 70 65 10

იყიდება სპარსული ჯიშის თეთრი კნუტი. 31 46 59

იყიდება როიალი "გრენშტატი". საუკეთესო მდგომარეობაში. 39 09 27

იყიდება ყავის ხე 150 ლარად და ყავის მოსადუღებელი ვიშის 6 მოსადუღებლის 60 ლარად. 96 92 16

იყიდება სამზარეულო 14-ნაჭრიანი, ახალი. აწყობილ მდგომარეობაში. ფასი შეთანხმებით. 96 74 13

იყიდება ლითონმჭრელი ჩარხები . 8 (99) 17 81 85

იყიდება ყურძენი "საფერავი". 8(99) 93 66 39

ექიმი-პედიატრი იმუშავებს ძიძად. 31 64 02










გაზეთი 24 საათი
უფასო განცხადებების ქვითარი
ბინები, ავტომობილები, ცხოველები, ვასწავლი, მომსახურება, სამუშაო, მკურნალობა

შევსებული განცხადების ბლანკი ჩააგდეთ ყუთში, რომელიც განთავსებულია ვაჟა-ფშაველას 45-ში ("სოფლმშენის" შენობაში) პირველ სართულზე. სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა 12. გაურკვევლად დაწერილი განცხადებები არ გამოქვეყნდება
სამედიცინო ხასიათის განცხადებები ლიცენზიის გარეშე არ გამოქვეყნდება
19.09.02 N-109

რაგბი

## ბორჯღალოსნებს ავთანდილ ჯორბენაძის იმედი აქვთ

საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრები სპორტის სათამაშო სახეობებში ერთადერთი გუნდია, რომელსაც მსოფლიო თასზე მოხვედრის რეალური შანსი აქვს. ამისთვის ქართველ მორაგბეებს სულ ორი შეხვედრის ჩატარება სჭირდებათ – ერთი მატჩი ირლანდიასთან უნდა გამართონ დუბლინში და მეორე რუსეთთან თბილისში. ამ მატჩებიდან ჩვენ ნაკრებს მხოლოდ ერთის მოგება ჰყოფნის. ერთი მოგება და - საქართველოს ნაკრები მსოფლიოს ელიტური რაგბის მკაცრად ჩარაზულ კარს შეაღებს. ამის შანსი კლოდ სორელის გუნდს ნამდვილად აქვს, მაგრამ მოვლენები ისე უცნაურად ვითარდება, რომ, შესაძლოა, ბორჯღალოსნები უბრძოლველად დარჩნენ მუნდიალს მიღმა. რატომ? პასუხი მეტად ბანალურია – იმიტომ, რომ საქართველოს რაგბის კავშირს ფული არა აქვს და გუნდის დუბლინში გამგზავრებას ვერ აფინანსებს.

თუ ნაკრები ირლანდიაში ვერ გაემგზავრება, რაგბის საერთაშორისო საბჭო ქართველებს ჩაუსვლელობისთვის ტექნიკური წაგებით დასჯის და იმ ერთ ქულასაც არ უბოძებს, თამაშში დამარცხებულებს რომ ეკუთვნით.

მოკლედ, სიტუაცია უაღრესად კრიტიკულია. რაგბის ფედერაციის პრეზიდენტი ბიძინა გეგიძე გუშინ მთელი დღე შეხვედრებზე დადიოდა. საქმის კურსშია სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე, რომელიც თავის დროზე ბიძინა გეგიძეს სახელმწიფოს თანადგომას დაჰპირდა. ვნახოთ, რამდენად მტკიცე აღმოჩნდება მინისტრის დანაპირები.

ფეხბურთი

# UEFA-ს ჩემპიონთა ლიგა 2002-2003

## ჯგუფური ეტაპი, პირველი ტური

ჯგუფი E

ფეიენოორდი 1 - 1 იუვენტუსი

დინამო 2 - 0 ნიუკასლი

ჯგუფი G

ბაიერნი 2 - 3 დეპორტივო

მილანი 2 - 1 ლანსი

ჯგუფი F

მანჩესტერი 5 - 2 მაკაბი

ოლიმპიაკოსი 6 - 2 ლევერკუზენი

ჯგუფი H

ბარსელონა 3 - 2 ბრიუგე

ლოკომოტივი 0 - 2 გალათასარაი

# ტკბილ-მწარე პირველი დღე

ნინო პირველი

*როგორც იქნა, დადგა 17 სექტემბერი და ჩემპიონთა ლიგაც დაიწყო. როგორც ყოველთვის, ლიგის გახსნითი მატჩი ისევ რომის ოლიმპიურ სტადიონზე ჩატარდა და იტალიის ვიცეჩემპიონ "რომას" პირველ მეტოქედ ისევ მადრიდის "რეალი" ერგო.*

*შარშანდელ ჩემპიონთა ლიგის სტარტიც სწორედ ასეთი იყო – რომს ეწვია "რეალი" და საკუთარ სტადიონზე მოუგო "რომას". წელსაც იგივე განმეორდა, ოღონდ ერთი განსხვავებით: შარშან "რომას" ტოტი და ბატისტუტა ჰყავდა და მაინც წააგო, 17 სექტემბერს კი რომაელებმა ამ ორი წამყვანი ფეხბურთელის გარეშე ითამაშეს, დისკვალიფიცირებული ტოტი, ბატისტუტა, ლიმა და კაპელო ტრიბუნიდან ადევნებდნენ თვალს სერია A-ს ვიცეჩემპიონის განადგურებას.*

*რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, საკუთარ მოედანზე 0:3 წაგების შემდეგ, რომაელ ფეხბურთელებს თავი მხნედ ეჭირათ და მტკიცედ სწამდათ, რომ ჯგუფიდან გასვლა არ გაუჭირდებოდათ. იქნებ, მართლებიც არიან. "რეალს" წელს უძლიერესი შემადგენლობა ჰყავს. საოცრად არასტაბილურ "რომას" "სამეფო კლუბის" დამარცხება ნამდვილად არ შეუძლია და ამას კაპელოს გუნდისგან არც არავინ ელოდა. იტალიელებისათვის "რეალი" იყო ინფექციური დაავადების ვირუსი, რომელიც კარგად თუ ცუდად მათ როგორმე უნდა გადაეტანათ. "რომა" დამარცხდა, მაგრამ არც ერთი რომაელი ფეხბურთელი თუ ტიფოზი ჯერ დაკარგულად არაფერს თვლის.*

**იტალო კალბიატი ("რომას" მწვრთნელი):** "მართალია წავაგეთ, თანაც დიდი ანგარიშით, მაგრამ საგანგაშო არაფერია. მატჩის გაანალიზება თავიდან უნდა დავიწყოთ. პირველ ტაიმში ჩვენ კარგად ვთამაშობდით, პრესინგს წარმატებით ვახორციელებდით და "რეალს" არაერთი პრობლემა შევუქმენით. გოლის გატანაც ბევრჯერ შეგვეძლო, მაგრამ არ გაგვიმართლა. ეს არაფერია, ჯერ კიდევ წინაა პირველი ტური."

**ვენსან კანდელა ("რომა"):** "როცა "რეალი" გოლს გაგიტანს, ძალიან ძნელია ფსიქოლოგიური სტრესის მოხსნა და ანგარიშის გათანაბრება. მარტო ჩვენ კი არა, ეს ყველა გუნდს უჭირს, ვინც კი ამ გუნდის წინააღმდეგ თამაშობს. ჩვენ მადრიდელებზე ადრე შეგვეძლო გოლის გატანა, ანტონიო კასანოს ჰქონდა ამის შანსი. საწყენია, როცა ამდენ მომენტს ვერ იყენებ. ამ მარცხის გამო, სასოწარკვეთილი არ ვარ, რადგან "რომა" ყოველთვის ცუდად იწყებს და მერე აუმჯობესებს თამაშს. ამ სეზონშიც ასე მოხდება."


ზინედინ ზიდანი


ჰაკან იაკინი


მასიმო მორატი

**ზინედინ ზიდანი ("რეალი):** "მიუხედავად იმისა, რომ დამაჯერებლად გავიმარჯვეთ, იოლი მატჩი მაინც არ გვქონდა. "რომა" პირველ ტაიმში კარგად თამაშობდა, მეორე ტაიმში კი ჩვენი უპირატესობა უკვე აშკარა გახდა. "რეალი" ყოველთვის შეტევაზე ფიქრობს. რობერტო კარლოსი და სალგადო მუდამ წინ გარბიან და გოლის გატანა ფორვარდებზე მეტად სურთ. "რეალი" საოცარი გუნდია."

*ვერც მეორე იტალიურმა გრანდმა – მილანის "ინტერმა" შეძლო პირველი ლიგური გამარჯვების მოპოვება. ტრონჰეიმში ჩასული მილანელები ერთხანს უგებდნენ ადგილობრივ "როსენბორგს", მაგრამ ნორვეგიელებმა, რომელთაც დიდი კლუბებისთვის სიცოცხლის გამწარება კარგად ეხერხებათ ხოლმე, იტალიელები კინაღამ სირცხვილნაჭამი გაისტუმრეს სახლში. რომ არა "ლაციოდან" ახლად გადასული ერნან კრესპო, იტალია, ალბათ, თავისი მეორე ტიტანის დაცემას დაიტირებდა. საბოლოოდ 2:2 და "ინტერი" ისევ ჩემპიონთა ლიგის ერთ-ერთ ფავორიტად რჩება.*

**მასიმო მორატი ("ინტერის" პრეზიდენტი):** "უკმაყოფილო არ ვარ, სტუმრად ფრე დადებითი შედეგია. კრესპომ შესანიშნავად ითამაშა, თუმცა არც სხვა ფეხბურთელების დავიწყება შეიძლება. ორი გოლის გაშვების მიუხედავად, გუნდი არ შედრკა და ბოლომდე იბრძოლა. ვწუხვარ კანავაროს გაძევების გამო, რომელიც მუდამ კორექტულად თამაშობს და წითელ ბარათს იშვიათად იღებს. მას ამჯერად, უბრალოდ, არ გაუმართლა. რეკობას არყოფნა? რა თქმა უნდა, ამან თავისი გავლენა იქონია. რეკობა რომ გვყოლოდა, იქნებ მოგვეგო კიდეც."

**ერნან კრესპო ("ინტერი"):** " მოგებაც შეგვეძლო. გოლის გატანის შემდეგ ოდნავ მოვეშვით, ნორვეგიელები კი სახიფათო გახდნენ. არა უშავს, "სან-სიროზე" მოვიგებთ. ვიერი? მასთან ერთად თამაში შესანიშნავია. ნელნელა ჩვენი დუეტი შეუჩერებელი გახდება. "ტორინოსთან" ვიერიმ შეძლო გოლის გატანა, ახლა კი მე გამიღიმა ბედმა. ძალიან კმაყოფილი ვარ."

*ეს დღე არც გერმანელებისთვის იყო ბედნიერი. ბუნდესლიგის ჩემპიონი დორტმუნდის "ბორუსია" "ჰაიბერიზე" ეწვია ინგლისის ჩემპიონ "არსენალს" და როგორც მოსალოდნელი იყო, ლონდონიდან დამარცხებული დაბრუნდა.*

**მატიას ზამერი ("ბორუსია"):** "ჯერჯერობით საუკეთესო ფორმაში არ ვართ. საკუთარი თავისადმი რწმენაც გვაკლია. ალბათ, ნელ-ნელა ყველა პრობლემას დავძლევთ და მთელი ძალით ვითამაშებთ."

**არსენ ვენგერი ("არსენალი"):** "ბორუსიამ" კარგად ითამაშა, გერმანელებს თავდასხმაში რამდენიმე კაცი აკლდათ. განსაკუთრებით დაეტყოთ ტომაშ როსიცკის არყოფნა, ჩემი ფეხბურთელები უფრო ხშირად წინ მიდიოდნენ და დიდი სივრცე ჰქონდათ. საკმაოდ სახიფათო გუნდი ვართ და ჩემპიონთა ლიგის მოგებაც შეგვიძლია."

*შვეიცარიული ფეხბურთი პროგრესს განიცდის. შვეიცარიის ნაკრების წარმატებულ გამოსვლას რომ თავი დავანებოთ, "ბაზელის" ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრა უკვე თავისთავად იყო დიდი სენსაცია. შოტლანდიური "სელტიკის" დამჩაგვრელმა შვეიცარიელებმა მოსკოვის "სპარტაკსაც" შავი დღე აყარეს და აქტივში პირველი სამი ქულა ჩაიწერეს.*

**ჰაკან იაკინი ("ბაზელი):** "მშვენიერი სტარტი გამოგვივიდა. რუსების დამარცხების შემდეგ, სერიოზულად შეგვიძლია ვიფიქროთ ჯგუფიდან გასვლაზე, მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფის ფავორიტებად "ლივერპული" და "ვალენსია" ითვლებიან. რა თქმა უნდა, მჯეროდა "სპარტაკის" დამარცხებას რომ მოვახერხებდით, მაგრამ ნაკლებად წარმომედგინა, რომ დუბლის შესრულებას შევძლებდი. ვნახოთ, იქნებ ჩემპიონთა ლიგის ბომბარდირობისთვისაც კი ვიბრძოლო."

მოკლედ

### სტარტმა დაიგვიანა

იმის გამო, რომ იტალიის ტელევიზიამ სერია A-სა და B-ს კლუბებთან დიდხანს საერთო ენა ვერ გამონახა, იტალიის ჩემპიონატის სტარტმა ორი კვირით დაიგვიანა და, 1 სექტემბრის ნაცვლად, 14 სექტემბერს დაიწყო.

"ლა ლიგას" გადაწყვეტილებით, კალენდარი არ დაარღვიეს და ჩემპიონატი პირდაპირ მეორე ტურიდან დაიწყეს. პირველი ტურის ყველა გამოტოვებული მატჩი ნოემბერში გაიმართება. სერია B-ს კლუბები 5 ნოემბერს პირველ ტურს ჩაატარებენ, მეორე დღეს კი სერია A-ს მატჩები შედგება.

### "ბაიერნის" პრობლემები

შეუჩერებელი და უძლეველი მიუნხენის "ბაიერნი", ჩემპიონთა ლიგის დაწყების წინ, სერიოზული პრობლემების წინაშე აღმოჩნდა. ბავარიელები შიშობენ, რომ ლიგის პირველ მატჩში ლა კორუნიას "დეპორტივოს" წინააღმდეგ ორი წამყვანი ფეხბურთელის გარეშე მოუწევთ თამაში.

გერმანული ფეხბურთის ახალმა ვარსკვლავმა მიხაელ ბალაკმა, რომელმაც მცირე დროში "ბაიერნის" ლიდერის ტიტული მოიპოვა, ორშაბათს, ვარჯიშზე, ტრავმა მიიღო, ბავარიელთა ფრანგი მცველი ბიქსენტ ლიზარაზუ კი მუხლის ტკივილს უჩივის და, სავარაუდოდ, სამშაბათს, "დეპორის" წინააღმდეგ, არც ერთი არ იქნება.

### ყველაზე ხშირად ჩემპიონთა ლიგაში

სანამ ევროპული ფეხბურთის ჩემპიონთა ლიგა დაიწყებოდეს, უეფა გულშემატკივრებს სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემებით კვებავს. მაგალითად, უეფა-ს სტატისტიკოსებმა გამოაქვეყნეს იმ ფეხბურთელთა სია, რომელთაც ჩემპიონთა ლიგაში ყველაზე მეტი მატჩი ჩაატარეს.

პირველ ადგილზე გავიდა "მანჩესტერ იუნაიტედის" მცველი გარი ნევილი, რომელმაც ლიგაში 68-ჯერ დაიცვა "მან იუს" ღირსება. 65 მატჩით მეორეა ნევილის თანაკლუბელი დევიდ ბექჰემი. ამდენივე შეხვედრა ჩაატარა "რეალის" ფორვარდმა რაულმაც, ხოლო მიუნხენის "ბაიერნის" ტოპმეკარე ოლივერ კანი მეოთხეა 64 მატჩით.

### აუდიენცია პაპთან

მადრიდის "რეალმა", ჩემპიონთა ლიგის დაწყებამდე, კათოლიკური სამყაროს პირველ პირს – რომის პაპს დაალოცვინა თავი. შარშანდელის მსგავსად, ლიგა წელსაც "რომა"-"რეალის" მატჩით უნდა გაიხსნას, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ შარშანდელ სეზონში "გალათასარაისთან" ჩხუბის გამო დასჯილი რომაელები პირველ შეხვედრას საკუთარ მოედანზე ვერ ჩაატარებენ და მატჩი ნეაპოლში გაიმართება.

რომში ჩასული მადრიდელები იოანე პავლე II-ს ეწვივნენ. აუდიენციაზე "რეალის" ყველა ფეხბურთელი მივიდა. მადრიდელებმა პაპს საჩუქრებიც მიუტანეს – "რეალის" მაისურა ვარსკვლავების ავტოგრაფებით, "სამეფო კლუბის" სტადიონ "სანტიაგო ბერნაბეუს" მაკეტი და კლუბის საპატიო წევრის მოწმობა.

პაპმა და ფეხბურთელებმა ისაუბრეს სპორტის მნიშვნელობაზე. აუდიენციაზე ითქვა, რომ სპორტი ყველა დაბრკოლებას ლახავს და სხვადასხვა რელიგიისა და იდეოლოგიის ადამიანებს აახლოებს.

პაპთან შეხვედრამ ყველაზე მეტად რობერტო კარლოსი აღაფრთოვანა. "ჩემთვის დიდი პატივი იყო პაპთან აუდიენციაზე მისვლა. ეს დღე არასოდეს დამავიწყდება", - განაცხადა გულაჩუყებულმა ბრაზილიელმა.

ჩოგბურთი

CARTU & TBILISI LADIES OPEN:

# ჩახნაშვილმა მოიგო

პაატა თოთაძე

**ერთეულთა თანრიგი**

გაბრიელა ნავრატილოვა (ჩეხეთი) – შილი სტეფენსი (ახ. ზელანდია) 7:5, 3:6, 6:3

ციპორა ობლიზერი (ისრაელი) – გალინა ვოსკობოევა (რუსეთი) 6:4, 6:3

ალიონა იარიშკა (ბელარუსი) – ნინა ბრატჩიკოვა (რუსეთი) 6:4, 6:1

მაკა ჩახნაშვილი (საქართველო) – ლანა პოპადიჩი (ხორვატია) 7:6, 6:1

კატრინა დაშკოვიჩი (იუგოსლავია) – ჯორჯა მორტელო (იტალია) 6:4, 6:7, 6:4

ოლენა ანტიპინა (უკრაინა) – ტაციან უვაროვა (ბელარუსი) 6:1, 2:6, 6:4

ნადეჟდა ოსტროვსკაია (ბელარუსი) – გულნარა ფატახეტდინოვა (რუსეთი) 6:3, 6:2

სკარლეტ ვერნერი (გერმანია) – ჯეინ ოდონოჰიუ (დიდი ბრიტანეთი) 3:6, 6:3, 6:4

გუშინ, ტურნირის მეოთხე დღეს თბილისელი ჩოგბურთის მოყვარულები მერვედფინალური შეხვედრების მხილველები გახდნენ. დიდი ინტერესი გამოიწვია ჩეხი გაბრიელა ნავრატილოვასა და ახალზელანდიელი შილი სტეფენსის შეხვედრამ, რომელიც სტეფენსის მარცხით დასრულდა. ნავრატილოვამ, რომელმაც პირველ წრეში ქართველთა პატარა ფავორიტს, თიკა ყაველაშვილს მოუგო, ჩვეულებისამებრ, პირველი სეტი დათმო. თიკასთან ჩატარებულ მატჩშიც ასე იყო - ჩეხმა ჩოგბურთელმა პირველი სეტი წააგო, მეორე და მესამე კი მოიგო. შილი სტეფენსმა, ათლეტური აღნაგობისა და კარგი ფიზიკური მომზადების მიუხედავად, ნავრატილოვას აგრესიულ თამაშს ბოლომდე ვერ გაუძლო და ტურნირს გამოეთიშა.

კატარინა დაშკოვიჩისა და ჯორჯა მორტელოს არანაკლებ საინტერესო მატჩი იტალიელის მარცხით დასრულდა. ეს დღე მორტელოსთვის ორმაგად უსიამოვნო აღმოჩნდა. იტალიელი ჩოგბურთელის დედამ, მუხლის გასაშლელად, ცოტა ხნით აკადემიის ეზოში გაისეირნა, ჩანთა კი ტრიბუნაზე დატოვა. უკან დაბრუნებულ სინიორას, რომელსაც გული ავს არაფერს უგრძნობდა, აღარც ჩანთა დახვდა თავის ადგილზე და, რაც, ალბათ, უფრო სამწუხაროა, აღარც საბუთები. ამაოდ აცხადებდა კორტის ადმინისტრაცია, მპოვნელი დასაჩუქრდება, საბუთები დააბრუნეთო. ჩანთის ქურდი, რა თქმა უნდა, არ გამოჩენილა.


მაკა ჩახნაშვილი გოგიტა ბუხაიძის ფოტო

შუადღისას, როცა მზემ განსაკუთრებით დააჭირა, ცენტრალური კორტის ნარინჯისფერი ტრიბუნა თითქმის ბოლომდე შეივსო. ამის მიზეზი ტურნირს შემორჩენილი ერთადერთი ქართველი ჩოგბურთელი მაკა ჩახნაშვილი იყო. ის სიცხიანი, მაგრამ მაინც გამარჯვების ჟინით ანთებული, შეუპოვრად ებრძოდა ხორვატ ლანა პოპადიჩს. პირველ სეტში მაკამ ცოტა ანერვიულა ქართველი გულშემატკივრები, რადგან სეტის იოლად მოგება ვერ შეძლო და საქმე ტაი-ბრეიკამდე მივიდა. მეორე სეტში ყველაფერი კარგად დამთავრდა - მაკამ 6:1 მოიგო.

რაც ეს ტურნირი არსებობს, მას ყოველთვის უცხოელი ჩოგბურთელი ქალები იგებენ. წლეულს მაკა ჩახნაშვილი მართლაც კარგ ფორმაშია. ბულგარეთის ასეთივე ტურნირის მოგების შემდეგ მისგან თბილისში მხოლოდ ფინალში გასვლას და სოფიის შედეგის გამეორებას ელიან. ფინალი ჯერ შორსაა, მაგრამ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი უკვე გადადგმულია.

კრივი

## წადი, სანამ გცემეს

კრივის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი პრომოუტერი დონ კინგი, თავისი ბრძნული რჩევებით, კვლავ ყურადღების ცენტრშია. მან მაიკ ტაისონს ურჩია, თავი შეიკავოს ბრიტანელ ლენოქს ლუისთან ჩხუბისგან. ლუისს კი შეახსენა, რომ დროა წავიდეს, სანამ გაილახება. შეგახსენებთ, რომ ლუისისა და ტაისონის ბრძოლა ივნისში გაიმართა და ბრიტანელის უპირობო ტრიუმფით დასრულდა.

"მაიკ ტაისონისთვის ლუისთან ჩხუბი დიდი სისულელე და თვითმკვლელობის ტოლფასი იქნება, – თქვა დონ კინგმა, – ის, რაც ივნისში მოხდა, ორთაბრძოლას კი არა, უფრო ცემას ჰგავდა". სპეციალისტთა განცხადებით, "რკინის მაიკი" საბოლოოდ, სწორედ, ამ ჩხუბმა გაანადგურა. მას ლუისისგან იმდენი მოხვდა, რომ ამდენი დარტყმა მთელი კარიერის განმავლობაში არ მიუღია, ამიტომ ტაისონის მხრიდან მატჩ-რევანშზე ფიქრი მიზანშეუწონელია.

დონ კინგმაც სწორედ ამაზე ილაპარაკა და კარიერის დასრულება ლუისსაც ურჩია. "ლუისი უდავოდ ღირსეული ჩემპიონია. უფრო მეტიც, დღესდღეობით მსოფლიოში ბადალი არ მოეძებნება, ამიტომ მისთვის უკეთესია ლამაზად, თავისი კარიერის ზენიტში წავიდეს, როგორც დაუმარცხებელი მოკრივე, რომელსაც ღირსეული მეტოქე აღარ შერჩა," – დაასკვნა კინგმა.

დონ კინგის რჩევაზე ლუისს კომენტარი არ გაუკეთებია, მაგრამ სავარაუდოა, რომ კარიერის დამთავრებამდე, 37 წლის მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი, რამდენიმე ჩხუბს კიდევ ჩაატარებს. საქმე ისაა, რომ ლუისმა ibf-ის ვერსიით, ჩემპიონის ტიტული უკვე დაკარგა. მან უარი განაცხადა პრეტედენტ კრის ბერდთან ბრძოლაზე, იმ მიზეზით, რომ ბერდი ღირსეულ მეტოქედ არ გამოდგებოდა.

ამრიგად, თუ ლუისს არ სურს wbc-ის ვერსიითაც დაემშვიდობოს ტიტულს, მოუწევს უკრაინელ ვლადიმირ კლიჩკოსთან ბრძოლა. "რა თქმა უნდა, ბოლო სიტყვა ლუისს ეკუთვნის, მაგრამ მის ადგილზე მე ნამდვილად წავიდოდი," – არ ცხრება დონ კინგი, რომელიც თავისი ასაკის მიუხედავად, პრომოუტერული კარიერის დამთავრებაზე რატომღაც არ ფიქრობს.

სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ დიდ პრომოუტერს, ლუისთან დაკავშირებით, თავისი გეგმები აქვს და ამიტომ ცდილობს ბრიტანელის გზიდან ჩამოშორებას. დონ კინგი თაღლითობით არის ცნობილი. მას სასამართლოშიც ხშირად ჰქონია საქმე, მაგრამ თაღლითობის შესაშური უნარისა და ნიჭის წყალობით, წყლიდან ყოველთვის მშრალი გამოდიოდა.

ამჯერადაც უცნობია დონ კინგის გეგმები, მაგრამ ვარაუდობენ, რომ მას სურს, კრივის სამყაროში წარმოაჩინოს ახალი ვარსკვლავი, რომელიც მომავალში ფულის კეთების კარგი საშუალება გახდება; მაგრამ ლუისი ამ საქმეს აშკარად ხელს უშლის, რადგან ბრიტანელი ახალი ვარსკვლავისთვის მეტისმეტად ძლიერია და თუ შეხვდა, აუცილებლად გალახავს. გალახული მოკრივე კი ფულის კეთების მანქანად აღარ გამოდგება.

ამასთან, პრობლემას ის ფაქტიც ართულებს, რომ ლუისი – მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი, არ იკადრებს ახალგამომცხვარ ვარსკვლავს "დაუწვეს", ამიტომ მასთან არც საქმის ჩაწყობა გამოვა. ამ შემთხვევაში, რა გამოსავალი რჩება დონ კინგს? – ალბათ, ლენოქს ლუისის სპორტული კარიერის დამთავრება. ჰოდა, დიდი პრომოუტერიც "მამა-შვილური სიყვარულით" აგულიანებს მსოფლიოს უძლიერეს მოკრივეს: წადი, სანამ გცემეს - ლამაზად, სპორტული კარიერის ზენიტში, როგორც მოკრივე, რომელსაც ღირსეული მეტოქე აღარ შერჩა.


მაიკ ტაისონს მოხვდა. REUTERS

# ჯეიმს დინით შექმნილი კარიერა

2000 წელს, მთელი ექვსი კვირის განმავლობაში, 22 წლის მსახიობი ჯეიმს ფრანკო სულმოუთქმელად ელოდა "კაცი-ობობას" როლზე დამკტიცებას. თუმცა, რეჟისორმა გადაწყვიტა, რომ ტობი მაგუაიერი უკეთესი ობობა იქნებოდა და ფრანკოს ფილმში მეორეხარისხოვანი როლი შესთავაზა.

თავიდან ფრანკოს ეგონა, რომ ეს მისი კარიერისთვის დიდი კრახი იქნებოდა. ფიქრობდა, რომ "ობობას" ფონზე არც ახალი წინადადება – ტელეფილმში ჯეიმს დინის როლის შესრულება იყო მაინცდამაინც მიმზიდველი იდეა: სად ჰოლივუდის ბლოკბასტერი, რომელმაც 796 მილიონი დოლარის მოგება მოიტანა და სად ერთი პატარა სატელევიზიო ფილმი. თუმცა, პირიქით აღმოჩნდა. ობობობაზე უფრო ჯეიმს დინობამ გაამართლა. ამ როლისთვის ფრანკო ოქროს გლობუსით დააჯილდოვეს, როგორც საუკეთესო ტელე-მსახიობი, ხოლო კინომსახიობთა კავშირმა მას საუკეთესო მამაკაცი მსახიობის პრიზი გადასცა.

ასე მოვიდა აღიარება, რომლის შედეგადაც ჯეიმს ფრანკოს საშუალება მიეცა, პარტნიორობა რობერტ დე ნიროსთვისაც გაეწია. "ზღვისპირა ქალაქის" გამოსვლის შემდეგ ის უკვე ჰოლივუდის ნამდვილ ახალ სახედ აღიარეს და ახლა ათას საინტერესო როლს ჰპირდებიან. "ზღვისპირა ქალაქში" ფრანკო და დე ნირო მამა-შვილის როლს ასრულებენ. ქუჩის ბიჭს, ჯოი ლამარკას ლონგ ბიჩელი ნარკოდილერის მკვლელობაში ადანაშაულებენ. საქმის გამოსაძიებლად პატარა ქალაქში ნიუ იორკელი პოლიციელი, ჯოის მამა, ვინსენტ ლამარკა ჩადის. დე ნიროს გმირი დიდი დილემის წინაშე დგება – მიჰყვეს პროფესიულ კეთილსინდისიერებას, თუ მკვლელობაში ეჭვმიტანილი შვილი გადაარჩინოს.

ფილმი მეტნაკლებად დადებითად შეაფასეს, მაგრამ იქვე ბევრმა კრიტიკოსმა აღნიშნა, რომ ფრანკო როლზე მისი ქარიზმატული გარეგნობის გამო უფრო დაამტკიცეს. თუმცა, თავად "ახალი სახე" ასე არ ფიქრობს. ის მსახიობობას სერიოზულად უდგება და კინოსგან თავისუფალ დროს თეატრში ატარებს. ფრანკოს თქმით, ჩრდილოეთ ჰოლივუდის თეატრი Playhouse West ის ადგილია, სადაც ნამდვილი არტისტები იკრიბებიან, ანუ ის ადამიანები, რომელთაც მსახიობობა და სცენა უყვართ. გარდა თამაშისა, ჰოლივუდის "ახალი სახე" გატაცებულია მხატვრობითაც. ხატვას ის თავის უპირველეს მოწოდებად მიიჩნევს. შარშან ფრანკომ პერსონალური გამოფენაც მოაწყო და იმედი აქვს, რომ ახალ ნამუშევრებს საზოგადოებას წელსაც გააცნობს.



ჯეიმს ფრანკო REUTERS

# ძველი ვუდსტოკის ახალი სასწაულები

არც 1969 წელია და აღარც მასებს ეჩვენებათ 60-იანელების იდეები აქტუალურად. სამაგიეროდ, მნიშვნელობას არ კარგავს თავად ვუდსტოკი და კიდევ ერთხელ ექცევა ყურადღების ცენტრში. ამჯერად უკვე არა თავისუფალი სიყვარულის, ნარკოტიკის და მუსიკის ეგიდით, არამედ კინოს სახელით.

გუშინ ვუდსტოკის მესამე კინოფესტივალი გაიხსნა. ის არც ისე პოპულარულია, როგორც სანდენსი და ტორონტო, თუმცა, კინოსამყაროში თავისებური ხიბლით მაინც გამოირჩევა და გარკვეული პრესტიჟითაც სარგებლობს. ალბათ, ესეც ვუდსტოკი`69-ის დამსახურებაა. კინოფესტივალის ორგანიზატორები მისი გავლენიდან თავის დაღწევას არც ცდილობენ. მაგრამ, იმედი აქვთ, რომ ვუდსტოკი, 60-იანელთა მოძრაობასთან ერთად, ისტორიაში კინოს გამოც შევა. ფესტივალის ორგანიზატორთა შორის გახლავთ მსახიობი, რეჟისორი და მწერალი ეთან ჰოუკი. მისი ფილმის "ჩელსის კედლების" პრემიერა სწორედ ვუდსტოკში გაიმართა. ორგანიზატორთა ჯგუფში შედის პროდიუსერი მაიკლ ლანგი, რომელიც ასევე ვუდსტოკი`69-94-99 წლების ცნობილი აქტივისტიც იყო. იქვე ტრიალებს ტიმ რობინსიც...

კომპოზიტორი ალმერ ბერნშტეინი კინოფესტივალის მნიშვნელობას ასე აფასებს: "უკვე თითქმის ასი წელია, ვუდსტოკი ოცნებების და სასწაულების ადგილს წარმოადგენს. იმ სასწაულებისა და ოცნებების, რომლებიც ვიზუალურ ხელოვნებას, მუსიკას, პოპ-მუსიკას, თეატრს, პოლიტიკურ ფილოსოფიას, თუ ცხოვრების ალტერნატიული წესებს მოიცავს. აქედან გამომდინარე, სრულიად ბუნებრივია, რომ ვუდსტოკი ამჯერად კინოს ოცნებებისა და სასწაულების ადგილიც გახდა". ფესტივალის დირექტორის მეირა ბლაუსტეინის თქმით, ჟიური შეეცდება ის ფილმები გამოარჩიოს, რომლებიც განსხვავებულ საზოგადოებრივ აზრს ქმნიან, რომლებიც მაყურებელს ფიქრისკენ უბიძგებენ. თუმცა, ვუდსტოკის მუსიკალურ ტრადიციებს არც ამ კინოლონისძიებაზე ივიწყებენ. პირველივე დღესვე ფესტივალი არლო გათრიმ, ფოლკ-ვარსკვლავის, ლეგენდარული ვუდი გათრის ვაჟმა გახსნა.

## სკანდინავიური კროსვორდი



## TV პროგრამა 19 სექტემბერი

### რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 დრაკონთა მომთვინიერებელნი
08.00 დილა მშვიდობისა
09.40 ქალთა ქვეყანა
10.40 გურმანთა მეგზური
11.10 ხალხის პირისპირ
12.00, 15.00 კურიერი
12.15 სერიალი "ოცნების კოშკები"
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ. ფილმი
17.05 ქალთა ქვეყანა
18.00, 21.00, 02.00 კურიერი
18.20 დრაკონთა მომთვინიერებელნი
18.55 სერიალი "ტალღის ქიმზე"
19.50 სერიალი "ოცნების კოშკები"
22.00 "ვის უნდა ოცი ათასი"
22.50 კურიერი
00.20 მხ.ფი. "უარესი რაღა უნდა მოხდეს"
02.10 კლასიკა.

### პირველი არხი

07.30 ალიონი
09.45 "დრო და ფული"
10.00 ინგლისური ენის გაკვეთილი
10.30 ჩოგბურთელ ქალთა თბილისის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი
12.00, 15.00, 20.00 მოამბე
12.15 სერიალი "რვაფეხა"
13.00 ნაშუადღევს
14.05 ჩოგბურთელ ქალთა თბილისის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი
15.15 ჩოგბურთელ ქალთა თბილისის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი
16.30 "თბილისი და თბილისელები"
16.55 სერიალი "ძილის წინ"
17.10 "რამპა"
17.15 შემეცნ. ფ. "მოგზაურობა დედამიწის გარშემო"
17.40 დოკ. სერ. "გემრიელად მიირთვით, ბავშვებო"
18.00 ვესტნიკი
18.20 ბასტი-ბუბუ
18.40 "ჯანმრთელობა"
19.05 "ვიდეოპატრული"
19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე"
21.00 სერიალი "რვაფეხა"
22.00 "დრო და ფული"
22.15 "საქართველო არის ესე"
22.35 "პალიტრა"
23.00 "დღის ბოლოს"
23.40 ტელესერიალი "ძილის წინ"
00.00 მხ. ფილმი "ფრენკის ვარსკვლავები"
01.40 ქართული ენის გაკვეთილი

### პირველი სტერეო

07.00 კლიპ-მიქსი
07.15 "მორწმუნის ძლევამოსილი ხმა"
08.00 მუსიკალურ-გასართობი პროგრამა "ტოროლა"
11.30 "არასარეკლამო ათეული" გამეორებით
12.00 "ვიდეო-რადიო" განმეორებით
13.15 მუსიკა
14.00 მხ.ფილმი
17.00 "Co.მედია" მხ.ფ. "ასტერიქსი და ობელიქსი ცეზარის წინააღმდეგ"
19.00 ქართული მუსიკა
19.30 ვიდეო-რადიო
21.00 ევრო-ქართული ათეული
21.45 მოკლე სეანსი
22.00 ჩაძირობანა
22.45 მოკლე სეანსი
23.00 მუსიკა
00.00 "ბრავო" მხ.ფ. "სიკვდილი ჰოლივუდში".
01.50 "ღამურა" მხ.ფ. "პიტონი-2".
03.20 ნონ-სტოპი

### მეორე არხი

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე
19.10 მულტფილმი
19.40 სერიალი
20.30 ისტორიანი
21.00 შვიდეული
22.10 მხ. ფილმი "ამელი ნორმარტიდან"

### ევრიკა

10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 "ვესტი"
10.15 მუსიკალური ტაიმ-აუტი
10.45, 20.00 მსოფლიო სპორტი
11.45 მუსიკალური კოლაჟი
12.25, 21.30 სალონი
14.00 ექიმი გვირჩევს
15.15 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს
18.30 რუსული ენის გაკვეთილი
19.00 ინგლისური ენის გაკვეთილი
23.00 ოაზისი
00.15 მხ.ფ. "განკითხვის დღე"

### იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი
08.15 აღსავალი
08.20, 10.15, 14.10, 21.45, 22.15, 00.45 მუსიკა
08.30 მხ.ფ. "ზღვის მგელი"
10.00, 13.00, 15.00, 17.00, ახალი ამბები
10.25 საბავშვო სერ. "არაჩვეულებრივი არდადეგები"
10.50 მხ. ფილმი "კეიტი და ლეო"
13.10, 17.30 მულტფილმი
18.00 დოკუმენტური ფილმი
20.00 მხ.ფ. "იდეალური ქმარი"
22.30 მხ. ფ. "თავგადასავალთა მაძიებელნი"
00.50 ღამის ფილმი

### კავკასია

12.00 მხ.ფ. "დიდი რბოლა"
14.40 მხ.ფ "ადამიანი რკინის ნიღაბში"
17.00, 19.00, 20.30, 00.00 "დღეს"
17.15 მხ.ფ "სასიყვარულო ისტორია"
19.20 სპექტრი
21.00 მხ.ფ. "ჩიხში"
22.30 მხ.ფ. "რთული ფული"

### მეცხრე არხი

09.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 "დღის ამბები"
09.20 მულტფილმი "ალექსი" 1-ლი სერია
09.45 საბავშვო სერიალი "ალ. მაკის სამყარო"
10.15 დოკ. სერიალი "მოჯადოება" მე-8 სერია
11.15 დოკ. სერიალი "ჩემი ქვეყანა"
13.10, 13.50, 16.15, 23.55, 00.20 მუსიკა
14.00 დოკ. ფილმი "თუშური ხალიჩა"
14.20, 17.15, ჟურნალი "საბჭოთა საქართველო"
14.45 ევროპის სტადიონებზე
15.15 დოკ. ფილმი "ყრმა სახელად იესო"
16.30 მხ. სერიალი "დაშნის დედოფალი"
17.45 მულტფილმი "ალექსი" მე-2 სერია
18.15 საბავშვო სერიალი "ალ. მაკის სამყარო"
19.00 მხ. სერიალი "მოჯადოება" მე-9 სერია
20.00 ბელისიმო
21.10 დოკ. ფილმი "ეს სანახაობაა"
22.10 მხ. ფილმი "დამკვირვებელი"
00.40 მხ.ფილმი "ფარული საფრთხე"

### აჭარის ტელევიზია

09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
09.30 ქართული მხატვრული ფილმი
11.00 დოკუმენტური ფილმი
12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება
12.15 კომედია "ძუნწი"
13.50 მელოდრამა "დედინაცვალი"
16.15 მულტფილმი "მზეთუნახავი და ურჩხული"
17.25 კომედია "მაიკლი"
19.20, 22.30, 00.30 "ნოვოსტი"
19.30 "Пресс-папье"
19.40 დოკუმენტური ფილმი
20.30 ქართული მხატვრული ფილმი
22.00, 00.00 "დღეს"
22.50, 00.50 საინფორმ. გამოშვება ინგლისურ ენაზე
23.00, 01.00 საინფორმ. გამოშვება გერმანულ ენაზე
23.05 დოკუმენტური ფილმი
01.05 თრილერი "მარტივი გეგმა"
03.30 მხატვრული ფილმი "ჰავანა"

### VII არხი

09.00 ანონსი
09.05 ამინდის პროგნოზი
09.30 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
09.45 "აჩიკუდა"
10.05 "სახლიდან გაუსვლელად" – საყოფაცხოვრებო ტექნიკა
10.45 მოკლედ... სპორტი
10.50 "ფაქტი, აზრი, კომენტარი"
11.00 "ევროპული ფეხბურთი" – საფრანგეთის ჩემპიონატის
11.40 "ბიორითმი" – ბრიტნი სპირსი
12.00 "სახლიდან გაუსვლელად" – ავეჯი
12.15 ანიმაცია
12.30 მოკლედ... ტექნიკა
12.35 "სახლიდან გაუსვლელად"-აუდიო-ვიდეო-ტელე
13.05 "მელოდია"
13.25 "ბრძოლა წესების გარეშე"
13.50 დისნეი და მისი მეგობრები
14.10 "სახლიდან გაუსვლელად" – კომპ. ტექნიკა
14.55 სპორტი
15.00 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
18.10 პრესა
18.20 "სახლიდან გაუსვლელად" – საყოფაცხოვრებო ტექნიკა
18.55 მოკლედ... ტექნიკის სიახლეები
19.00 "აჩიკუდა"
19.30 მოკლედ... საქართველო, უცხოეთი
19.40 "პაემანი"
20.30 "სახლიდან გაუსვლელად" – კომპიუტერული ტექნიკა
21.00 "ბრძოლა წესების გარეშე"
21.20 "ღამის კაპრიზი"
22.10 მოკლედ... სპორტი
22.15 "სახლიდან გაუსვლელად"-აუდიო- ვიდეო-ტელე
22.45 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
22.55 "კინოკლუბი " – "ეშმაკები" საფრანგეთი.
00.45 პრესის მიმოხილვა
01.00 მოკლედ... საქართველო, უცხოეთი
01.15 "სახლიდან გაუსვლელად"
01.45 "ბიორითმი" – ბრიტნი სპირსი
02.05 "სახლიდან გაუსვლელად" – ავეჯი
02.20 პრესის მიმოხილვა

### ОРТ

07.00 Телеканал "Доброе утро".
10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости
10.15, 19.55 Сериал "СЕМЕЙНЫЕ УЗЫ".
11.10 х.ф."МОЛОДАЯ ЕКАТЕРИНА" 2-я с.
12.15 Следствие ведет Колобков
12.35 Дисней клуб: "Переменка"
13.15 Детектив "НАСТОЯЩИЙ ДРУГ"
15.05 Фильм "ФАТАЛИСТЫ" 3-я с.
16.15 Док. Детектив "Жертвы по объявлениям"
16.50 фильм "УБОЙНАЯ СИЛА: ДВОЙНОЙ УДАР"
18.00 "Большая стирка"
19.25 "Сами с усами"
20.50 Фильм "ФАТАЛИСТЫ" 4-я с.
22.00 Время.
22.40 Футбол. Кубок УЕФА. ЦСКА- ПАРМА (Италия)
00.30 Док. Детектив "Дело обреченных"
01.00 Ночное "Время"
01.20 х.ф."БЕЛЫЕ ЛЮДИ НЕ УМЕЮТ ПРЫГАТЬ"

### РТР

06.45 "Доброе утро, Россия".
09.45 Сериал "КАМЕНСКАЯ-2"
10.50 "Аншлаг".
11.50 Вести. Дежурная часть.
12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.20 ВЕСТИ.
12.20 Сериал "ЗАКОН".
13.25 Ток-шоу "Цена успеха".
14.30 "Вся Россия".
14.45 ВЕСТИ.-МОСКВА.
15.20 ВЕСТИ.-СПОРТ.
15.25 "Что хочет женщина".
16.25 "ДИКИЙ АНГЕЛ. ВОЗВРАЩЕНИЕ".
17.20 "ПРОСТЫЕ ИСТИНЫ".
18.20 Наука и техника
19.20, 21.35 Местное время. ВЕСТИ-МОСКВА.
19.50 Сериал "ВОРОВКА. СЧАСТЬЕ НАПРОКАТ".
20.50 Спокойной ночи, малыши.
21.55 "КАМЕНСКАЯ-2"
23.05 "ЗАКОН".
00.35 х.ф."ПРОСТАЯ ИСТОРИЯ"
02.45 "Кинескоп". Венецианский кинофестиваль

### НТВ

07.00 Утро на НТВ.
09.50 "СЕЗОН ОХОТЫ" 2-я с.
11.00 "Сегодня утром"
11.20 Погода на завтра.
11.20 Очная ставка.
12.00, 13.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00 Сегодня.
12.05 Квартирный вопрос.
13.05 Криминал
13.05 Комедия "БУМ-2"
15.05 Криминальная Россия.
15.35 "ОНА НАПИСАЛА УБИЙСТВО"
16.40 Ток-шоу "Принцип "Домино".
18.05, 23.35 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ"
19.20 Чистосердечное признание.
20.00 Сегодня с Татьяной Митковой
20.35, 00.45 "КЛЮЧИ ОТ СМЕРТИ".
21.40 "СЕЗОН ОХОТЫ" 3-я с.
23.00 "Сегодня вечером"
01.45 Гордон
02.45 Кома.

TV პროგრამები მოგვაწოდა სააგენტო "ინფოზავრმა"

## კონკურსი ჟურნალისტებისათვის "ქალი, კონფლიქტი და მშვიდობა"

მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს თემაზე - ქალის როლი სამშვიდობო პროცესში.

**I პრემია - $200**
**II პრემია - $150**

კონკურსის პირობები:

– საკონკურსოდ წარმოდგენილი სტატია გამოქვეყნებული უნდა იყოს პრესაში 2002 წლის 20 ოქტომბრამდე;
– ავტორმა 23 ოქტომბრამდე უნდა წარმოადგინოს ნაშრომი საგაზეთო გვერდის სახით;
– კონკურსის შედეგები ცნობილი იქნება 27 ოქტომბერს.

საკონკურსო მასალა წარმოადგინეთ კავკასიურ ინსტიტუტში შემდეგ მისამართზე: მერაბ ალექსიძის ქუჩა №1, გეოფიზიკის ინსტიტუტი, XI სართული.

**ტელეფონი: 33 40 81,**
**საკონტაქტო პირი: დიტო ბუხსიანიძე.**

ტელ: 20-24-24

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში

## წამალი "სალხინო" ქართული ფლორის საოცრება

**თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,**

მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

**"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს. "სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.**

**წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.**

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

**წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.**

მისამართი: ვაჟა-ფშაველას 45, მე-14 სართული. ტელ: 202424, 200024
იბეჭდება გამომცემლობა "სამშობლოს" სტამბაში